ბელიტრა მედია

ლ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 130 (12809) | 5 ივნისი პარასკევი 2009 | ფასი 60 თეთრი

გუშინ იყო აიაქსი, ხვალ იქნება ალკმაარი

შოთა არველაძეს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კურძენაშვილის ფოტო

გაბაკია ხუთ წუთში

მჭედლიძეც ვერ ითამაშებს?

ალექსანდრე კურძენაშვილის ფოტო

ივლენტასმა 6 ივნისის ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრებს გუშინ მზადების ბოლოსწინა დღე ჰქონდა. **ექტორ კუპერმა** ორი ვარჯიში ჩაატარა. დილის წვრთნაში მხოლოდ „ორაუსის“ ნახევარმცველი **გიორგი დევდარიანი** არ მონაწილეობდა. ივარჯიშა **გიორგი შაშიაშვილმაც**, რომელმაც ბერძნულ „ერგოტელისთან“ კონტრაქტი გააფორმა, თბილისში გუშინ გამთენიისას დაბრუნდა და უმალ მზადების პროცესში ჩაერთო.

ვარჯიში, რომელმაც თითქმის საათნახევარს გასტანა, ძირითადად ფიზიკური კონდიციების ამაღლებას დაეთმო. სპორტსმოს წვრთნა უფრო ხანგრძლივი, ორსაათიანი იყო. ამჯერად, დაახლოებით 15-წუთიანი მოთბობის შემდეგ, გუნდს ჯერ „პალერმოს“ ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** გაბოკალდა, მერე თბილისის „დინამოს“ კაპიტანი **ლევან ხმალაძეც**. მჭედლიძის არ იყოს, ამ უკანასკნელსაც კოჭ-წვივის სახსარი აწუხებს. მჭედლიძე მინდორზე მოკალათდა და ვარჯიშს იქიდან მიადევნებთვალი. ხმალაძემ კი ერთი ხანობა ნელი სირბილი სცადა. მომდევ ისინი ფიზმომზადების მწვრთნელის განკარგულებაში გადაეცნენ და სპეციალურ, განსვეთ ვარჯიშებს შეუდგნენ...

ამ დროს მეკარეთა მწვრთნელი **შამუკა აბუსერიძე** გოლკიპერთა ტრენოს ავარჯიშებდა. რაც შეეხებათ კუპერსა და **ხოსე ფანტაგუტის**, მათ დარჩენილი შემადგენლობა სამ ნაწილად (ნიოლები, ლურჯები და მწვანეები) გაჰყვეს და მოეწინა ორ მესაშეფზე სწორ პასებსა და გადაცემების ჩაჭრებში ავარჯიშეს. მათ ჯერ ორჯერ, მერე კი ერთხელ შეეძლოთ ბურთთან შეხება. ასე გაგრძელდა თითქმის ნახევარი საათი. საკმაოდ ცხელოდა და მწვრთნელებმა ფეხბურთელებს მცირე ამოსუნთქვის საშუალებაც მისცეს. წვრთნის ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო „ორკარა“. გუშინწინდელისაგან განსხვავებით, კუპერმა ამჯერად სამი, უფრო მცირეროზოვანი გუნდი უკვე ნახევარ მოედანზე ითამაშა, თანაც მხლოდ 5-5 წუთის განმავლობაში. სამივე გუნდი თითქმის თანაბარი ძალისა იყო...

ეროვნული ნაკრები. მზადების მეოთხე დღე >> გვერდი 2

გუშინ უნდა გარკვეულიყო, **შოთა არველაძე** „ალკმაარში“ გააგრძელებდა მწვრთნელობას თუ ამსტერდამის „აიაქსში“, მაგრამ... ვერ გაირკვა და ამ საკითხს წერტილი, ალბათ, ორ დღეში დაესმება.

შოთა გუშინ „აიაქსის“ ხელმძღვანელობას შეხვდა, ახლა „ალკმაარის“ ჯერია. არველაძემ, როგორც მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთმა თანაშემწემ, „ალკმაართან“ 2-წლიანი კონტრაქტი შეარჩინ ზაფხულში გააფორმა. ხელშეკრულება ძალაშია, მაგრამ მისი დარღვევა შეუძლებელი არ არის. ცხადია, „ალკმაარიც“ უნყიან „აიაქსის“ ინტერესის თაობაზე და შოთას ახალ კონტრაქტსაც სთავაზობენ, თან, რა თქმა უნდა, უკეთესი პირობებით. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ალკმაარმა“ არველაძეს საქმიანი შეხვედრა 6 ივნისს დაუნიშნა და ვინძლო, ყველაფერი იმ დღესვე გადაწყდეს.

შეგახსენებთ, რომ წლეულს „ალკმაარი“ ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა და სეზონის დასრულების შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** „ბაიერნს“ მიაშურა, მისი ადგილი კი **რონალდ კუმანმა** დაიკავა.

დავით თავართქილაძე

ალექსანდრე კურძენაშვილის ფოტო

ლიპის განაცხადი

მსოფლიოს ჩემპიონების მწვრთნელმა კონფედერაციათა თასისთვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარჩელო ლიპიმ** კონფედერაციათა თასისთვის 23-კაციანი განაცხადი გამოაქვეყნა. კონტინენტების საუკეთესო ნაკრებთა ტურნირი 14-28 ივნისს სამხრეთ აფრიკაში გაიმართება.

ლიპის ნაკრებში შემდეგი ფეხბურთელები მოხვდნენ:

მეკარეები: **ჯანლუიჯი ბუფონი** („უვენტუსი“), **მარკო ამელია** („პალერმო“), **მორგან დე სანქტისი** („გალათასარაი“, თურქეთი).

მცველები: **ფაბიო კანავარო, ჯორჯო კიელინი, ნიკოლა ლეგრაფალიე** (ყველა - „უვენტუსი“), **ჯანლუკა ზამბრატა** („მილანი“), **დავიდ სანტონი** („ინტერი“), **აღესანდრო გამბერინი** („ფიორენტინა“), **ანდრეა დოსენა** („ლივერპული“, ინგლისი), **ფაბიო გროსო** („ლიონი“, საფრანგეთი).

ნახევარმცველები: **ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო** (ორივე - „მილანი“), **მაურო კამორანეზი** („უვენტუსი“), **დანიელე დე როსი** („რომა“), **სიმონე პეპე** („უდინეზე“), **რიკარდო მონტოლივო** („ფიორენტინა“), **ანჯელო პალომბო** („სამპდორია“);

თავდამსხმელები: **ვინჩენცო იაკვინტა** („უვენტუსი“), **ალბერტო ჯილარდინო** („ფიორენტინა“), **ფაბიო კვალიარელა** („უდინეზე“), **ლუკა ტონი** („ბაიერნი“, გერმანია), **ჯუზეპე როსი** („ვილიარეალი“, ესპანეთი).

დღეს, რუსთაველი 17:30

საძარცველო მოლდოვა

ახალგაზრდული ნაკრებები

სტანდარტული ქვაღრატები

გრიგალავა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსთაველში ივარჯიშა. **კახა ცხადაძემ** „ფოლადის“ სტადიონზე 25-ვე ფეხბურთელი დატვირთა. ძალიან რომ არ დაეღალა, მთავარმა მწვრთნელმა მოთამაშეები სულ რაღაც ერთი საათი ავარჯიშა. სხვათა შორის, არ ყოფილა „ორკარა“, სამაგიეროდ, ფეხბურთელები „კედლებს“ ამუშავებდნენ, ბოლოს კი „სტანდარტულებზე“ გადავიდნენ. რამდენად კარგად აითვისეს ახალგაზრდა ქართველებმა მწვრთნელის შეგონებანი, ეს დღეისთვის მაგრში გამოჩნდება.

ცხადია, 21-წლამდელთა დამრიგებელი განაცხადში 25 ფეხბურთელს ვერ შეიყვანს, თუმცა გუშინ გვიანობამდეც არ იყო ცნობილი ის 18 მოთამაშე, რომლებიც მოედნიდან დაუპარისპირდებიან.

რაც შეეხება „მოს ჯას“ მცველ **გია გრიგალავას**, ის ნაკრებში საათამაშოდ არ ჩამოვიდა. ბოლო ინფორმაციით, გია რუსეთის 21-წლამდელთა შეკრებაზე გამოცხადდა. 9 ივნისს რუსეთში შესარჩევ მატჩში ფარერების წეღებიან.

დღევანდელი შეხვედრა კი რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე 17:30 საათზე დაიწყება. მატჩზე დასწრება უფასოა. თამაშში ჩვენი მსაჯები მოემსახურებიან: **ოთარ ხეცაძე** (არბიტრი), **შოთა ჭუხაძე** და **გიორგი ყრუაშვილი**.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

საქართველო–მოლდოვა

ეროვნული ნაკრებები. მზადების მეთოდი დღე

გაჭანა ხუთ ნუთში

მჭედლიძეც ვერ ითამაშებს?

ვიქტელი გვერდიდან

ᲒᲘᲜᲘᲚᲔᲑᲘ: **ლომაია, გიგაური, შაშიაშვილი, კვირკველია, ხმალაძე, რაზმაძე, გოცირიძე, ალექსიძე.**

ᲛᲔᲡᲐᲓᲘᲚᲔᲑᲘ: **ბედიაშვილი, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, კაშია, კობიაშვილი, იაშვილი, დვალიშვილი.**

ᲛᲬᲕᲠᲗᲔᲕᲘ ᲛᲐᲛᲪᲐᲚᲔᲑᲘ: **კვახაძე, სეფერაძე, ფოფხაძე, დოშვილი, მურებაშვილი, ფენია.**

„ორკარაში" მონაწილეობდა **ოთარ მარცვალაძეც**, რომელმაც სამივე გუნდში ითამაშა. კუპერი სხვებისაც პერიოდულად ცვლიდა. ვარჯიშის მთავარი ამოცანა იყო, 5-ნუთიან მატჩებში რომელმე გუნდს ერთი გოლი მაინც გაეტანა. ჩატარდა სულ 14 ხუთწუთიანი „მატჩი", რომელთაგან 5 უგოლოდ დასრულდა, დანარჩენში კი თითო გოლი გაიგდო - სულ 9. ყველაზე მეტი, 3 გოლი, უნგრული „დეირი ეტოს" თავდამსხმელ **რაბი აღექსიძის** ატრიუმი ჩაიწერა, თითო ბურთი კი **ლევან კობიაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა, ლადო დვალიშვილმა, გიორგი მერებაშვილმა, ლექსო კვახაძემ** და **დავით გიგაურმა** გაიტანეს.

წყრილის ბოლოს კუპერმა ფეხბურთელები მოიგდნის ცენტრში შეკრიბა და ხუთიოდე წუთით გაესაუბრა. მაღე ვარჯიში დასრულებულად გამოცხადდა. ფეხბურთელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნაკრების ექიმ **დიმიტრი ხაალიშვილს** დავეკითხეთ:

„დღევანდელი სიტუაციით თუ ვიმსჯელებთ, მოლდოველთან ლევან მჭედლიძის თამაში საეჭვოა. მას დაშავებული კოჭი გაუსივდა. ამ ეტაპისთვის რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ და ვნახოთ, ხვალ როგორ იქნება. რაც შეეხება ბმალაძეს, შეიძლება, შაბათს ვერც მან ითამაშოს. დინამოელს ალექსანდრე სახსარი სტკივა. დავით დვალარიანზე კი დანამდვილებით შეიძინება გითხრათ, რომ 6 ივნისს ვერ ითამაშებს, ალბანეთში შეიძლება, მაგრამ ძალიან საეჭვოა. მას კუნთი აქვს და ზიანებული. მართალია, დვედარიანი ინტენსიურად მკურნალობს, მაგრამ კუნთის მორჩენას თავისი დრო აქვს და სამწუხაროდ, ჩვენ მას ვერ შევამცირებთ", - გვითხრა ბატონმა დიმიტრიმ.

ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა. **კლაუს ტოპმოილერის** მწვრთნელთანბისას „ვიბორგის"მცველი **გიორგი ფოფხაძე** მალტის ტურნირზე იყო გამოძახებული და ორ შეხვედრაშიც ითამაშა. ფოფხაძე კუპერის ფორმაციის გუნდში პირველადაა და სანიტერესოა, რა აზრისაა ამჟამინდელ ნაკრებზე:

„ბიჭებმა ჩინებულად მიმიღეს, თავს მშვენიერად ვგრძნობ. მარცხენა მცველი ვარ და, ალბათ, ამ პოზიციაზე მობინდეს თამაში. თუ გუნდს დასჭირდება, მზად ვარ, სხვა დავალებაც შევასრულო. იმედი მაქვს, ერთ მატჩში მაინც მომინევს თამაში. როგორც ხედავთ, ყველანი გულისგულად ვემზადებით და მჯერა, შაბათს გულშემატკივარს გავახარებთ".

ალექსანდრე იაშვილი: „მართალია, ამხანაგური მატჩია, მაგრამ ამასაც თავისი დატვირთვა აქვს. ნაკრების თავკაცს ახალი ფეხბურთელების საძებნი ნახვა სურს. გარდა ამისა, გუნდის შეთამაშებისთვის ეს სპარინგმატჩები ნამდვილად გვჭირდებოდა და მჯერა, სასარგებლოც იქნება. ახალი ფეხბურთელები მომეწონნენ, კარგი ბიჭები არიან და იმედი მაქვს, გაამართლებენ".

ბოლოსთვის, გოლების მადაზე მოსული **რაბი აღექსიძე** შეეცადეთ: *„გოლები? ფორვარდი ვარ და გოლების გატანა ჩემი საქმეა. ძალიან მინდა, ამ შეხვედრებშიც გავიტანო ბურთები. თუმცა მთავარი მაინც მოგება. გავიმარჯვოთ და, რა მნიშვნელობა აქვს, მე გავიტან გოლს, თუ რომელიმე ჩემი თანაგუნდელი. დარწმუნებული ვარ, თითოეული ფეხბურთელი მოგებისთვის მაქსიმუმს გაიღებს".*

ეროვნული ნაკრები დღეს საღამოს უკვე მიხეილ მესხის სახელობის არენაზე, 18 საათზე შეუდგება ვარჯიშს, ხახვეარი საათით ადრე კი ექტორ კუპერი სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მასმედიელთა კითხვებს უპასუხებს.

დავით ᲒᲐᲑᲐᲫᲔ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეტოქე

მოლდოველები ამბავ–ხაბარი

თაიგული ღვინოები

მოლდოვა არის საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკა, ოლონდ ისეთი, რომელიც ჩუსეთს არასდროს ესაზღვრებოდა. მეორე მსოფლიო ომამდე მოლდოვა რუმინეთში შედიოდა, მერე კი ომის დასრულებას ბევრი რომ არაფერი უკლდა, საბჭოთა კავშირს შერჩა, თითქოს როგორც ომის ტროფეი. ომამდე მოლდოველთაგან უთანასწორო ბრძოლა იყო გაჩაღებული - მოლოტოვ-რიბენტროპის აქტის თანახმად, მოლდოვა საბჭოთა კავშირის გაღენის სფეროში უნდა ყოფილიყო, რასაც რუმინეთი ენინააღმდეგებოდა და ათასობით ჯარისკაციც შეიკლა ამ ბრძოლას. მოლდოვის ანექსია საბჭოთა ჯარებმა პირველად 1940 წელს მოახერხეს, მეორედ კი ოთხი წლის შემდეგ.

„პერესტროიკის" პერიოდში ეროვნულმა მოძრაობამ რუმინეთშიც გადაწიოდა და ტენდენცია რუმინეთთან შეერთებისკენ რომ ნაცდა, მოლდოველთა კონფლიქტიც უმალ გაჩაღდა - მდინარე დნესტრის აღმოსავლეთით უმეტესობას ეთნიკური რუსები შეადგენდნენ და მოლდოველ გამოყოფაცა მოითხოვეს. საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა და როცა საქმეში რუსეთის მე-14 არმია ჩაერია, კიშინიოვს შეახსენეს, რომ ისევ რუსეთის ფრთის ქვეშ მოუწევდა ყოფნა.

დნესტრისპირეთში მშვიდობას რუსი მშვიდობისმყოფელები იცავენ. ფე ოურე დნესტრისპირეთი მოლდოვას ეკუთვნის, ფაქტობრივად კი რუსეთისგან დაღეული დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ოფიციალური კიშინიოვი დნესტრისპირეთის გადართოვულ ავტონომიას სთავაზობს, მაგრამ იქაურ რუსებს დამოუკიდებლობის გარდა არაფრის გაგონება არ სურთ. რუსეთი ბოლომდე არ ამხვევის ურთიერთობას კიშინიოვთან და დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა ჯერ არ უცვნია.

მოლდოვა ჩვენზე პატარა ქვეყანაა მოსახლეობით - იქ ოთხ მილიონზე ოდნავ მეტი კაცი ცხოვრობს და იქაურებიც სამოვარზე ეეროპაში და ამერიკაში მიდიან - მოლდოვა არ არის მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და ეკონომიკაც დიდად განეთარებული რიგი აქვს.

საბჭოთა პერიოდში მოლდოვა განთქმული იყო თავიანთი-ღვინოებით წარმოებით. მოლდოველთან საბჭოთა რესპუბლიკა ღვინის ბევრ ნაირსახეობას ანარმოებდა, ძალიან უჭირდა კონკურენცია ქართულ ღვინოსთან, მაგრამ თავის მუშმარო ყოველთვის ჰყავდა. მოლდოველური ღვინო ახლაც არის რუსულ ბაზარზე. მოლდოვაში ოფიციალურად 174 ღვინის ქარხანაა.

მოლდოვა საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან პირველი იყო, ევროსაბჭოში რომ მიიღეს. კიშინიოვი არ მიილტვის ნატოსკენ, ნეიტრალურ ქვეყნად ყოფნა ყველაფერს ურჩევნია, თუმცა ფაქტობრივად რუსეთის გავლენის ქვეშაა მოქცეული.

ნაკრები, რომელიც ლუსქემაურგასაც ვერ ჯობნის

მოლდოველი არაერთ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია, რომელთაგან ყველაზე ნარმატებული ვაჟა **თარხნიშვილი** („შერიფი") აღმოჩნდა. განვლილ სეზონში თარხნიშვილის გარდა მოლდოვის ჩემპიონატში კიდევ ოთხმა ჩვენებურმა ითამაშა - **მამუკა ლომიძემ** („ზიმბრუ"), **ლევან კორაღიძემ** („ზიმბრუ"), **ჯაბა დვალიმ** და **ჯაბა მჭავანაძემ** („დაჩია") „მერრემმა" ნლეულს თასი აიღო, ფინალში „დაჩია" დაამარცხა. სხვათა შორის, „დაჩია" ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. რადგან ქართველი ფეხბურთელები მოლდოვამდეც მიდიან, უნდა ვიფარაუდოთ, რომ იქაურ გუნდებს ჩვენზე უკეთესი პირობები აქვთ.

მოლდოვაში ფეხბურთი არასდროს ყოფილა განსაკუთრებული ფენომენი და რა გასაკვირია, რომ საბჭოთა ეროვნული ნაკრები ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს. მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ მოლდოვა საბერძნეთთან, შვეიცარიასთან, ლატვიასთან, ისრაელთან და ლუქსემბურგთან მოხვდა ჯგუფში, ექვსი თამაშიდან (მოლდოველებმა მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს) ხუთი წააგო და ერთიც ფრე (0:0) ითამაშა ლუქსემბურგთან. მოლდოვა ჯგუფში ჩვენსავით ბოლო ადგილზეა . ბოლოს მოლდოველებმა შვეიცარიასთან ითამაშეს სტუმრად და 0:2 წააგეს.

მოლდოვის ეროვნული გუნდის პირველ მეკარედ **სტანისლავ ნამაშკო** ითვლება, დაცვაში მთავარი კაცი **ალექსანდრ ეპურანუი**, ვინც „მოსკვაში" თამაშობს. შეტევაში კი ასეთებად **დენის კალინკოი** და **სერგეი ალექსეევი** მიიჩნევიან.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოლდოვას ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ნაკრების ჰყავს და **ეძტორ კუპერის** საქართველოსგან მოგების გარდა რა უნდა მოვითხოვოთ?!

ერთ-ერთი თოთხმეტიდან

ფეხბურთში რა მოლდოვას ისეთი მწვრთნელი ჰყავს, რომლის სახელი მთელ საბჭოთა კავშირში ქუხდა 80-იანი წლების მეორე ნახევარში. **იგორ დობროვოლსკი** უკრაინაში დაიბადა და მოლდოვაში გაიზარდა. 1986 წელს 18 წლის დობროვოლსკის კიშინიოვის „ნისტრულან" მოსკოვის „დინამოში" უყრის თავი. ჭაბუკი უკვე ნამდვილი ოსტატივით თამაშობდა, კლასიკური ათი ნომერი გახლდათ და რა არ ეხერხებოდა. იყო ელეგანტური და ტექნიკური, საზრიანი და თვალისმომჭრელი - იმ დროს მისნაირი გამთამაშებელი საბჭოთა კავშირს უკვე აღარ ჰყავდა. მაშინ გამოჩნდა **ალექსეი მიხაილიჩენკო**, მაგრამ ის მაინც არ იყო კლასიკური „ათიანი". იმ დროს რუსეთ-უკრაინაში ნიჭიერი ფეხბურთელების მთელი პლეადა ნამოვიდა, ახალგაზრდული დონეზე მათ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ მერე...

მიხაილიჩენკო, კოლიანინო, შალამოვი, კირიაკოვი, კანჩელსკისი, სალენკო, იურანი, მოსკოვოო... ჩინებული კრებული იყო და მათი დობროვოლკი გამორჩეული ალბათ იმიტომაც გახლდათ, რომ ის ტიპური გამთამაშებელი იყო. 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე საუღლე ნაკრების ნაკრებმა, რომელშიც გელა კეტაშვილიც თამაშობდა, ოქროს მედალი მოიპოვა, ფინალში ბრაზილიას 2:1 რომ მოუგო, პირველი გოლი ბრაზილიელთა კარში დობროვოლსკიმ გაიტანა. საუღლის ოლიმპიადაზე დობროვოლსკიმ ექვსჯერ აიღო მეტოქეთა კარი და ტურნირის ბომბარდირი **რომარიოს** ოდენ ერთი გოლით ჩამორჩა. იმავე წელს დობროვოლკის ევროპის ჩემპიონატზეც უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმის გამო გრენანიაში ვერ გაემგზავრა ვალერი ლობანოვსკის გუნდს.

1990 წელს დობროვოლკი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იმავე წელს მან მუხდიალზეც ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა (კამერუნთან).

ესპანური „კასტელონი", შვეიცარული „სერვეტი", იტალიური „ჯენოა" და ფრანგული „მარსელი" - დობროვოლკის უცხოური კარიერიდან წარმატებული იყიდნენ „მარსელში" გატარებული ნლები ნიშნავს ბიოგრაფიაში - 1993 წელს ის საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. შემდეგ მოსკოვი „დინამოში" დაბრუნდა, მერე ისევ ესპანეთის მიაშურა, ითამაშა „ატლეტიკოში", ლეგიონერის კარიერა კი დოუსელდორფის „ფორტუნაში" დაასრულა.

1992 წელს დობროვოლკიმ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა ესენეის ნაკრებში. იმ გუნდმა ტურნირზე მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა - ეს დობროვოლკიმ მოახერხა - გერმანიასთან დაანინაურა თავისიანები, მატჩის მწურულს კი გამთამაშებელი **ტომას პისლერმა** გაიტანა საჯარიმო დარტყმით.

დობროვოლკის გზას უსაანდოლოდ არ ჩაუვლია. 1994 წლის მუნდიალისთვის რუსეთის ნაკრებს **ბაველ ხადირინი** ხელმძღვანელობდა, რომელსაც თითმხმლება ფეხბურთელმა ბუნებ მოუყო. ერთ-ერთი მთავანი დობროვოლკისა იყო. ფეხბურთელები უკეთეს პირობებს, უკეთეს პრემიებს ითხოვდნენ და კიდეც იმას, რომ ბუნდაალზე გუნდი საჯარისნო ნაცვლად **ანატოლი ბიშოვეტს** (მისი ხელმძღვანელობით გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა სეულის ოლიმპიურ თამაშებზე) უნდა განგრონასო. დობროვოლკისა საკმაოდ მწვავე რომ იქნებოდა, თქმა რაც უნდა. საქმეში ცნობილი მოსკოველი ავტორიტეტი **ოთარ ვანანტიშვილიც** ჩაერია. რუსეთის საფეხბურთო კავშირი დათმობაზე არ წავიდა და შედეგად თოთხმეტი მეამბობედან 1994 წელს ამერიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ორმა ნაკრებმა - **დობროვოლკიმ, კანჩელსკისი, კოლეინენმა, შალიმოვი, კირიაკოვი, კულკოვი** და **ივანოვი. ბაველ სადირნიანის** გაწყრომილმა რუსეთმა ამერიკაში ღირებულ ვერაფერს მიაღწია, სადირნინი 2001 წელს გარდაიცვალა და ამბობდნენ, ჯანმრთელობა სწორედ ამ ბუნებას მერე შეერყაო...

დობროვოლკიმ მწვრთნელობა 2005 წელს დაიწყო, „ტილეგულის" (მოლდოვა) მთავამაშე-მწვრთნელი გახლდათ, შემდეგ მოლოდვის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო, მთავარმწვრთნელობას კი 2006 წლის მიწურულიდან შეუდგა. დობროვოლკი რუსთის მოქალაქეა, თუმცა მოლდოვაში ის, რა თქმა უნდა, მინაური კაცია.

დავით ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ

P.S. მოლდოვის ეროვნული ნაკრები გუშინ ნაშუადღევს უნდა ჩამოსულიყო თბილისში და სალამოს „ლოკომოტივის" სტადიონზე ევარჯიშა, მაგრამ სტუმრები 19 საათისთვის გამოფრინდნენ კიშინიოვიდან და თბილისში მათი თვითმფრინავი ისეთ დროს დაჯდა, მოლდოველებს გუშინ არ უვარჯიშიათ.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 ნლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლეონოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ილიაწმინდის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **lelotd@gmail.com**; ინდექსი **66435** INDEX. რეკვიზიტი: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გადაღებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დამოუკიდებელი ფიქრები

ახლახან დასრულებულ სეზონში თბილისის „დინამომ" ორი ტიტული მოპოვება შეძლო - გუნდმა ჯერ სუპერთასი მოიგო, შემდეგ კი დრამატულ ბრძოლაში საქართველოს თასიც. თუმცა გუნდმა უმთავრესი ვერ მოახერხა - საქართველოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება. მაგრამ ყოველივე ამას გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა (პირველ ყოვლისა, ნაშვავნი ფეხბურთელების ტრავმებიანობას ვგულისხმობთ); ამას გარდა, სასურველი ეფექტი ვერც ახალი მწვრთნელის ფაქტორმა მოახდინა - სეზონის დაწყების წინ დანიშნულმა გერმანელმა სპეციალისტმა რაინერ ცობელმა ობიექტიური მიზეზით ვერ გაამართლა. ამიტომაც არავისთვის იყო მოულოდნელი, როდესაც ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე „დინამომ" მთავარი მწვრთნელის საპასუხისმგებლო პოსტი კახა კაჭარავას ჩააბარეს. ახალგაზრდა სპეციალისტმა მოკლე დროში, ალბათ, შესაძლებლობის მაქსიმუმიც გამოაცილინა - „დინამომ" ხუთწლიანი პაუზის მერე საქართველოს თასი მოიპოვა. ამასთან, ჩემპიონატშიც მძაფრ კონკურენცია გაუწია ერთპიროვნულ ლიდერს „ცოტა ჯორჯიას", მაგრამ საბოლოოდ მაინც მხოლოდ მეორე პრიზიორობას დასჯერდა. კახა კაჭარავას დიქმის საწერთნელ ბაზაზე გუშინ ვესტუმრეთ და განვლილი სეზონის შეჯამებასთან ერთად, რაღა თქმა უნდა, „დინამოს" სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ.

კახა კაჭარავა

- ყველასათვის ცნობილია, რომ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ჩემპიონატის ბოლომდე უნდა ყოფილიყავით. ამბამად, რა სტატუსი გაქვთ?

- დასამალი არაფერია - საქართველოს თასის ფინალის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობასთან მქონდა საუბარი. თუმცა, ამჟამად დაკონკრეტებულად თავს შეეკავები - დაახლოებით, ოთხ დღეში ყველაფერი ოფიციალურად გაცხადდება...

- ჩვენი აზრით, „დინამოს" ხელმძღვანელებს თქვენთან უკმაყოფილება მიზეზიც არ უნდა ჰქონდეთ და, აქედან გამომდინარე, მთავარი მწვრთნელის ძებნასაც არ უნდა მეუდგნენ...

- კიდევ ვიმეორებ - მან 6 ან 9 ივნისს ყველაფერ გაირკვევა; ანუ, როცა „დინამოს" მმართველი დირექტორი საქართველოში ჩამოვა.

- მაშინ, განვლილი სეზონის შეფასება დავიწყოთ. როცა გუნდის გაძლოლა შეიმოგთავაზეს მიიღეთ, კონკრეტულად რა მიზნები დაგისახათ კლუბის ხელმძღვანელობამ?

- ახალს არაფერს ვიტყვი - „დინამოსთვის" ყველა სეზონში მხოლოდ ერთი მიზანი არსებობს: მაქსიმალური მედგრის მიღწევა. ანუ, ჩემპიონატშიც და თასზეც ნარმატებისთვის უნდა მიგველება.

- როგორ ფიქრობთ, „დუბლის" შესრულება შესაძლებელი იყო?

- აღარ მინდა დავუბრუნდე იმ არასასიამოვნო მოვლენების, ჩემპიონატის დასკვნით ფაზაში რომ ხდებოდა. რა თქმა უნდა, ნამყვანი ფეხბურთელების ტრავმებმაც ხელი შეგვიშალა - ბოლოს და ბოლოს, ევროპულ გრანდებს უჭირთ ნამყვანი მოთამაშეებისთვის სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა და ჩვენ რა გამონაკლისი ვიქნებოდით? თანაც, ეს დებატინებულებიც „დინამოს" ფეხბურთელთა საშუალო ასაკიც - ძირითად შემადგენლობაში ხომ ერთდროულად რამდენიმე ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშე გვყავდა. მაგრამ ჯიდევ ვიმეორებ, სხვა გარემოებებმაც ხელი შეგვიშალა...

- როცა ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე მუშაობას დათანხმდით, მისი გრძნობა არ გქონდათ?

- მაში ან კომპლექსი არ მქონდა. თანაც, ჩემთვის „დინამო", ცოტა არ იყოს, სხვა რამეს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ვგრძნობდი, რამხელა პასუხისმგებლობას ვიღებდი, მაგრამ საკუთარი თავისადმი ბედნიერად და ფეხბურთელების იმედიც მქონდა.

- უმოკლეს დროში (თანაც, სეზონის ფინიშისკენ) რისი შეცვლა მოახერხეთ?

- ასეთ შემთხვევაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას ზარი არა აქვს: ელემენტარულად, ამის დროც არ იყო; ძალიან ძნელია, სერიოზული გარდაქმნები დაინყო გუნდში, რომელიც... შენი მომზადებული არ არის. ამიტომაც, ერთადერთი, რასაც დიდი ყურადღება დავუთმეთ, სტანდარტული მდგომარეობების დახვედრა-დამუშავება იყო.

- თუმცა, ძირითად შემადგენლობაში სწორედ თქვენი მოსვლის შემდეგ გამოჩნდა სამი-ოთხი ახალი სახე, გამოჩნდა, თანაც, ძირითადად ახალგაზრდები - ნემსაძე, ჯუღი, ტომიჩი.

- როგორც ყველას, ფეხბურთში მეც საკუთარი ხედვა ჩემი პრინციპები მაქვს. უბრალოდ, ვარჯიშებზე ვინც მეტს ინდომებდა, ვცდილობდი გარჯა არაფისთვის დამეკარგა. ამას გარდა, კონკრეტული შეხვედრისთვის ვინც იყო მზად, სწორედ იმ ფეხბურთელებს ვანდობდი უპირატესობას. ანუ ბიჭებმა იგრძნეს, რომ უსამართლოდ არ დაიჩაგრებიდნენ და ვინც თავს გამოიჩენდა, შანსი აუცილებლად მიეცემოდათ.

- თქვენი ხელმძღვანელობით „დინამომ" ხედიზედ სამი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა („ოლიმპთან", „ზესტაფონთან" და თასზე - „ლოკომოტივთან"). თუმცა მერე, გუნდის თამაშში სილაღე აღარ იგრძნობოდა.

- სამწუხაროდ, ეგრძნობდი, რომ ასეც იქნებოდა: ისევ და ისევ, მოკლე სათადარიგოთა სკამის და ფეხბურთელთა გამოუცდელობის გამო. ძნელია, სრულიად ახალგაზრდა მოთამაშეებს სტაბილური ასპარეზობა მოსთხოვო; ამას ფსიქოლოგიური მომენტიც ემატება; თუმცა, მიმაჩნია, რომ „დინამოს" სრულფასოვანი რეზერვი ეზრდება და ეს „ბორჯომთან" შეხვედრაშიც დამტკიცდა. კი, მეტოქე სუსტი იყო, მაგრამ გამიხარდა, რომ დებიუტანტებმა (ჯიშკარიანი, მამუჩიშვილი, ჯოხაძე, სიხარულიძე, ბოლქვაძე) თავიანთი შანსი გამოიყენეს.

- ფსიქოლოგიური მომენტი ახსენეთ და, რაღა თქმა უნდა, საზონის უმთავრეს მატჩზე გვინდა გკითხოთ. „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ზოგიერთ თქვენს ფეხბურთელს არც სჯეროდა, რომ ამ თამაშის მოგება შეიძლებოდა...

- მთლად ასე არ იყო საქმე, თუმცა, გეთანხმებით, ფსიქოლოგიური წნები ჩვენს ახალგაზრდებზე მაინც მოქმედებდა. იცით, ძნელია, მთელი კვირის განმავლობაში, ვარჯიშზე თუ თეორიული მეცადინეობის დროს, ფეხბურთელს უმტკიცო, რომ პრინციპულ მეცენტრაციის წყალობით იქნებოდა შესაძლებელი ძლიერი მეტოქის დამარცხება. „ოლიმპი", მართლაც, ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო ამ სეზონში, მწვრთნელის ხელიც ეტყობოდა და თითქმის ყველა ფეხბურთელსაც ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებდა. ამას გარდა, გამიხარდა, რომ ჩემმა ბიჭებმა შესაბური ფიზიკური მომზადებაც გამოამჟღავნეს და ამ კომპონენტში (განსაკუთრებით - დამატებით დროში) მეტოქე დაჯაბნეს.

- იმ შეხვედრებში თქვენ მიერ გაკეთებულ ცვლილებაზეც გვინდა გკითხოთ, მატჩის შემდეგ აზრთა სხვადასხვაობა რომ გამოინვია...

- აკირში იმიტომ შევიყვანე, რომ მისი სისწრაფის იმედზე ვიყავი და შესაძლებელი იყო მეტოქე კონტრაშეტევაზე „დაგვეჭირა"; რაც შეეხება მერებაშვილის შეცვლას, მცველი გაგვიფუჭებს და რაცხობრივ უმეცრებაში დარჩენილებს, რაღა თქმა უნდა, მოედანზე ისევ მცველი გვქირდებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე ფორვარდის შეცვლა...

- სხვათა შორის, თასის ფინალში, მეტოქის მარჯვენაფლანგელებმა (ლონდაძე და სეთურიძემ) საკმარისზე მეტი პრობლემა შეუქმნეს „დინამოს" მარცხენა ფლანგს. ანუ ამ მხრივ რაიმე პასუხეთ სელა რატომ არ გააკეთეთ?

- თამაში 4-2-3-1 გაწლადაგების დაწინაურდა. თუმცა, როცა დავინახეთ, რომ მარცხენა ფლანგზე მეტოქე გვკობნიდა, კოშკაძე ხანეკარაულების ფლანგზე გადმოვწიეთ; სხვა ცვლილების გაკეთების აზრს კი ვერ ვხედავდი...

- იმ საკამათო ეპიზოდზეც გვინდა გკითხოთ: გურამ კაშია ნთელ ბრალს იმსახურებდა?

- ძნელი სათქმელია: თუ მსაჯმა ასჭიროფა ჩათვალა, რომ „ბოლო იმედის" ჯარიმა იყო, ესე იგი, უნდა გაეძევებინა. საეროოდ კი მიმაჩნია, რომ ფინალური მატჩის არბიტრს ლაშა სილაგავას ურიგოდ არ უმსაჯია.

- პენალტების სერია, როგორც წესი, ერთგვარი ლატარიაა და მაინც: გრძნობდით, რომ გაიმარჯვებდით?

- შინაგანად ეგრძნობდი, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა; თანაც, სხვანაირად რომც ყოფილიყო, მწვრთნელს აღ უნდა შეეტყოს, რომ მარცხს არის შეგუებული, თორემ ფეხბურთელებსაც გადაედება...

- ლორანზე რომ არ გკითხოთ, არ შეიძლება...

- წელანაც ვთქვი, რომ იმ ფეხბურთელს ვენდობით, ვინც იმ მომენტში მზად იქნებოდა. ოყორომ წინა სეზონშიც და ამ ჩემპიონობაშიც ბევრი მეგობარ მატჩი ჩაატარა, მაგრამ ბოლო სამ შეხვედრაში („სიონთან", „ვიტ ჯორჯიასთან" და თასის განმარჯვებით მატჩში „ლოკომოტივთან") შეცდომები დაუშვა. ამ დროს კი, ლორას ვამხნევებდი, რომ სათამაშოდ მზად იყო და ჩემმა არჩევანმაც გაამართლა. აქვე, ფარჩხელაზე შემთხვევით და ოყოროს წარმატებები მინდა ვუსწორო ახალ კლუბში - ფრანგულ „ლე მანში".

- საერთოდ, როგორ მიგაჩნიათ, ჩემპიონობის საბოლოო შედეგები სამართლიანი იყო?

- რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი? ეს ჩემპიონატი სამართლიანად რომ წარმართულიყო, მაშინ გამარჯვების ღირსი... „დინამო" იქნებოდა!

- გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელებად ვის მიიჩნევთ?

- რატი ალექსიძესა და მათე ვანძაძეს; და, ეს იმის მიუხედავად, რომ ორივემ ჩემპიონატში, ფაქტობრივად, მხოლოდ პირველ ტურამდე ითამაშა.

- ჩემპიონატის ჩატარების სისტემაზე რას იტყოდით? ანუ, რამდენგუნდიანი ჩემპიონატი იქნებოდა უფრო მისაღები?

- „სამართლიანი თამაშის" პრინციპს ყველა თუ არ დაიცავს, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატში...

- დაბოლოს, „დინამოს" უახლოეს გეგმებსა და გუნდში მომხდარ ცვლილებებზეც...

- გუნდი 8 ივნისამდე ისვენებს, ამის მერე დილის ბაზაზე შეეკრიბებით და 28 ივნისამდე აქ მოვემზადებით. შემდეგ გველოდება შეკრება გერმანიაში, სადაც ოთხ ან ხუთ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ. სამმაღლობით 10 ივლისს დავბრუნდებით და ევროპის ლიგის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო რაუნდისათვის მოვემზადებით. რაც შეეხება ცვლილებებს, ოყოროს გარდა, გუნდი დატოვა ბომიჩმა, ვისაც „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. ახალწეულებიდან ჯერ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან ითამაშებს გიორგი სომხიშვილი, ვინც ბოლოს ზუგდიდის „მგლების" კარს იცავდა. ამას გარდა, გერმანულ შკოლაზეც და საქართველოშიც რამდენიმე პოტენციურ ახალწვეულს დავაკვირდებით...

გია ტუხაშვილი

დინამო 2008/09
ყველა მატჩი

I წრე

გაბარა-დინამო	2:1
დინამო-სპარტაკი	4:1
ლოკომოტივი-დინამო	1:0
დინამო-ოლიმპი	2:1
ზესტაფონი-დინამო	1:0
მთსხეთი-დინამო	1:3
სიონი-დინამო	1:2
დინამო-ვიტ ჯორჯია	2:2
გვლეხი-დინამო	0:1
დინამო-გორგომი	5:0

II წრე

დინამო-გაბარა	3:0
სპარტაკი-დინამო	0:3
დინამო-ლოკომოტივი	2:1
ოლიმპი-დინამო	1:0
დინამო-მთსხეთი	4:0
დინამო-სიონი	4:1
ვიტ ჯორჯია-დინამო	1:1
დინამო-ზესტაფონი	2:0
დინამო-გვლეხი	2:1
გორგომი-დინამო	0:4

III წრე

გაბარა-დინამო	0:1
დინამო-სპარტაკი	2:2
ლოკომოტივი-დინამო	0:0
დინამო-ოლიმპი	2:1
ზესტაფონი-დინამო	0:4
დინამო-მთსხეთი	2:0
სიონი-დინამო	1:1
დინამო-ვიტ ჯორჯია	1:1
გვლეხი-დინამო	1:0
დინამო-გორგომი	12:0



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

ვინ დაიკავებს უმაღლესი ლიგის ორ ადგილს?

მარლესაც და, ვინ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში? ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ამადაც გაჩნდა ათასგვარი მითქმა-მოთქმის საფუძველი. შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება, წმინდა სპორტული თვალსაზრისით, ახალციხის „მესხეთმა“, თბილისის „ამერმა“ და „საბურთალომ“ მოიპოვეს. უმაღლესიდან გავარდნენ „ბორჯომი“, „გაგრა“ და ცხინვალის „სპარტაკი“. თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმა 2009/10 წლების სეზონში უეცრად მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება და ორი კლუბის მიხედვით - „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“, „ოლიმპსა“ და „ზესტაფონს“. ამ ვარაუდების გარდა, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზია კიდევ შვიდ კლუბს უდევს ჯიბეში - „სიონს“, „მგლებს“, „ლოკომოტივს“, „გაგრას“, „სპარტაკს“, ზუგდიდის „ბაიასა“ და მარტვილის „მერანს“. გამოდის, რომ საგზურის მომპოვებელი გუნდებიდან უმაღლესში თამაშის ლიცენზია არც ერთ კლუბს არ გააჩნია - არც „საბურთალოს“, არც „მესხეთს“ და არც „ამერს“. უმაღლესიდან გავარდნილმა „გაგრამ“ და „სპარტაკმა“, ავარეთვე, პირველი ლიგის დასავეთ ზონაში მეორე-მესამე ადგილზე გასულმა „ბაიამ“ და „მერანმა“, ნებისთ, პირველ ლიგაში უნდა იასპარეზონ. მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ უმაღლესში გადასვლა, თუ უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბი ლიცენზირების კომიტეტის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. მაშინ ულიცენზიო კლუბს რომელიმე მათგანი ჩაენაცვლება.

ანუ, უმაღლესში თამაშის სურვილი და ამბიცია ერთდროულად აქვთ „ამერს“, „სამგრდიას“, „მესხეთს“, „გაგრას“, „ბაიასა“ და „მერანს“. ყველაზე სანტრერსო კი ის არის, რომ თითოეულ მათგანს მთავარ ქართულ ლიგაში თამაშის იმედი აქვს, არადა, უმაღლესში ადგილი მხოლოდ ორს ეკუთვნის.

პრობლემა უმაღლესი ლიგის საგზურის მფლობელებს შეექმნათ - „სამგრდიამ“ დროულად ვერ გააკეთა ლიცენზია, „ამერსა“ და „მესხეთს“ ფინანსური პრობლემები აქვთ. ამასობაში კი „გაგრა“, „სპარტაკი“, „ბაია“ და „მერანი“ საგზურს ვერ ფლობენ, თუმც ლიცენზია აქვთ და ამის იმედად, საკუთარ ადგილს უმაღლეს ლიგაში ხედავენ.

არის შანსი, იმ პრეცედენთ დაიჩაგროს „სამგრდიამ“, რომელიც ლიცენზირებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებს უმაღლესში გადასვლის არც ამბიცია ჰქონდათ და არც სჯეროდათ ამის, ამიტომ, ლიცენზიაზე მხოლოდ ბოლოსკენ დაფიცურდნენ. გუშინ რამდენიმე კლუბს დავუკვირდით და ვიხილეთ, რომ 99-პროცენტიანი შანსია, „სამგრდიამ“ უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. ყველაფერი გადაწყდება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე, რომლის გამარჯობის თარიღიც ჯერ კიდევ ზუსტდება. ჩვენ უმაღლესი ლიგის ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებთ - საჭირო დოკუმენტაციაც გამზადებულია, ფინანსურად ნებაც გამართულები ვართ და სპორტული კუთხითაც ვიმედოვნებ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი ადგილი დამსახურებულად დავიკავეთ. ვალერიან ზჰრასტიშვილმა დაამტკიცა, რომ „თურანაულის პატრონები, ტყეში პანტას ტყეულად ვეძებთ“. გამოცილით და პრაქტიკით მწყრონილია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გუნდი არაფრისგან ჩამოვალიდგა.

- უმაღლეს ლიგაში „სამგრდიას“ 172 ათასი ლარი აღარ ეყოფა. გაქვთ კი ის მინიმალური 300 ათასი ლარი, რომელიც ელიტური ლიგისთვისაა საჭირო?

- ხარჯები მართლაც სერიოზულად გაგვეზრდება, რადგან მარტო თბილისში სეზონში 20-ჯერ მაინც მოგვინევს ჩასვლა. თუმცა ბოუჯეტიც გაიზრდება და 300 ათასი ლარითაც არ შემოვიფარგლებით. უკვე გამოჩნდა ხალხი, რომელსაც თანადგომის სურვილი გააჩნია. სხვათა შორის, პირველი ლიგის მოგების შემდეგ, „კაკვასუს ონლაინმა“ პრემია გადმოგვცა. ჩვენს თანადგომას კიდევ ერთი ცნობილი კომპანია აპირებს საკუთარი სურვილით, მაგრამ კონკრეტული გაფორმებამდე მის ფირმის მოვერიდებთ. ფაქტია, რომ უმაღლესში „სამგრდიას“ გადასვლამ ქალაქში უდიდესი ემოცია გააღვიძა.

- ვის დამატებას აპირებთ?

- გუნდი 15 ივნისისთვის შეიკრიბება. ბევრი სანინტერესო მოთამაშე შეივიყენეთ. თუმცა აღმასკომიდან ოფიციალურად ორ ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვიეს, რუსეთისა და საქართველოს 21-წლამდელთა გუნდში. შემდეგ **ჯაბა ცხადაძემ** იმ ფეხბურთელთა ვინაობა გაიცხადა, რომლებიც მოლდოვასთან ემზადებიან. სიაში არ არის გრიგალეკი. ანუ ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ჩვენ ამ ნიჭიერ ფეხბურთელს ვკარგავდით (ალბათ, ვერ აღმოჩნდა მზად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისთვის), ახლა კი ასე არაა - რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში რომც ითამაშონ, სამომავლოდ გრიგალავას გამოყენება შეგვეძლება (ოლონდ, ეროვნულ ნაკრებში), თუკი, რა თქმა უნდა, ფეხბურთელი თავად მოინდომებს და მოქალაქეობას შეიცვლის. მაგალითისთვის, ჩვენს ნაკრებში შეგვეძლება გამოვიყენოთ ისრაელში მოთამაშე **ირაკლი გეფრინდე**, ვისაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია. ან ოდესმე დავიბრუნოთ **თეიმურ ფარცვანია** („დინამო“ კიევი, უკრაინა), **გიორგი მიქაძე** (რუსეთი) და ასე შემდეგ...

ერთი მხრივ, კარგი პერსპექტივაა, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს და ჯერ კიდევ საკითხავია, ახალი წესით ვინ უფრო იხეირებს - ლარინი საფეხბურთო ქვეყანა (მაგალითად, ჩვენ) თუ მდიდარი? ისევ კონკრეტულ საუბარს დავუბრუნდეთ, 60 დღის განმავლობაში შემდეგ **ბერტი ფოგთსს** თავისუფლად შეუძლია აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებში დუბახოს **გიორგი ადამას**, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, დიდებში კი - ჯერ არა, თანაც გიორგი უკვე არის აზერბაიჯანის მოქალაქე... ანაც, სხვა ქვეყნების მოთამაშე ახალგაზრდები ნაგვარეთ (**ივანიშვილი** - შვეიცარიის, **ანანიძე, კვეკვესკირი** - რუსეთის) ნებისმიერ დროს, სანამ ისინი საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურას არ მოირგებენ.

ნიკოლოზ ნებსარიძე

მოსაზრება ტრანსფერები

ასათიანი ორ-სამ დღეს ითხოვს

პირველი ვარჯიში სიონთან ერთად და სავარაუდო სია...

რწმუნდებით ჩანს, მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი **მალხაზ ასათიანი** ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია. მან არ იცის, დარჩება რუნიც ზეღათა გუნდში თუ კიევლთა კიდევ ერთ წინააღდეგობის მიიღებს იჯარის თაობაზე. ტელეარხ „სპორტთან“ ინტერვიუში ჩვენებურმა განაცხადა, რომ უფრო „ლოკომოტივში“ დარჩენისკენ იხრება, თუმცა არც მეორე ვარიანტს გამორიცხავს:

„უკან დაბრუნება ძალიან სასიამოვნოა, ეს ბაზა ჩემთვის სახლივით არის. მე ხომ ამქ 6 წელი გავატარე და თავს კარგად ვგრძნობ. იმედი მაქვს, კარიერას „ლოკომოტივში“ გავაგრძელებ, მაგრამ სამწუხაროდ რამდენიმე საკითხია გადასაწყვეტი. ასე რომ, ოფიციალურად დაბრუნდი თუ არა, ჯერ ვერ ვიტყვი, ასე 2-3 დღის შემდეგ ყველაფერი გაირკვევა კონკრეტული ვითარება. ძალიან კარგი კოლექტივი დამხვდა, მასთან ურთიერთობა ჩემთვის ისიც მთელი იყო“, - ამბობს ასათიანი.

შეგახსენებთ, რომ კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა **გრიგორი სურკისმა** ჩვენს თანამემამულის ახალი, ნახევარწლიანი იჯარა შესთავაზა. მალხაზმა უკვე მიიღო მონაწილეობა „ლოკომოტივში“ დაბრუნებული **იური სიომინის** მიერ გამართულ პირველ ვარჯიშებში. 24 ივნისს მოსკოველი რკინიგზელები ავსტრიელ შეკრებას იწყებენ. მალხაზი უკვე შეიყვანეს მეკრებაზე წამსვლელთა სავარაუდო სიაში.

ნიკოლოზ ნებსარიძე

ლაგვიაში ქართველი ისინჯება

ლატვიური ვირსლიგის კლუბ „დინაბურგში“ სინჯებზე ქართველი ფეხბურთელი **ვასილ ლუქაშელი** იმყოფება. შეგახსენებთ, რომ დაუგვიშლურ კლუბს ქართველი თავდაცი ჰყავს - **თამაზ ბერტია**, გუნდში კი უკვე არის ერთი ქართველი ლეგიონერიც, 21 წლის მცველი **ირაკლი ქორთუა**. ლატვიის ჩემპიონატი ჯერ ახალი დაწყებულია, „დინაბურგი“ 11 თამაშიდან 15 ქულით მე-4 ადგილზეა, თუმცა დანინაურებულ სამეულს („ვენტსპილსი“, „მეტალურგსი“, „ასკონტო“) უკვე გვარიანად ჩამორჩება. „დინაბურგის“ ოფიციალური საიტის მტკიცებით, ლუქაშელის საკითხი უახლოეს დღეებში დადასტურდება. ლუქაშელი ფორვარდია, ის 24 წლისაა და საქართველოში „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშით იცნობენ.

ნიკოლოზ ნებსარიძე

გადადგომა

სპანდერაშვილი წავიდა

რუსეთის მეორე დივიზიონის კლუბ როსტოვის სკა-ს მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან წავიდა გუდაუს ქართველი თავკაცი **ბაღრი სპანდერაშვილი**. მან და მისმა თანაშემწე **ალექსანდრე ზალილიშვილმა** თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადება დაწერეს მას შემდეგ, რაც სკა მე-11 ტურში მინ ვოლტყის „ენერგიასთან“ დამარცხდა - 1:3. სანდერაშვილის ხაცვლად სკა-ს ფრონტთან **ოლეგ ვდოვინენკო** გაეწვინის. სკა სამხრეთის ზონის 19-გუნდიან ჩემპიონატში 8 ქულით მე-17 ადგილზეა. სამწვრთნელო შტაბში ერთი ქართველი მაინც იყოფა - მკარეთა მწვრთნელი **გოჩა მიქაძე**.

ნიკოლოზ ნებსარიძე

ფიფას კორნერი

იხეირებს საქართველო ახალი წესით?

გრიგალავას გზაგასაყარი ფიფამ მოუშალა

ბაჰამის კუნძულებზე, ქალაქ ნასაუში ფიფას მორიგი კონგრესი მიმდინარეობს, რომელმაც უკვე გამოიტანა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ყველაზე მეტად აღებათ ის გადაწყვეტილება შეგვეხება, რომლის პროექტიც ალფორის ფეხბურთის ფედერაციამ შეიტანა კონგრესზე განსახილველად და რომელიც ხმათა უმრავლესობით გავიდა. ამიერიდან ფეხბურთელს, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს, ან რომელმაც მოქალაქეობა შეიცვალა, შეუძლია ახალი ქვეყნის სახელით ითამაშოს, თუკი ძველი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში არ უთამაშია. აქამდე ფეხბურთელი 21 წლამდე ასაკში უნდა ჩამოყალიბებულიყო ეროვნების საკითხში, ახლა კი ეს ნინაღობა აღარაა, მას შეიძლება ჰქონდეს ნათამაშები ძველი სამშობლოს ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ ეროვნულში სხვა ქვეყნის სახელით იასპარეზოს. ალტერენტებმა ეს წინააღმდეგობა იმიჩომ შეიტანეს, რომ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ეგულებათ, რომელსაც საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია (მაგ. **დენის აოგო, მამადუ სამასა, ზურად მაღნი**), მაგრამ ერთხელაც არ გამოუხახებიათ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში. ნაკრების შეცვლის წესი მხოლოდ ეს დეტალი (ანუ ასაკობრივი ცენზი) შეიცვალა, სხვა დეტალები კი ძველი რჩება. ახალი კანონი 60 დღის განმავლობაში შევა ძალაში.

ფიფას კონგრესზე განიხილეს ოლიმპიურ ფეხბურთთან დაკავშირებული საკითხებიც. ფიფა აპირებს ოლიმპიურ ნაკრებთა ასაკობრივი ლიმიტის ჩამოწევას 23-დან 21 წლამდე, მაგრამ ეს ალარ გააკეთა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ზეწოლით. მეგობარ გავრცელებული ხმებით, ამ შემთხვევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური პროგრამიდან ფეხბურთის ამოგდებით დამუქრება, რაც ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** უარყო, ოღონდ, ნაწილობრივ:

„ფეხბურთის ოლიმპიური პროგრამიდან ამოგდება ზეპ ბლატერის არ ყოფილა. უბრალოდ იყო საუბარი, საფეხბურთო ტურნირი ოლიმპიადაზე შეეკვეცათ. ახლა ოლიმპიადაზე 16 ვაჟთა და 12 ქალთა გუნდი გამოდის, თუკი ასაკს შევამცირებდით, ფეხბურთის ამდენი გუნდის გამოყვანა ოლიმპიურ თამაშებზე აღარ შეეძლებოდა“.

ფიფამ კონგრესზე ერთი ცვლილება მაინც მიიღო, ოლიმპიადაზე გუნდში სამი ასაკოვანი ფეხბურთელის გამოყვანის უფლება უმშობა. კონგრესმა ბლატერს მოუწონა 6+5 წესი, თუმცა გადაწყვეტილება ასეთი მიიღო - გაგრძელდეს მუშაობა ამ წესზე. ისევე, როგორც, წესზე, რომელიც კრძალავს 18-წლამდელ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტრანსფერს. ბლატერმა განაცხადა, რომ ამ წესების განხორციელების დრო მალე დადგება, მაგრამ როდის, ვერ დაასკონკრეტა. გასული წელს ფიფას სუფთა მოგება 184 მილიონი დოლარი ყოფილა.

დავუბრუნდეთ პირველ წესს, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად შეგვეხება. ავიღოთ 19 წლის **გია გრიგალავას** მაგალითი - ჩვენ ვნერდით და ფეხბურთელიც თავადვე მიიჩნევდა, რომ გზაგასაყარზე იდგა, იგი ერთდროულად ორ ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, რუსეთისა და საქართველოს 21-წლამდელთა გუნდში. შემდეგ **ჯაბა ცხადაძემ** იმ ფეხბურთელთა ვინაობა გაიცხადა, რომლებიც მოლდოვასთან ემზადებიან. სიაში არ არის გრიგალავა. ანუ ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ჩვენ ამ ნიჭიერ ფეხბურთელს ვკარგავდით (ალბათ, ვერ აღმოჩნდა მზად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისთვის), ახლა კი ასე არაა - რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში რომც ითამაშონ, სამომავლოდ გრიგალავას გამოყენება შეგვეძლება (ოლონდ, ეროვნულ ნაკრებში), თუკი, რა თქმა უნდა, ფეხბურთელი თავად მოინდომებს და მოქალაქეობას შეიცვლის. მაგალითისთვის, ჩვენს ნაკრებში შეგვეძლება გამოვიყენოთ ისრაელში მოთამაშე **ირაკლი გეფრინდე**, ვისაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია. ან ოდესმე დავიბრუნოთ **თეიმურ ფარცვანია** („დინამო“ კიევი, უკრაინა), **გიორგი მიქაძე** (რუსეთი) და ასე შემდეგ...

ერთი მხრივ, კარგი პერსპექტივაა, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს და ჯერ კიდევ საკითხავია, ახალი წესით ვინ უფრო იხეირებს - ლარინი საფეხბურთო ქვეყანა (მაგალითად, ჩვენ) თუ მდიდარი? ისევ კონკრეტულ საუბარს დავუბრუნდეთ, 60 დღის განმავლობაში შემდეგ **ბერტი ფოგთსს** თავისუფლად შეუძლია აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებში დუბახოს **გიორგი ადამას**, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, დიდებში კი - ჯერ არა, თანაც გიორგი უკვე არის აზერბაიჯანის მოქალაქე... ანაც, სხვა ქვეყნების მოთამაშე ახალგაზრდები ნაგვარეთ (**ივანიშვილი** - შვეიცარიის, **ანანიძე, კვეკვესკირი** - რუსეთის) ნებისმიერ დროს, სანამ ისინი საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურას არ მოირგებენ.

ნიკოლოზ ნებსარიძე

ჩვენები უცხოეთში

ბოსნიის ნაკრებში ქართველი ითამაშებს

კუტალიათი ანდერლეხტი და სივასფორი დაინტერესდნენ

ლევან კუტალია

რა დასამალია და, ბევრი ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრებში თამაშის იმედად, იტყუება. რას ვგულისხმობთ? უცხოეთში უამრავი ჩვენებური ნასული და ბუნებრივია, თითოეულ მათგანს ყურადღებას ვერ ვაქცევთ, არ ვიცით, რეალურად რა დონეზე თამაშობენ და ამ დროს კი, ამტკიცებენ - უცხო ქვეყნის ნაკრებში მიწვევენ და თუ არ გიწდათ დამკარგოთ, საქართველოს ნაკრები ბევრი.

ბნელია გადაამინშო, რომელ მათგანია ტალანტი და რომელი - ოფიციალური. მსგავს განცხადებებს ჟურნალისტები დე, მით უფრო, მწვრთნელები უკვე ფრთხილად ვუდგებით და რა დასამალია, ასეთების უმთავრესად არც გვჯერა.

შესაძლოა, სწორედ ასეთი სიფრთხილე გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველომ საინტერესო ფეხბურთელი დაკარგა. მალე ბოსნია-ჰერცეგოვინის ახალგაზრდული ნაკრების ლირსების **ლევან კუტალია** დაიცავს. ამ ბალკანური ქვეყნის ნაკრების მწვრთნელის ყურადღება კუტალიამ იქნარ წემპიონატში გამოსვლით მიიქცია. ზუგდიდის „მგლების" ყოფილი მარცხენა ნახევარმცველი სარაევოს „სლავიაში" ორი წლის წინ ჩაიარიცხა. ეს გუნდი ან დასრულებულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და ქვეყნის თასსაც დაეუფლა.

„ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ შემომთავაზეს ქვეყნის მოქალაქეობა და ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში, მაგრამ ფეხს ვითრევდი. ქართველი ვარ და მეგონა, საქართველოს ნაკრებში მიმიწვევდნენ. საამისოდ ბევრიც გავაკეთე, სხვადასხვა ხალხის პირით ფედერაციამდე ჩემი ამბავი მიიტანეს, მაგრამ არავინ დაინტერესდა. ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება", - ამბობს კუტალია.

ორი წლის განმავლობაში „სლავიაში" კუტალია გუნდის ერთერთ საკვანძო ფიგურად ჩამოყალიბდა. ბოსნიის თასის ბედი სწორედ 20 წლის ქართველის კარგმა თამაშმა გადაწყვიტა. „სლავიამ" სამასურთ მატჩში „სლობოდას" სწორედ ტუტალიას ფუძლით მოუგო და თითქმის წაგებული მატჩის ბედი შემოაბრუნა.

„ჯერჯერობით „სლავიაში" ვთამაშობ და ამ კლუბის ხელშეკრულებაც მაქვს. ნაკრებში ჯერ არ მიწვევენ, მაგრამ ვფიქრობ, ეს დროის საკითხია. ვიცი, რომ ბოსნიის ნაკრებში ბევრი ქართველი თამაშობს და ამ ფაქტორსაც გარკვეული როლი ითამაშებს", - ამბობს კუტალია.

ფინალის შემდეგ კუტალიათი რამდენიმე ცნობილი კლუბი დაინტერესდა: „მუნიციპალი მითხრა, რომ ჩემი ტრანსფერის გამოსყიდვა „ანდერლეხტს" და თურქეთის უმაღლესი ლიგის კლუბ „სივასფორს" სურთ. თუმცა „სლავიას" პრეზიდენტი არ მიშვებს. მისი ჩანაფიქრი ჩემთვის გასაგებია, გუნდმა ევროპის ლიგაში უნდა ითამაშოს და თუკი ამას ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშიც დავამატება, ჩემი სატრანსფერო ფასი ბევრად გაიზრდება და კლუბიც მეტად იხეირებს".

ბოსნიის ბოლო ჩემპიონატში 20 წლის ქართველი ხუთჯერ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. მისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ბოლო სამი ტური, როცა მედიამ ის სამიჯერ საუკეთესო თერთმეტეულში დაასახელა.

მერაბ მამულაშვილი

ჩვენები უცხოეთში

დევდარიანი და ოთხეული გერმანიაში

საფეხბურთო კლუბმა „საბურთალომ" გასული წლის მაისში გერმანულ კლუბ „მაგდებურგთან" პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა. ეს ცნობილი კლუბია - 1974 წელს თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. თუმცა, ამჟამად, „მაგდებურგი" გერმანული რეგიონალიგიდანაც გავარდა. არადა, კლუბს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საფეხბურთო სკოლა აქვს და თანამშრომლობის იდეაც აქედან წარმოიშვა.

ხელშეკრულება ქართველი ახალგაზრდებისა და მწვრთნელების გერმანიაში სტაჟირების ითვალისწინებს. „მაგდებურგის" თავკაცებმა „საბურთალოს" ოფისში მიწვევა ჯერ კიდევ იანვარში გამოგზავნეს, მაგრამ ბავშვებს ვიზები არა და არ ეღირსათ.

გუშინ „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **ჯაბა ჭუმბრიძემ** გვამცნო, რომ სავიზო პრობლემა მოგვარდა და ბავშვები გერმანიაში რამდენიმე დღეში გაემგზავრებიან.

„მაგდებურგის" ბაზაზე ოთხი ქართველი იეარჯიშებს - **როსტომ გეწაძე, ბესო ამაშუკელი, თორნიკე ნემსაძე** და **გიორგი ფურცელაძე**. გერმანიაში სტაჟირებაზე მიემგზავრება საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანე**. ქართველი „დელეგაცია" გერმანიაში ერთ ყვირას გაჩერდება, რადგან 21 ივნისს თბილისში 17-წლამდელთა გუნდის შეკრება იწყება.

მერაბ მამულაშვილი

სპარტაკიადა

დევდარიანის ბრწყინვალე ორმაგი

ალბათ ყველაზე ლამაზი გოლი ამ სეზონში

ალექსანდრე კოტოროშვილის ფოტო

სკოლებშორის

ფინალისტები ცნობილია, გამარჯვებული ბათუმში გაირკვევა

აქაც გადაზრდილები? ორი გუნდი გათამაშებიდან მოხსნეს

„ჰეპისის თასის" გათამაშება, ვგრძნობთ, ყოველწლიურად ტრადიცია. წლევანდელ, ორგანიზებულ აგიყავით. მეც დასფიქრებული აღარაფერ მქონდა და დავთანხმდი. მალე ბოსნიელები საკართველოს ფედერაციაში ჩერნის გამოვ ზავნან და ოფიციალურ დასტურს მიიღებენ, რომ არც ერთ ნაკრებში არ მითამაშია, რომ ჩემზე პრეტენზია არ აქვთ... მერე მომცემენ ბოსნიის მოქალაქეობას. სექტემბერში კი შესარჩევი ციკლის პირველ შეხვედრასაც ჩავატარებ, რადგან ბოსნიაში უკვე ორი წელია ვთამაშობ".

ფინალის შემდეგ კუტალიათი რამდენიმე ცნობილი კლუბი დაინტერესდა: „მუნიციპალი მითხრა, რომ ჩემი ტრანსფერის გამოსყიდვა „ანდერლეხტსა" და თურქეთის უმაღლესი ლიგის კლუბ „სივასფორს" სურთ. თუმცა „სლავიას" პრეზიდენტი არ მიშვებს. მისი ჩანაფიქრი ჩემთვის გასაგებია, გუნდმა ევროპის ლიგაში უნდა ითამაშოს და თუკი ამას ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშიც დავამატება, ჩემი სატრანსფერო ფასი ბევრად გაიზრდება და კლუბიც მეტად იხეირებს".

ბოსნიის ბოლო ჩემპიონატში 20 წლის ქართველი ხუთჯერ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. მისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ბოლო სამი ტური, როცა მედიამ ის სამიჯერ საუკეთესო თერთმეტეულში დაასახელა.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

II ლიგა

აღმოსავლეთი ზონა. XXXი ტური

სპარტაკი-2-არაგველები	3:0
ი. ბ. უ.-ალგეთი	5:1
ამირანი-გარიგეთი	3:0
იმედი-ლილები	1:2
35 სკოლა-ერთობა	2:1
ნ. ფიდანი-2-ალაზანი	0:3
ლოკომოტივი-2-ზოლეთი	5:0
დუშეთი-სამგორი	3:3
გორგეთი-2-ქარელთი	0:3

	თ	მ	ფ	ნ	გ	ქ
1. ლოკომოტივი-2	31	21	5	5	75-29	68
2. ISSU	31	21	2	8	82-40	65
3. ამირანი-2	31	19	5	7	54-24	62
4. სპარტაკი-2	31	18	6	7	69-34	60
5. დუშეთი	31	17	6	8	59-37	57
6. 35 ს. ს.	31	17	5	9	63-47	56
7. ლიახვი	31	17	4	10	64-47	55
8. წარგეთი	31	16	6	9	51-33	54
9. ჯეროვი-2	31	13	4	14	57-47	43
10. სამგორი	31	11	8	12	62-52	41
11. არაგველები	31	10	6	15	37-47	36
12. ალგეთი	31	10	6	15	41-65	36
13. ერთობა	31	10	3	18	38-71	33
14. იმედი	31	8	8	15	36-58	32
15. ალაზანი	31	9	3	19	29-48	30
16. ზოლეთი	31	8	6	17	36-62	30
17. გორგეთი-2	31	7	1	23	23-76	22
18. ნ. ფიდანი-2	31	3	4	24	20-79	13



სპარტაკიადა

ალბათ ყველაზე ლამაზი დევდარიანის ორმაგი

სპარტაკიადა „ალგორითმის" გამარჯვებით დასრულდა თბილისში მინი-ფეხბურთში „ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის" გათამაშება. „სუპერლიგის" ტურნირის ბოლო ტურში „ალგორითმმა" სპორტის დეპარტამენტის გუნდს მაჯრის ბოლო წუთზე გაუტანა გადამწყვეტი გოლი (4:3) და ჩემპიონის ტიტულთან ერთად მთავარ პრიზს დაეუფლა. ერთი დღით ადრე გაიმართა „უმთავრესი ლიგის" უკანასკნელი მატჩი. საქართველოს უნივერსიტეტებში ნამოვლის AMTS-JAMG-ს და ბუთების უკეთესი შეფარდებით გაიხსნა დუსპირველობა. გამარჯვებულები, პრიზობრივები და საუკეთესო მოთამაშეები ერთიანი ლი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვეტერ კუხერმა**, სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** და ლუქსემბურგ „ბატატარის" ბრენდ-მენეჯერმა **ანა ქარჩავამ** დააჯილდოვეს.

პირველი ტურნირი, რომელშიც 21 გუნდი მონაწილეობდა, ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის" და სპორტულ საგაზეთო SBM GEORGIA-ს მოეწ იყო ორგანიზებული.

თენგიზ თოთაშვილი

სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირები

X ტური

ალექსანდრე ჭიაბერაშვილი	2:6
შალვა ფოფხაძე	3:2
ალექსანდრე ბერიძე	3:4
ალექსანდრე ბერიძე	10:1
ლევან ჯაბანიძე	0:2

	თ	მ	ფ	ნ	ქ
ალექსანდრე ჭიაბერაშვილი 1	10	8	0	2	24
ალექსანდრე ბერიძე	10	7	1	2	22
ალექსანდრე ბერიძე	10	6	3	1	21
ალექსანდრე ბერიძე	10	5	4	1	19
ალექსანდრე ბერიძე	10	5	2	3	17
ალექსანდრე ბერიძე	10	4	2	4	14
ალექსანდრე ბერიძე	10	4	0	6	12
ალექსანდრე ბერიძე	10	2	3	5	9
ალექსანდრე ბერიძე	10	2	2	6	8
ალექსანდრე ბერიძე	10	1	3	6	6
ალექსანდრე ბერიძე	10	0	2	8	2

უმაღლესი ლიგა

IX ტური

იუ ჯი ოი-ალგორითმი 2	3:5
დინამო-აფხაზეთი	5:2
სპძ. უნივერსიტ.-AMTS-JAMC	6:0
თი ბი სი-სტანდარტანაკი	0:0
სპძ. ბანკი-საორგმთდა	5:0

	თ	მ	ფ	ნ	ქ
სპძ. უნივერსიტ.	9	6	1	2	19
აფხაზეთი	9	6	1	2	19
დინამო	9	6	1	2	19
იუ ჯი ოი	9	5	2	2	17
სპძ. ბანკი	9	4	2	3	14
სტანდარტანაკი	9	4	2	3	14
თი ბი სი	9	4	1	4	13
ალგორითმი 2	9	3	1	5	10
AMTS-JAMC	9	1	1	7	4
საორგმთდა	9	0	0	9	0

ტრანსფერი

კაკა, მილანი და რეალი ორშაბათის მოლოდინში

დღე არ გავა, იტალიურ პრესაში **კაკას** შესახებ ახალი ინფორმაცია რომ არ გავრცელდეს. ეს თემა ევროპულ საფეხბურთო სამყაროში ყველაზე აქტუალურია და ჩვენც მაქსიმალურ ყურადღებას ვუთმობთ. ესპანური პრესა ჯერჯერობით ამ საკითხებზე ცოტა ხნით ჩუმდება და ფორმალურ მხარეს ამ დღეები მოეკვეთება, მილანელები კი ჯერჯერობით მოცდას ამჯობინებენ და აცხადებენ, რომ კაკა ამ ეტაპზე კვლავაც „მილანის“ ფეხბურთელია. გუშინ, ტელეკომპანია Raiuno-ს პოპულარულ გადაცემა PORTA A PORTA-ს „მილანის“ პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** ესტუმრა და სხვა საკითხებთან ერთად, კაკას ტრანსფერის თემასაც შეეხო:

„დამპლეის აზრი არ აქვს, „რეალის“ მესვეურებთან მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტრანსფერი უკვე შედგა და კაკას მადრიდში გადაბარგება გადაწყვეტილი ამბავია. ესპანელები ძალიან დიდ თანხას გვთავაზობენ და ჩვენც ვფიქრობთ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას კაკას გარეშე ვერ მივიღებთ. რაკისთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს და პირველ რიგში, მის აზრს გავითვალისწინებთ. ამჟამად კაკა ბრაზილიის ნაკრებთან ერთად არის შეკრებაზე და მის დაბრუნებას ველოდებით. ორშაბათს, რაკის და მამამისს შევხვდები და ყველაფერზე დავილაპარაკებთ. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდება, თუ სად გააგრძელებს კარიერას ფეხბურთელი“.

როგორც ხედავთ, იქით კვირამდე მოგვიწევს მოცდა, ყველაფერს ნათელი ორშაბათს მოეფინება. მაშინ, როდესაც „სქაი იტალია“ კაკას მადრიდში გადასვლას თითქმის გადაწყვეტილად მიიჩნევს, „გაზეტა დელო სპორტი“ უფრო თავშეკავებულია და ბრაზილიელის ლომბარდიაში დარჩენის შანსს საკმაოდ რეალურად აფასებს. ჟურნალისტი გვახსენებს, რომ ზუსტად ანალოგიური ვითარება იყო მაშინაც, როდესაც კაკას გადაბირება „მანჩესტერ სიტის“ სურდა. მასმედიის გარიგება შემდგარი ეგონა, როდესაც ბერლუსკონის და ფეხბურთელის შორის მეხვედრა დაიგეგმა. შეგახსენებთ იმასაც, თუ რით დასრულდა ის შეხვედრა - პრეზიდენტმა ჯეკობა კაკას, სურდა თუ არა მას კარიერის ინვლისში გაგრძელება, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. გულმაუკმეხილი სილვიო გადაეხვია ფეხბურთელს და ოთახიდან გამოსულმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „კაკა „მილანში“ რჩება“.

დაახლოებით ანალოგიური შეხვედრა შედგება ორშაბათს და რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ სცენარი იგივენაირად განვითარდება? გამორიცხული მართლაც არაფერია, თუმცა აქ ერთი მომენტია - ის, რომ კაკამ „მანჩესტერ სიტიში“ თამაში არ მოისურვა, სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, აი „რეალზე“ უარის თქმა კი ცოტა რთული საქმეა.

„სქაი იტალია“ ხშირად აერცელებს გადაუმწყობებელ ინფორმაციებს, მისი ბრძად ნდობა არ შეიძლება, მაგრამ საგულისხმო ცნობების თქვენამდე მოტანას მაინც საჭიროდ მივიჩნევთ. სწორედ „სქაის“ ჟურნალისტი გვიმბაკიცებს, რომ ბრაზილიის ნაკრების ვარჯიშზე ყოფნისას, კაკას და მისი მეგობრების დილოგს შეესწრო. საუბარი სწორედ რაკის მადრიდში გადასვლას ეხებოდა და თუ ჩვენს იტალიელ კოლეგას დავუჯერებთ, რაკის შემდეგი რამ უთქვამს: „ყველაფერი დამთავრებულია, ფორმალობები მოგვარდება და „რეალის“ ფეხბურთელი გავხდები. იმედია, მადრიდში მეგდნიერი ვიქნები“.

ერთი სიტყვით, გულშემატკივრების არ იყოს, მასმედიაც დიდ გაურკვევლებაშია. ჩვენ კი ისევ ბერლუსკონის დაკუმურნედეთ, რომელმაც **ლეონარდოსთვის** გაცემული ავანსი ასე ახსნა: „ანჩელოტისადმი ჩემი დამოკიდებულება ყველამ კარგად იცით. ამ ადამიანს უდიდეს პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში. სხვაგვარად, მთელი რვა წლის განმავლობაში ვერ ეხედებოდა საათვში „მილანს“. მასთან ერთად, უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ, რაც არასდროს დამავიწყდება. „მილანის“ ისტორიაში ყოფილა არიგო საკის და ფაბიო კაპელოს ეპოქა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გვქონდა კიდევ ერთი, ანჩელოტის ერა. რაც მთავარია, კარლოს ანყობილი „მილანი“ დღესაც სახე ზეა და მას კიდევ შეუძლია მწვრთველების დაპრობა. რაც შეეხება ლეონარდოს, მასში ყოველთვის ვხედავდი პოტენციურ მწვრთნელს. ძალიან გონიერი ადამიანია და ფეხბურთში იდეალურად ერკვევა. მასთან არაერთი საუბარი მქონია და ყოველთვის მოხიბლული დავრჩენილვარ. დარწმუნებული ვარ, გუნდს ახალ ენერგიას შთაბერავს და წარმატებებიც არ დააბარებს. „მილანმა“ უნდა დაიბრუნოს ჩვეული ადგილი ევროპული ფეხბურთის ელიტაში და ტროფეები მოიგოს“.

სანამ ბერლუსკონი ძველი დიდების დაბრუნებაზე საუბრობდა, **ჯენარო გატუზო** ღამის განმავლობაში ზარს შემოკრა. როგორც ჩანს, რინო ანჩელოტის ნასვლით უკმაყოფილოა და კაკას გარშემო არსებულმა ისტერიამ სულ მთლად გამოიყვანა წყობიდან. აი, რა განაცხადა ჯენარომ:

„სიმართლე გითხრათ, არ მომწონს ის ძერები, რომელიც გუნდში შენიშნეთ. ეს დღეები ყველა კაკას წასვლაზე ლაპარაკობს და როგორც ჩანს, ეს მართლაც რეალურია. თუ ასე მოხდა, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - ეს კრიზისია, კრიზისი. დიახ, სხვა სანელს უბრალოდ ვერ მოვძებნი. რაკი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და მისი გაყიდვა „მილანის“ მესვეურებმა არ უნდა დაუშვან. მჯერა, რომ კაკას „რონალდოდ“ წასვლა არ უნდა, მთავარია, კლუბმა არ მოინდომოს მისი გაყიდვა. მომავალ სეზონში დიდი გეგმები გვაქვს და კაკას გარეშე მიზნების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება“.

იტალიელი ჟურნალისტების ვარაუდით, გატუზოს აღშფოთებას სულ მალე გულშემატკივრებიც შეუერთდებიან. საგარაუდოდ, ფქმებზე ტიფოზები ბრაზილიელის შესაძლო გაპარკატებებს და „მილანის“ მესვეურებს „გალიანის“ ქომაგები ისედაც აღარ სწყალობენ და ადვილი წარმოსადგენია, რა რისხვა დაატყდებათ თავზე კაკას გაყიდვის შემთხვევაში. მოკლედ, ამ დღეებში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება, ორშაბათს კი ყველაფერი დასრულდება. მთავარი ისაა, მადრიდელი ულტრასები გაიხარებენ თუ მილანელი ტიფოზები.

სულ ბოლოს, ადრინო გალიანის მოვუსმინოთ, ვისი სიტყვებიც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ კაკა „რეალში“ გადასვლასთან ისე ახლოს არის, როგორც არასდროს: „დღეს გადაწყვეტილი არაა, გავყიდით თუ არა კაკას, მაგრამ ის, რომ მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია შესული, ამის უარყოფა შეუძლებელია. მადრიდის „რეალი“ ძალიან დიდ თანხას, დაახლოებით 70 მილიონ ევროს გვთავაზობს. ფინანსური კრიზისის ფონზე, ეს ფული ძალიან ნაადგება კლუბის განვითარებას და ნინსელა. გულით გვინდა კაკას შენარჩუნება, მაგრამ მინდა აქედანაც ვიცოდნ, რომ შესაძლოა ის „რეალში“ გადავიდეს. თუ ეს ასე მოხდა, საშუალება გვექნება საფუძვლიანად დადგიდეთ ტაქტიკაზე: 4-3-1-2. ასეთ შემთხვევაში, ერთი მეგაფორვარდის ყიდვა მოგვიწევს, რაზეც უკან დამხევი არ ვარ. აქვე, მინდა დავამშვიდო ჩვენი ტიფოზები და ვუთხრა მათ, რომ **კლარენს ზეედორფის** და **ანდრეა პირლოს** გასხვისება არ იგეგმება. ისინი „მილანში“ კიდევ დიდხანს ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურამ

მოსალოდნელი ტრანსფერი

იუვეს დ'აგოსტინო უნდა, მაგრამ ჯოვინკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან დასრულებულ სეზონში, შესანიშნავად იასპარეზა „უდინეზის“ ფეხბურთელმა **გაეტანო დ'აგოსტინომ**. ამით, იტალიური გრანდების ყურადღება მიიპყრო და დიდია შანსი, მომავალ სეზონში გაიცვალით ამბიციურ გუნდში გააგრძელოს კარიერა. ეს გუნდი კი შესაძლოა ტურინის „იუვენტუსი“ იყოს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთ ინფორმაციას აგრცელებს ტურინული „ტუტო სპორტი“.

„ვეკია სინორასთვის“ ჯერ კიდევ არ შეურჩევიათ მთავარი მწვრთნელი, თუმცა „იუვეს“ მესვეურებს ეს სულაც არ ადარდებთ და სატრანსფერო პოლიტიკას თავიანთი შეხედულებისამებრ ატარებენ. განსაკუთრებით აქტიური კლუბის სპორტული დირექტორი **ალესანრო სკალა**, ვინაც უშუალო ინიციატორი გახლდათ **დიეგოსთან** გაფორმებული ხელშეკრულების.

ავტორიტეტული გამოცემის ინფორმაციით, უდინელები წამყვან ფეხბურთელში 20 მილიონ ევროს იხდიდნენ. ტურინელებს თანხა ეძვირათ და „უდინეზის“ მესვეურებს კონტრ-შეთავაზება გაუკეთეს: 10 მილიონი ევრო და პლუს, ერთწლიანი არენდით **სებასტიან ჯოვინკოს** „ფრიულიზე“ გადაბარგება. სიტყვა უდინელებზე და ვნახოთ, შეთანხმდებიან თუ არა მხარეები.

ვეტერანი

ნედვედმა ამერიკა ინაბრა

ტურინის „იუვენტუსიდან“ წასული **პაველ ნედვედი** ჯერაც გაურკვევლობაშია და არ იცის, დასარულებს თუ არა კარიერას. ჩეხი საგონებელშია ჩავარდნილი და ფიქრობს, კიდევ ერთი სეზონი ითამაშოს თუ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს. გუშინ, პაველი იტალიელ ჟურნალისტს გაესაუბრა და გამოუტყდა, თუ რას აპირებს კარიერის დასრულების შემდეგ. ასევე, ორიოდე სიტყვით განვლილი წლები შეაჯამა:

„ბავშვობაში ჩემი ოცნება ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში თამაში და ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა გახლდათ. როგორც ხედავთ, გეგმა გადაჭარბებით შევასრულე და 37 წლამდე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში ვითამაშე. ჩემს კარიერას ერთმნიშვნელოვნად დადებითად ვაფასებ. შეიძლება ვინმემ ნამომძახოს, რომ მე ჩემპიონთა ლიგა არ მომიგია. კი ბატონო, მაგრამ მაინც მე ვეტყვი, რომ ოვან ლენდლის არასდროს მოუგია „უიმბლდონი“, როჯერ ფედერერს კი „როლან გაროსი“. თუმცა, შეიცავარელს ამის გაკეთების შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვს. ლიგის მოგება ყოველთვის განსაკუთრებით მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევძელი. რას გავაკეთებ მომავალში? ძალიან მინდა „ტურ დე ფრანსის“ მარშუტს დავადგე ველოსიპედით და ერთ ეტაპი მაინც გავიარო. ამას აუცილებლად გავაკეთებ და იმედია, ცოცხალი გადავრჩები. ასევე, აუცილებად ჩავალ ამერკაში, სადაც **NBA**-ს და **NHL**-ის თამაშების ყურების საშუალება ცოცხლად მექნება“.



ესპანეთში „პარსელონას“ საჩემპიონთაშორისო წარმატება ძალიან მალე დავიწყეს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში ის არის, რომ კატალონიელების ტრიუმფი დანარჩენ ესპანეთში დიდად არასოდეს უხარიათ, გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ბარსას“ თემის გაზეთების პირველი გვერდებიდან ჩამოსულა ფლორენტინო პერესის სამეფო კლუბში დაბრუნებამ განაპირობა. საბედნიეროდ, ამ ორ ფაქტორს შორის მოღვაწეობს საფეხბურთო მოღვაწის მაღრიდულ გრანდში კიდევ ერთი ვადით მისვლამ საზოგადოებაში მართლაც უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. პრეზიდენტის თანამდებობაზე ნებისმიერი სხვა ადამიანი რომ მისულიყო, ამხელა აფიორტაჟი არ აბედებოდა. საქმე ის არის, რომ ესპანურ გრანდში ექვსწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში მოგებულმა უამრავმა ტატულმა სენიორ პერესს საზოგადოების თვალში უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა შესძინა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ ადამიანისგან ახლაც ფენომენურ შედეგებსა და სამეფო კლუბის ალორძინებას ელიან. ახალი პრეზიდენტი მოღვაწეობას ენერგიულად შეუდგა. ის აცხადებს, რომ საპრეზიდენტო მანდატის დასრულების შემდეგ „რეალი“ არაერთი ახალი დიდი გამპრვზებით მოინრნებს თავს. ფლორენტინო გასული დღეების განმავლობაში მთელ დროს ჟურნალისტებთან ურთიერთობას ახმარდა. ის რედაქციიდან რედაქციაში, ტელევიზიიდან ტელევიზიაში მიდიოდა და გულშემატკივრებს საოქმელს გულწრფელად ეუბნებოდა. დღეს საშუალება გვაქვს, „ტელე მადრიდის“ ეთერით გადაცემული ინტერვიუ შემოგთავაზოთ. სამეფო კლუბის ახალ პრეზიდენტს პრაქტიკულად ყველა აქტუალურ საკითხზე ისაუბრა.

- ფლორენტინო, დიდი მადლობა, სტუდიაში მობრძანებისთვის. მოდით, ძვირფას დროს ნუ დავკარგავთ და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. თქვენს სახელს სამეფო კლუბის უამრავი წარმატება უკავშირდება. მმინდა საფეხბურთო წარმატებაზე რომ არაფერი ვთქვათ, თქვენი მოღვაწეობის განმავლობაში „რეალმა“ უდიდესი ფინანსური მოგებაც ნახა. გუნდი ვალების ტყვეობიდან იხსენით და ძალიან მცირე დროში მსოფლიოს ერთერთ ყველაზე მდიდარ კლუბად აქციეთ. მოკლედ, ფინანსებში, მარკეტინგსა და ეკონომიკაში საკმაოდ კარგად ერკვევით. ამიტომ ასეთი კითხვა მინდა დაგისვათ, სად გადის ის ფინანსური ზღვარი, რომელსაც ტრანსფერების განხორციელებისას არ გადაავიწყებთ?

- ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ეკროების მფლანგველი ხალხი ვართ. პირველ რიგში ის პოლიტიკა უნდა შეეიმუშაოთ, რომელიც ხარჯისა და შემოსავლის დადებით ბალანსს მოგვიტანს. „რეალმა“ საფეხბურთო მოეღნებზე წარმატებებს რომ მიაღწიოს, მომგებიანი ფინანსური ინსტიტუცია უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატება ხანმოკლე ილმოჩნდება და გუნდი გაკოტრდება. ეს არ უნდა დავუშვათ. პირდაპირ ვამბობ, ამ კვირაში ხმაურიანი ტრანსფერი არ შედგება. ხალხს ვთხოვ, კარგად გაგვიგოს, ეს ძალიან რთული საქმეა და აჩქარება სიკეთეს არ მოგვიტანს. თუმცა ინჩაისებმა არ უნდა ინერვიულონ. მშვენივრად ვიცი, რვენს გუნდშემატკივრებს რა უნდათ და რაზე ოცენებობენ. მე მათ ამ ოცენებას აუცილებლად ავუსრულებ. „რეალი“ ისევ ის გუნდი გახდება, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აღაფრთოვანებს.

არ დავმალავ, მეც მინდა ძალიან მოგწონ

წლების წინ ფიგუს შეძენაც წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ლუიშმა ბერნაბეუზე ფანტასტიკური წლები გაატარა

- კაკას პრეზენტაცია არანაირი პრობლემა არ არის, თუმცა ეს დღე რომ შეიდგას, პირველ რიგში ფრანსფერი უნდა გავაჩარხოთ. დასამალი არ არის, რომ კაკა ჯერ არ გადმოგიბარებია, თუმცა არც იმას დავშალავ, რომ ამ საკითხზე ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ.

- სხვათა შორის, „ჩელსის“ წარმომადგენლებმა ოფიციალურად გააცხადეს, რომ ბრაზილიელისთვის არ იბრძოლებენ.

- ჩვენთვის ეს დიდი უპირატესობაა. ბუნებრივია, რაც უფრო ნაკლები კონკურენტი გვეყოლება, მიზანს მით უფრო იოლად მოვაღწევთ. „ჩელსი“ ძალიან მდიდარი კლუბია და გუთწრფელად გეტყვით, მისი ძალიან მეშინოდა. სხვათა შორის, სწორედ თქვენს გადაცემაზე მოვდიოდი, რომ დამირეკეს და მითხრეს, ლონდონელებმა ბრძოლა შენწყიტესო. მართლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ კაკას ტრანსფერზე უარი თქვეს.

- რამდენად დიდია ბრაზილიელის შეძენის შანსი?

- საკმაოსი შანსი საკმაოდ დიდია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ „ჩელსის“ მარათონიდან გამოთიშვა ძალიან კარგი სიახლეა. „ბილანის“ ხელმძღვანელობასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. მე ადრიანი გალიანის მეგობარი ვარ. ჩვენი პირადი ურთიერთობა ამ ტრანსფერს აუცილებლად და ამარტივებს. არ ვამბობ, რომ მეგობრობის გამო ვინმეს იაფად მოგვცემენ, მაგრამ უდავოა, გალიანი ჩემთან უფრო ითანამშრომლებს, ვიდრე რომელიმე სხვა კლუბის ხელმძღვანელთან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კაკამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშის სურვილი ოფიციალურად გამოთქვა. ამით ჩვენი შანსი ერთი-ორად იზრდება, მაგრამ უნდა გვასსოვდეს, რომ ეს კომპლექსური საკითხია. ჩემი აზრით, კაკას მეძინა კარგ შანსს ვფლობთ, თუმცა არ მინდა მოგლენები დავაჩქარო და ამ საკითხზე წინასწარ ვისაუბრით. სავაროველოდ, ყველაფერი მომავალ კვირაში გაირკვევა. ასე რომ, დაინტერესებულ საზოგადოებას დიდხანს ლოდინი არ მოუწევს. მაქსიმუმ ერთი კვირა მოვითმინოთ და გვეცოდნება კაკა კარერას სად გააგრძელებს. ვგონებ, ცნობისმოყვარე გუთშემატკივრებს ძალიან საინტერესო ნინადებით მიემარეთ. ერთი კვირა ყველა მოიცდის. ალბათ, ეს არ არის ის ვადა, რომელიც დაგვლილ და მოთმინებას დაგვაკარგვინებს. მოკლედ, რამდენიმე დღეს გვაცალეთ, მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვეცით და ყველაფერს გაიგებთ.

- რამეს ხომ არ გვიმალავთ? ლაპირკამ ამ დილით ახალი განცხადება გააკრცელა და მოგვახსენა, სამეფო კლუბმა ჩვენი შეშფოთება არ გაიზარა და კაკაში იმხელა ფული გადახიხადა, სიმწრით დალაგებული სატრანსფერო ბაზარი თავდაყირა დაყვავნო. კაკატონელთა პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ სატრანსფერო ფასები ხელოვნურად გაზარდეთ...

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კაკას სანაცვლოდ ჯერჯერობით ერთი ცენტიც არ გადაგვიხდია. მოლაპარაკებები გრძელდება და როგორც გითხარით, ყველაფერი მომავალ კვირაში გაირკვევა. ზოგადად ძვირად ღირებულ ტრანსფერებს რაც შეეხება, მე ყველაზე მეტი ფული ზიდანის ტრანსფერში გადავიხადე, მაგრამ მეძინია ვთქვა, რომ ყველაზე იაფი სწორედ ზიზუს შეძენა დამიჯდა. იმ ფულით მინიმუმ სამი ვარსკვლავის ყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ ზინედინმა იმდენი საქმე გააკეთა, რასაც არათუ სამი, ხუთი და ექვსი ფეხბურთელიც ვერ განდებოდა.

- ვრცელდება ინფორმაცია, რომ თუ ნველს კრისტიანო რონალდოს ვერ შეიძენენ, სამეფო კლუბს ჯარიმის სახით სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს.

- „რეალის“ პრეზიდენტი სამი დღის წინ გაგხდი და ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. მათ შორის, არც ვისენტე ბოლუდას.

- ფერანდეს ტაბიასმა ეს ყველაფერი ოფიციალურად განაცხადა...

- წარმოდგენა არ მაქვს. მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ დიდი ფეხბურთელები სწორედ მადრიდს „რეალში“ ითამაშებენ.

- ვილია უფრო მოგწონთ, თუ ფორლანი?

- ძალიან რთული კითხვაა. მე ორივე ძალიან მომწონს. დავიდი და დიეგო უდიდესი ფეხბურთელები არიან. მათი შეძენის შანსებზე ახლა ვერ ვისაუბრებ, მაგრამ როგორც პრეზიდენტი გეტყვით, რომ მათთან თანამშრომლობით უზომოდ ბედნიერი ვიქნები. ხომ იცით, მინდა, რომ ყველა გენიალურმა ფეხბურთელმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ითამაშოს (იცინის).

- გუტი და რაული მადრიდში დარჩებიან?

- ესპანეთში მოქმედი კანონის მიხედვით, თითოეულ გუნდს 25 ფეხბურთელის ყოლის უფლება აქვს. ახლა ჩვენს განკარგულებაში 28 მოთამაშეა. ჩვენი აზრით, შემადგენლობის გასაძლიერებლად სულ მცირე 5-6 ახალი ვარსკვლავი გვჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი შემადგენლობიდან 8-9 ფეხბურთელის გაშვება მოგვინევს. ეს ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ მოთამაშეებმა თავი დამცირებულად არ იგრძნონ. ჩვენ მათ კონტრაქტების პატივი უნდა ვცეთ და ისეთი ნაბიჯი გადავდგათ, რომელიც ყველას მოგებულს დატოვებს. დარჩება თუ არა რაული? ამაზე საუბარიც არ არის საჭირო. რაული ჩვენი სიმბოლოა. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, „სანტიაგო ბერნაბეუს“ უფრო გავყიდი ვიდრე რაულს. გუტის რაც შეეხება, გუთშემატკივრებს ის უსაზღვროდ უყვართ. ხოსე მარიან „რეალში“ გატკრებული წლების გამო უდიდესი სითბო, ყურადღება, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

- მითხარით, კიდევ რომელი ფეხბურთელების გადაბირებას ისურვებდით?

- კაკა და კრისტიანო რონალდო უკვე ვახსენეთ. არ დავმალავ, მესი ძალიან მომწონს. ხაზს ვუსვამ, ძალიან მომწონს. დარწმუნებული ვარ, კატალონიაში ეს სიტყვები ბევრს არ მოეწონება. ისიც ვიცი, ამ განცხადებას საშინელი აფიორტაჟი მოაყვება, მაგრამ მგონი, მაქვს იმის თქმის უფლება, რომ მესი ძალიან მომწონს. მშიშარა კაცი არასოდეს ვყოფილვარ. დაბრკოლებებისა და გალეშიანებულ კოლეგებთან მოლაპარაკებების წარმოების არასოდეს შემშინებია. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ამ ფრონტზე ძალები მოვისინჯოთ. დავუშვათ, მესის ფასი ვიკითხეთ. ამას რა მოუყვება? ყუმბარას ხომ არ გვესვრიან? გაბრაზდებიან, მაგრამ თქვენ გვენიათ, ფიგუს ტრანსფერზე არ გაბრაზდნენ? (იცინის).

- რას გულისხმობთ?

- განსაკუთრებულს არაფერს. წლების წინ ფიგუს შეძენაც წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ლუიშმა თეორი მაისური მოირგო და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფანტასტიკური წლები გაატარა. გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, ფეხბურთში...

უზომოდ ბედნიერი ვარ

ბრაზილიელი ვარსკვლავის თქმით, საკითხი გადაწყვეტილია და გარიგებას მხოლოდ სასწაული თუ ჩაშლის

ფლორენტინო პერესმა „ტელე მადრიდისთვის“ მიცემულ ერიცერ ინტერვიუში განაცხადა, კაკას ტრანსფერს ნათელი მომავალ კეირაში მოეფინებაო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკითხი უკვე გარკვეული და გადაწყვეტილია. ამის თქმის საფუძველს თავად ბრაზილიელი ვარსკვლავის გულახდილობა გვაძლევს. კაკა ტურესპოლისაში სულესაოსთან ერთად ვარჯიშობს. მის მოსალოდნელ ტრანსფერს იმხელა ალიარებას აკეთებს, რომ „დიარიო ასის“ რედაქციამ პრაზილიას საგანგებო კორესპონდენტი მიგზავნა. მას ერთადერთი დავალება ჰქონდა, კაკას უნდა შეხვედროდა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლის შესაძლებლობაზე დალაპარაკებოდა. სულესაოს მესვეურებმა ესპანელი ჟურნალისტი ძალიან ცუდად მიიღეს. მათი თქმით, ბაკრებებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ისედაც ცოტა დრო აქვს და ფეხბურთელებს საკუთარი საკითხებზე ლაპარაკისთვის ისედაც დეფიციტურ დროს ვერ დაავარგვინებდნენ. მოკლედ, კარლოს დუნგას კატეგორიული პოთხოვნით, კაკას ესპანელი ჟურნალისტისთვის ინტერვიუს მიცემა აუკრძალეს, თუმცა ფეხბურთელმა ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებს საკითხი კატეგორიულად დაუსვა და ევროპელ კორესპონდენტთან ხუთი წუთით შეხვედრის უფლება მიიღო. ხუთი წუთისთვის ოკეანის ორკეც გადალახვა როგორი საქმეა? თუმცა „დიარიო ასის“ კორესპონდენტს საბუნებო ნამდვილად არაფერი აქვს. კაკამ ამ ხუთ წუთში მას ისეთი რამ უთხრა, სოლიდური პრემია გარანტირებული აქვს. აი, რა განაცხადა ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა: „დიდი მადლობა, რომ პატივი დამდევთ და ამხელა გზაზე ჩამოხვედით. ვრცელ ინტერვიუს ძალიან დიდი სიამოვნებით მოვცემდით, მაგრამ აკრძალულია მაქვს. დროს არ დაკარგავ და პირდაპირ გეტყვით, მე ძალიან კარგად ვიცი, რომ მადრიდის „რეალში“ ვითამაშებ და ამით უზომოდ ბედნიერი ვარ. მოლაპარაკებები პრაქტიკულად დასრულებულია. სანწაული უნდა მოხდეს, რომ მომპალ სეზონში მადრიდულ გრანდში არ ვითამაშო. ჩათვალეთ, რომ ეს საქმე გადაწყვეტილია. რამდენიმე წერილობი დეტალის მოგვარების შემდეგ, ოფიციალურად ტატვიან, რომ სამეფო კლუბში გადავედი და პრეზენტაციისთვის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დამპპატრეტებენ. ვერ წარმოიდგენთ, ამ დღეს როგორ ველოდები. ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოში ყველაზე ტატულოვანი კლუბის წევრი გავხდები. იქ გადასვლით, მე უდიდეს ისტორიას ვეზიარები. მოკლედ, სულ რამდენიმე დღეში დიდი ხნის ოცენებს ავისრულებ და „რეალში“ ვითამაშებ.“

მოსაალოდნელ პრეზენტაციას რაც შეეხება, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კაკას მადრიდულ საზოგადოებას მოგვიანებით ნარუდგენენ. ამის მიზეზი ისევ და ისევ ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობის კატეგორიულობაა. სულესაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის როდრიგო პაივას თქმით, რაც არ უნდა მოხდეს, კაკას სანარებო შეკრების დასრულებამდე ევროპაში არ გაუშვებენ. მოგეხსენებათ, ბრაზილიელებმა კონფედერაციათა თასზე უკვე ისაპარეზონ. დუნგა ამ ტურნირს ძალიან სერიოზულად ეკიდება და კაკას ამიტომაც ზეუდავს.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ფალკე

შალკეს მთავარი პრობლემა თავდასხმაა!

კურანის გარდა, ხუმარებს არც ერთი ფორვარდი არ უშვარგათ. მაგათმა რაღაც უნდა მოიფიქროს

გერმანიის ჩემპიონატის დასრულებულ სეზონში, „შალკეს“ ფეხბურთელებს 195 საგოლე მომენტი შეექმნათ და აქედან მხოლოდ 47 გამოიყენეს. ამრიგად, ამ ასპექტში გელზენკირხენელებს 24.1-პროცენტიანი კოეფიციენტი აქვთ, რითაც მეცამეტე ადგილი დაიკავეს. თვით ფრანკფურტის „ინტრახტს“, „კიოლნს“ და მაინხენგლადბახის „ბორუსიასაც“ კი უფრო მაღალი კეთქები ჰქონდათ. ეს კი საკმარისზე დიდი მიზეზია იმისათვის, რომ მომავალი სეზონისთვის „შალკემ“ წინა ხაზში ბევრი რამ შეცვალოს. ყოველ შემთხვევაში, გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა პირველ რიგში ამ საკითხზე უნდა იმუშაოს.

საგოლე შანსების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი პირველ რიგში თავდასხმის უსუსურობაზე მიუთითებს და რაკი „შალკე“ გასულ სეზონში ერთი გამოყოფილი ცენტრფორვარდით თამაშობდა, მაგათს ყველაზე მეტი პრეტენზია სწორედ ამ ერთ ფორვარდთან, კერძოდ, **კევინ კურანისთან** უნდა ჰქონდეს. მოუხედავად იმისა, რომ 27 წლის კურანის ხშირად აკრიტიკებენ, ის მაინც გუნდის საუკეთესო თავდასხმელი გახდა 13 გოლით და 6 საგოლე პასით. არადა, კურანიმ წინა სეზონის შედეგი (15 გოლი) ვერ გაიმეორა, თუმცა ამ სეზონში რამდენიმე ასპრენცენტიანი მომენტი რომ არ გაეცილებინა, გაათჯობესებდა კიდეც. ორ სეზონში 28 გოლი თავდამსხმელისთვის საკმაოდ ნორმალური შედეგია, მაგრამ „შალკეს“ ფანები გუნდის ნომერ პირველი გოლეადორისგან, რა თქმა უნდა, უფრო მეტს ითხოვენ. მიუხედავად ყველაფრისა, კურანი „შალკეს“ ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად რჩება და რაკი **ფელიქს მაგათს** სატრანსფერო სეზონისთვის მხოლოდ და მხოლოდ 6 მილიონი გამოუვა, ფაქტია, რომ „ფესბურგი ფელიქსი“ ახალ გოლეადორს ვერ იყიდის, მან კურანის გაუმჯობესებაზეც უნდა იზრუნოს. მოკლედ, კურანი მაგათის ახალი **გრაფიტე** უნდა გახდეს.

კევინის შემდეგ, ნინა ხაზში ყველაზე მეტი ეფექტურობა **ჯეფერსონ ფარფანს** მოეთხოვება, რომელიც გელზენკირხენელებმა ერთწლის ნინ დიდი ხარ-ხეიშით შეიძინეს. 24 წლის გარემარმბა ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველ სეზონში 9 გოლი გაიბანა და 2 საგოლე პასი გააკეთა, რაც ძალიან ცოტაა ისეთი ფეხბურთელისთვის, რომელიც გუნდმა 10 მილიონი ევრო გადაიხადა. თვითონ პერუელიც აღიარებს, რომ გერმანიაში ჩატარებული პირველი სეზონით ძალიან უკმაყოფილია. ფარფანმა სეზონი მძიმედ დაიწყო, მერე ტრავმაც მიიღო და საბოლოო ჯამში, ვერ გახდა გუნდის ერთერთი ლიდერი. ყოფილი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** „შალკეს“ 4-3-3 ტაქტიკით ათამაშებდა, სადაც ფარფანი გარემარბად თამაშობდა და ამბობს, ორი გამოკვეთილი თავდასმსმელით რომ გვითამაშა და მე რომ მეორე ფორვარდი ვყოფილიყავი, უფრო უკეთესი მედგებში მექნებოდაო. გაჯერებულა ინფორმაცია, რომ ფარფანი შეიძლება „ენფლაიენში“ დაბრუნდეს, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ეს ცნობა უარყო და განაცხადა, „შალკეში“ ვრჩებიო.

კურანისა და ფარფანის შემდეგ, თავდასხმაში პასუხისმგებლობა **ჰაილ ალთინოფს** ეკისრება, რომელიც 26 წლისაა და ცენტრფორვარდისა და გარემარმის გარდა, ფლეიმეიქერის პოზიციაზეც მუშაობა თამაში. მესამე წელია, რაც ჰაილი „შალკეში“ თამაშობს და მოლოდინი დღემდე ვერ გაამართლა. ალთინოფმა ამ სეზონში 31 მატჩში მიიღო მონაწილეობა, აქედან 8-ჯერ შევიდა შეცვლაზე და 13-ჯერ შეცვალეს (4 გოლი, 5 პასი). რუტენმა თავდასხმაში მისი გამოყენება ყველა პოზიციაზე სცადა, მაგრამ ჰაილიდან ფაქტობრივად ვერსად ივარგა. ახლა კი ჯერი მაგათზეა და „შალკეს“ ქომაგებს სჯერათ, რომ „დესპოტი ფელიქი“ ჰაილის სათანადო პოზიციასაც მოუძებნის და პრობლესაც განაგვარვინებს. ფაქტია, რომ თურქ დიდი პოტენციალი აქვს. მომავალი სეზონი ჰაილოსისთვის „შალკეში“ გადამწყვეტი იქნება, რადგან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება, ზუსტად ისე, როგორც კურანის.

ეს რაც შეეხებოდა „შალკეს“ ძირითად ფორვარდებს. ახლა კი სათადარიგო თავდასმსმელები მიმოვიხილოთ. ზემოხსენებული სამეულის პირველი ალტერნატივა **ვისენტე სანჩესი**. 29 წლის ტანდაჯილე ურუგვაელი დრიბლინგების განხორციელების უნარითა და ლამაზი ჩაწოდებებით გამოირჩევა, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, მეტოქის კართან ხიფათს ვერ ქმნის. 18 თვეა, რაც სანჩესი „შალკეში“ ირიცხება და ამ ხნის განმავლობაში ჯოკერის სტატუსსაც ვერაფერთ ვასცდა და ამ სტატუსსაც ვერ ამართლებს ისე, როგორც საჭიროა. ბუნდესლიგაში 22 მატჩში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქედან 5-ჯერ შეცვალეს და 12-ჯერ შეუშვეს მოედანზე, თანაც, მეგნილად ბოლო 20 წუთის განმავლობაში. ფლანგის თავდასმსმელის კვალობაზე, სანჩესს ძალიან ცუდი შედეგი აქვს - არც მეტი, არც ნაკლები: არც ერთი გოლი, არც ერთი პასი.

გელზენკირხენელი კლუბის დღევანდელი შემადგენლობიდან ყველაზე ძველი მაღალი **ჯერალდ ასამოა** უკვე 30 წლისაა. ის უკვე თითქმის ყველამ ჩამონერა, მაგრამ არც ერთი მწვრთნელი მის სამსახურზე უარს მაინც არ ამბობს. ამ სეზონში ასამოამ 27 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 2 გოლი გაიბანა, მაგრამ ჯერჯერობით ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 8-ჯერ გახლდათ გამწესებული. 19-ჯერ კი შეცვალეს შეუშვეს და აქედან 10-ჯერ ბოლო 5 (!) წუთის განმავლობაში. ასამოას თამაშის გაწმენდება არ შეუძლია, თუ გაუმართლა, გოლს გაიტანს. ერთი სიტყვით, ჯერალდი ფაქტობრივად უსარგებლო ფეხბურთელია და დიდი შანსია, რომ მის გელზენკირხენელ კარიერას მაგათმა მოულოს ბოლო. ასამოას „შალკესთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს ხელმოწერებული. ფაქტია, რომ ასამოს მაგათის ხელში გზის გაკვლევა ძალიან გაუჭირდება, რადგან ფელიქსს უსარგებლო ფეხბურთელები არაფერში სჭირდება.

მოკლედ, „შალკეს“ თავდასხმაში პრობლემები აქვს. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ნორმალურ შედეგებს აჩვენებს, კევინ კურანია და მისი შედეგებიც არ არის მაინცდამაინც კარგი. ფაქტია, რომ მაგათს ყველაზე მეტი მუშაობა ნინა ხაზის გასაუმჯობესებლად მოუწევს.

მარცხნიდან: ჯეფერსონ ფარფანი, კევინ კურანი, ჰაილი ალთინოფი და ვისენტე სანჩესი

გამოვიდა ივნისის ნომერი

ბაიერნი

დანიელ პრანჯიჩი ბაიერნში ზე რობერტოს შეცვლის

ვან გაალის პირველი შენაძენი: პრანჯიჩი!

რეკორდმაისტერი ჰერენვენს 10 მილიონს გადაუხდის. ბოსინგვაც მიუხნენეში? ნოიერს მაგათი არ უშვებს!

„ბეღლის“ ინფორმაციით, „ბაიერნის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** მისთვის სასურველი პირველი ფეხბურთელი მიიღო: როგორც ჩვენი ბილდელი კოლეგები იუწყებიან, გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან მოუხნენეთ კლუბს „ხორვატის“ ნაკრებისა და „ჰერენვენის“ მარცხენა ნახევარმცველი **დანიელ პრანჯიჩი** მიაშურებს. 27 წლის პრანჯიჩს შეუძლია როგორც მარცხენა ნახევარმცველის, ასევე ნახევრად მემარცხენე საყრდენისა და მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშიც. „ბილდის“ ცნობით, ბავარიელები „ჰერენვენს“ 10 მილიონ ევროს გადაურიცხავენ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **მარიო გომესის, ივიცა ოლიჩის, ალექს ბაუმიოჰანისა** და **ანატოლი ტიმოშჩუკის** შემდეგ, პრანჯიჩი „ბაიერნის“ მეხუთე ახალწვეული გახდება. და როგორც მიმოხილველები იუწყებიან, ეს არ არის უკანასკნელი მოთამაშე, რომელიც რეკორდმაისტერმა მომავალი სეზონისთვის შეიძინა. ბავარიელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰოინესი** პრანჯიჩის ტრანსფერს ჯერ ოფიციალურად არ ადასტურებს, მაგრამ იქვე ამბობს, ფაქტია, რომ 2-3 ფეხბურთელს კიდევ ვიყიდითო. პრანჯიჩმა გასული სეზონი „ჰერენვენში“ შესანიშნავად ჩაატარა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ხორვატის გადაბირება „ლევერკუზის“ უნდოდა, მაგრამ მერსისიდესული კლუბს „ბაიერნმა“ დაასწრო. დანიელს ხორვატის ნაკრებში 18 მატჩი აქვს ჩატარებული და მარცხენა ფლანგის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში – ეხერხება როგორც მქუმანა, ასევე ჩაშლაც. პრანჯიჩი ევროპის ჩემპიონატზეც აპირებს ბრწყინვალებას.

„ბილდისვე“ ინფორმაციით, „ბაიერნის“ მორიგი ახალწვეული „ჩელსის“ მარჯვენა მცველი **ხოსე ბოსინგვა** იქნება. რეკორდმაისტერმა უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ლონდონურ კლუბთან. როგორც იცით, „ბაიერნს“ სასწრაფოდ სჭირდება მარჯვენა მცველი და 26 წლის ბოსინგვა ვან გაალს იდეალურ კანდიდატად მიაჩნია. 1.83 მეტრი სიმაღლის ბოსინგვა ძალიან სწრაფია და ხშირად ერთგება შეტევაში. წარმოშობით კოსტოელს, პორტუგალიის ნაკრებში 17 თამაში აქვს ჩატარებული. როგორც ირკვევა, მისი ფასი 20 მილიონი ევროა, მაგრამ „ბილდის“ ინფორმაციით, „ჩელსისთან“ გაფორმებულ კონტრაქტში ბოსინგვას ჩადებული აქვს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ნელს გუნდის დატოვება 12 მილიონად შეუძლია. ბოსინგვას ალტერნატივად ვან გაალისთვის „ატლეტიკოს“ 25 წლის მარჯვენა მცველი **ჯონი ჰეიტინგაა**. მიმოხილველების ცნობით, ბავარიელები **დარიო სრნას** ვარიანტს აღარ განიხილავენ. ვან გაალს უთქვამს, სრნა მარჯვენა მცველის ცვალობაზე შედმეტად შემტევი ფეხბურთელიაო.

ამასობაში, „შალკეს“ მეკარე **მანუელ ნოიერის** აგენტმა დაადასტურა, რომ „ბაიერნის“ ბოსებმა გელზენკირხენელ კლუბს ოფიციალური წინადადებით მიმართეს. როგორც ირკვევა, რეკორდმაისტერმა კლუბს თავიდან 9 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. ახალი ინფორმაციით, „ბაიერნის“ მზადაა, „შალკეს“ ნოიერის სანაცვლოდ 18.5 მილიონი ევრო გადაუხადოს და თანხასთან ერთად, **მიხაელ რენზნეიდერ** დაუთმოს. ეს კი უკვე ისეთი წინადადებაა, რომელზეც „შალკე“ ასე ხელაღებით უარს ვერაო იტყვის. ფაქტი ის არის, რომ **ფელიქს მაგათს** ნოიერის გაყიდვის შესახებ არაფერის გაგონება არ სურს. „დესპოტმა ფელიქმა“ „ბილდს“ კიდევ ერთხელ უთხრა, მანუელის გაშვებას არ ვპირდებ, ბავარიელები ტყუილად ნუხდებიანო. თუმცა აქ მთავარი ისიც, თუ რას ფიქრობს თვითონ ფეხბურთელი. ნოიერი გადაწყვეტით არ ამბობს, რომ „ბაიერნში“ გადასცა ან უნდა. რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** კი სჯერა, რომ ნოიერი მოუხნენში გადასვლით დაინტერესებულია.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან წამოსვლა უნდა. ჩვენ ჩვენი ვთქვით, ახლა ყველაფერი „შალკეზეა“ დამოკიდებული. თუ გელზენკირხენიდან შესაბამის სიგნალს მივიღებთ, შესაბამისად ვიმოქმედებთ,“ - აცხადებს რუმენიგე. ნოიერის მრჩეველიც ამბობს, გასაკვირი ნამდვილად არაფერია იმაში, რომ მანუელი „ბაიერნში“ გადასვლით მართლაც იყოს დაინტერესებული.

დაბოლოს: „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰოინესმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ **ფრენკ რიბერი** არ იყიდება, **ლუკა ტონის** კი შეუძლია წავიდეს. გერმანული გამოცემები იმასაც წერენ, რომ ვან გაალს მოუნდინი **ვესლი სნაიდერისა** და **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ხილვაც უნდა. ამ უკანასკნელთან ამსტერდამის „აიაქსიდაა“ დაინტერესებული.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

მწვრთნელი

სერ ალექსის შეცდომები

ჩემპიონთლიგის ფინალის შემდეგ ყველა ერთსა და იმავეს ამტკიცებდა, **პეპ გვარდიოლას** „პარსელონაში“ საუკეთესო მემწვრთნელებში ჰყავს შეკრებილიო. მნელია, იკამათო იმაზე, რაშიც ქმედი არც შენ გეპარება და არც ისეთს იცნობ, სანინააღმდეგოს რომ ამტკიცებდეს. **ჩავის, ინესტასა** და **მესის** სახელები ნებისმიერი გუნდის დაცვას შიშის ზარს სცემს და ეს გასაგებიცაა. თუმცა, მოდი, გავიხსენოთ, რომ ყველა მედდასორი მხარე აქვს და საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ. ხაზი გავუსვათ იმ შეცდომებს, რომელიც ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაუშვა.

„ალისფერი ეშმაკების“ ასეთი ცუდი თამაში მთელი სეზონის განმავლობაში არავის უნახავს. ინგლისელი სავუბნორთო ექსპერტები ამ საკითხზე დიდხანს მსჯელობდნენ და აზრების შეჯერების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: ფინალის ნაგებში თავისი სოლიდური როლი ითამაშა სერ **ალექს ფერგიუსონის** ხუნძრობამ შეცდომებმა. მათ შორის ტაქტიკასა და ძირითადი შემადგენლობის შერჩევის საკითხში. არადა, სწორ ტაქტიკას გადარჩენა „პარსელონასთან“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სხვანაირად კიბატლინელთა შეჭრება წარმოუდგენელი იყო. შოტლანდიელ გენიოსს სწორედ იმ ტაქტიკით უნდა ეთამაშა, როგორც **გუუს ჰიდინკს** ლიგის ნახევარფინალში - მას გვარდიოლას ბიჭებისთვის ჭილ-ფეხი უნდა შეეკრა. სწორედ ამას ამბობდა თავადაც, თუკი ჩავიმ და ინიესტამ თავისი თამაში ითამაშეს, დავიღუპებით. ფერგიმ ეს ვერ მოახერხა.

უეინ რუნის გამოყენება ფლანგის თავდამსხმელად რუნის, როგორც ფეხბურთელის, სიკვდილს უდრის. გასაგებია, შეიძლება, ის ეფექტური იყოს, დაუშვათ, „ვესს ბრომვიჩის“, ეს თუნდაც „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ, მაგრამ „ბარსა“? რუნის მკვლელის ინსტინქტი სწორედ საფარიმოს სიახლოვეს იღვიძებს. უეინი, პირველ რიგში, ცენტრფორვარდია და ამით ხსენებულ საკითხს წერტილი ეცმება. მას ყველაზე დიდი სარგებელი სწორედ ჩვეულ პოზიციაზე მოაქცს. რუნის მოქმედების არეალი ცენტრალური ზონიდან მეტოქის საჯარიმომდე ვრცელდება. სწორედ ამ დროს ხდება ის ყველაზე სახიფათო და გოლებიც ხშირად გააქვს. მაშინ როცა ფლანგზე თამაშობს, ის იძულებული ხდება, ძირითადად თანაგუნდელებზე იმუშაოს. ამ დროს მას ხანდახან შედეგრებიც გამოსდის, თუნდაც „ტოტენჰემთან“ შეხვედრა გავიხსენოთ, როცა ის სწორედ ფლანგზე თამაშობდა და ორი გოლის გარდა ამდენივე საგოლე გადაცემა გააკეთა, მაგრამ მაინც: ფლანგზე მოასპარეზე რუნი „ნახევარი რუნია“.

მეორე ამჯარა ფაქტორი, რამაც „იუნაიტედის“ ცეცხლი გაანელა, **მაიკლ ქერიკის** უწესეული ინერტულობა იყო. მაიკლი 90 წუთის განმავლობაში საერთოდ არ გამოჩენილა. ასეთი რამ ინგლისის ნაკრების საყრდენს იშვიათად ემართება. არადა, ქერიკი მთელი სეზონი ერთ-ერთი გამორჩეული იყო „ეშმაკების“ რიგებში. ფინალში მას რაღაც დაემართა. რაც შეეხება ნახევარდაცვაში მის პარტნიორებს: ბრაზილიელი **ანდერსონი** კიდევ რაღაცას ცდილობდა, გიგზი კი... გიგზი 11 მანჩესტერელს მოარტყა ყველაზე ზუსტი იყო. აშკარაა, ფერგიმ ვერ გათვალა და უეულსელი ვეტერანი ძირითადში სულ ტყუილად დააყენა. მეტიც, მას კაპიტნის სამკლაურიც კი გადასცა. ძირითადი შემადგენლობის დაყენებისას ფერგიუსონს სხვებზე მრავლად შეეძლება - **რუუდ ვან ნისტელროი, დევიდ ბეკჰემი, იაააპ სტაჰი.** რატომ გაუნია ანგარიში გიგზის დამსახურებებს, ამას ახლანაც ვერ მოეძებება. ვეტერანს უეულსელ რომაული თამაშის დავიწყება მართებს, თუნდაც იმიტომ, რომ 27 მასისის საღამოს მას ფეხბურთი არც უთამაშია. რაიანი ბუროს სულ რამდენჯერმე შეეხო, ხოლო იმაზე ლაპარაკიც, რომ მის პასს თამაში გაემწვავებინა, ზედმეტია. შეცდომა იყო ისიც, რომ ფერგიუსონმა ჯერ კიდევ ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, **ჯონ ოში** და **ჟი სუნ პარკი** ძირითადში იქნებანო. ირლანდიელმა ჩვეულად იასპარეზა - ბარსელონელებმა ის რამდენჯერმე პაბარა ბავშვივით მოატყუეს, რამდენჯერმე პარტნიორი ვერ დაანზეთა, თუმცა ზოგადად საიმედოდ ითამაშა და ამას ვერ დაეუარგათ. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, მას ღირსეული ალტერნატივა არც ჰყავდა: **ვეს ბრაუნი** და **გარი ნევილი** კარგა ხანია, სათანადოდ ვეღარ თამაშობენ, **რაფაელი** კი ჯერაც 18 წლისაა და გამოცდილება აკლია. რაც შეეხება კორეელ ლეგიონერს: რომის „სტადიონ ოლიმპიკოზე“ მისი აქტორობის, დაუსაბამო მუშაობისა და ბრძოლის ნახევარიც კი ვერ ვიხილეთ. და რა გამოლის საბოლოო ჯამში? ჩვენ ალექსს, „ბებერ და მგელმა“, ადამიანმა რომელსაც სამწერთნელო კარიერის განმავლობაში ყველაუფერი უნახავს და ყველაფერი გამოუცდია, თავის ახალგაზრდა ესანსელ კოლეგასთან დაპირისპირება პირწმინდად წააგო. გვარდიოლას სერიოზული ფიქრიც კი არ დასჭირებია იმაზე, შეეცვალა თუ არა რამე მისი ბეგირდების თამაშში - „ბარსა“ გამოვიდა მინდორზე, ითამაშა და სრულიად დამსახურებულადაც მოიგო.

ფერგიუსონმა: გამოუცდელ პეპ გვარდიოლასთან ტაქტიკური ჭრილის პირწმინდად წააგო

მწვრთნელი

ვეტერანის ახალგაზრდობა

„იმისთვის, რათა მიაღწიოთ იმას, რაც ედვინ ვან დერ სარმა გააკეთა, განსაკუთრებული უნდა იყოთ. სწორედ ამიტომ ჰკვია მას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე“, - განაცხადა ჰოლანდიელ ვარსკვლავზე **პიტერ შმაიხელმა**. დაგვეთანხმებით, დანიელი მეკარის კომპლიმენტი საფეხბურთო სამყაროში ძალიან ბევრს ნიშნავს.

ედვინ ვან დერ სარი ან დასრულებული სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახდა: ის პრემიერლიგაში სარეკორდო მშრალი სერიის ავტორი გახდა. 2008 წლის 8 ნოემბრიდან („არსენალი“ 1:2) მოყოლებული 2009 წლის 21 თებერვლამდე („ბლექბერნი“ 2:1) მას 1311 წუთის განმავლობაში პრემიერლიგაში ერთი გოლიც კი არ ჭკონდა გაშვებული. ის ინგლისის უმაღლესი ლიგის წლის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და დასახელდა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინანტთა შორის.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რეკორდის ათვლა „არსენალთან“ შეხვედრაში დაიწყო. მანამდე კი იყო შეხვედრა „ჰალ სიტისთან“ (4:3 „ეშმაკების“ სასარგებლოდ), როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაცვა რას აკეთებდა, ღმერთმა უწყოდა. სწორედ ეს ორი მატჩი იქცა შემობრუნების წერტილად. „არსენალთან“ პრინციპული დაპირისპირებიდან მოყოლებული, ვან დერ სარმა და კომპანიამ საოცარი აღმავლობით დაიწყო ასპარეზობა. ეს აღმავლობა ნაკლებად

ვოლფსბურგი

ჯეკო: მომიმატეთ ხელფასი და დავრჩები!

ბოსნიელი ჩელსის, არსენალსა და მილანს უარს ეტყვის, თუ...

გერმანიის ჩემპიონ „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელებს მთხოვნელების რიგი დაუდგათ. მას მერე, რაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **გრაფიტემ** (28 გოლი) „მგლებთან“ კონტრაქტი გააგრძელა, ევროპულმა კლუბებმა იერიში **ედინ ჯეკოზე** მიიტანეს, რომელმაც ეს სეზონი არანაკლებ ეფექტურად ჩაატარა და 26 გოლის გატანა შეძლო. ახლახან, ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა „კიკერის“ გამოკითხვაში ჯეკო სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

სეზონის დასრულებამდე ბოსნიელი ფორვარდი ამბობდა, ჯერ არ ვიცი, დავრჩები თუ არა „ვოლფსბურგშიო“. როგორც ირკვევა, ედინს უნდა, რომ ხელფასი მოუმატონ. „ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და თუ გუნდის ხელმძღვანელები დამპირდებიან, რომ ალბათ „ვოლფსბურგში“ დავრჩები,“ - უთხრა ჯეკომ ერთ-ერთ ბოსნიურ რადიოს.

ცნობილია, რომ ედინის შეძენით ისეთი გრანდები არიან დაინტერესებული, როგორებიცაა „ჩელსი“, „არსენალი“ და „მილანი“. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან 23 წლის ჯეკო ძალიან პერსპექტიული თავდამსხმელია.

ამასობაში, „ვოლფსბურგის“ ახალმა მწვრთნელმა და მენეჯერმა **არმინ ვეჰ** „მუნხენ 1860“-ის ტალანტ **ფაბიან ჯონნორს** დაადგა თვალი. „ვოლფსბურგერ ალგებმანე ცვითუნგის“ ცნობით, ჯონსონი ფეხს სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზეა. მოუხნელები ნიჭიერი ფეხბურთელის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს ითხოვენ.

გოტფრიდ ლენცი

ედინ ჯეკო ხელფასის მომატებას ითხოვს

ვერდერი

ცხოვრება გრძელდება... დიეგოს გარეშე

ბრაზილიელის წასვლით შეძრნილ სიცარიელეს იოზილი და მარინი შეავსებენ

გერმანიის თასის მოგებით გამონვეულმა ეიფორიამ უკვე გაიარა და ბრემენის „ვერდერის“ ხელმძღვანელებმა უკვე მომავალი სეზონისთვის მზადება დაინყეს. მოუხედავად იმისა, რომ კაპიტანმა **ფრანკ ბაუმანმა** კარიერა დაასრულა, ხოლო გუნდის ლიდერი **დიეგო** კი „ოუენტუსში“ გადავიდა, ბრემელელი კლუბის სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** მომავალს მაინც ოპტიმისტურად უყურებს.

ნელ-ნელა იკვეთება ის შემადგენლობა, რომლითაც ბრემენელები მომავალ სეზონში ჩაებმებიან: „ვერდერში“ ცხოვრება გრძელდება, დიეგოს გარეშე! ბოლო დროს გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ბრემენს მეკარე **ტიმ ვიზე** და მცველი **ნალდო** დატოვებდნენ, მაგრამ ალოფსი ამბობს, ორივე ფეხბურთელს ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და მათ გასხვისებას არაფრისდიდებით არ ვაპირებთო. ბრაზილიელ მცველს „მარსელი“ ევატატებდა, ვიზე კი „მალკეში“ **მანუელ ნოიერს** მემცველად განიხილებოდა. „ფუსკოსების“ შეფის თქმით, გუნდს ახლა ერთი ფულანის მცველი და ერთი მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება. მომავალი ტრანსფერები დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, დარჩებიან თუ არა „ვერდერში“ **ალექსანდროს ციოლისი** (ბრემენელები „პანათინაიკოსს“ ჯერ ვერ შეუთანხმდნენ) და **იურიცა ვრანიები** (ამ უკანასკნელს გუნდის გამოცდილი უნდა, რადგან **თომას შაააი** იშვიათად ათამაშებს).

„ვერდერი“ შეტევებიც უნდა გაძლიერდეს, რადგან დიეგოს წასვლის შემდეგ, წინა ხაზში ძალიან დიდი სიცარიელე გაჩნდა. მოგეხსენებათ, „მუსკოსები“ უკვე შეუთანხმდნენ მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა ფლეიმეიერ **მარკო მარინს**. ალოფსის თქმით, ფეხბურთელთან ყველაფერი გარკვეულია და ახლა „გლადბახის“ შეფეხთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. „კიკერის“ ინფორმაციით, „ვერდერს“ მარინის ტრანსფერი 8 მილიონი ევრო დაუჯდება. დიდი მანსია, რომ „ვერდერში“ დარჩეს „ჩელსიდან“ არენდით აყვანილი ფორვარდი **კლაუდიო პისაროც**.

დიეგოს კონკრეტულ შემცვლელს „ვერდერი“ არ ყიდიდა. ალოფსის თქმით, ბრაზილიელს წასვლით შექმნილი სიცარიელე მარინმა და **მესუთ იოზილმა** ერთობლივი ძალებით უნდა შეავსონ.

გოტფრიდ ლენცი

ნალდო და ტიმ ვიზე ბრემენში რჩებიან

აზგეები



რანიერი: ანჩელოტი საუკეთესოა

„ჩელსის“ ყოფილმა დამრიგებელმა **ლაუდიო რანიერიმ** (2000/04) თანამემამულე **კარლო ანჩელოტის** ლონდონურ გრანდში დანიშვნა კარგად გათვლილი და ჭკვიანური ნაბიჯი უწოდა. „ანჩელოტი ფანტასტიკური მწვრთნელია. შეიძლება ითქვას, რომ ის „არისტოკრატებისთვის“ იდეალური არჩევანია. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ის ალექს ფერგიუსონის, მარჩელო ლიპის, ფაბიო კაპელოს, ჟოზე მოურანიოსა და მაათ ჯალბრის ხბოა მწვრთნელების კატეგორიაში გადის. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ფერგიუსონის, მენხატესისა და ვენგერის გარდა კარლუტოს ზმაც ძვლარედ გაისმება. მან უკვე ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და შეუძლია, „ჩელსისთან“ ერთად ეს ციდეე ურთხელ გაიმეოროს,“ - განაცხადა 57 წლის ანჩინელმა მწვრთნელმა.

შალვა გიგილაშვილი

ჟაგიელკა, იობო, პოპარდი

„ევერტონის“ ერობაშად სამმა ფეხბურთელმა სეზონის დასრულებიდან რამდენიმე დღეში კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა - ლაპარაკია **ფილ ჟაგიელკაზე, ჯონზეფ იობოსა** და **ტიმ პოპარდზე**. სამეულთან ვადაზე ადრე ხელშეკრულების გაგრძელების ინიციატივით „ლურჯების“ მოტლანდელი თავკაცი **დევიდ მოიესი** გამოვიდა.

ფილ ჟაგიელკა ამჟამად სერიოზულად ტრავმირებულია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა უპრეცედენტო ნაბიჯზე წავიდა და **ფაბიო კაპელოს** ყურადღების ცენტრში მოხვედრილ 26 წლის ცენტრალურ მცველს კონტრაქტი 2014 წლამდე გაუხანგრძლივა.

შალვა გიგილაშვილი

პიუზი ადასტურებს

„მანსტერ სითის“ ოფლაელი თავკაცი **მარკ პიუზი** ადასტურებს, რომ კლუბის წარმომადგენლებს **კარლოს ტევესის** აგენტებთან შეხვედრა უკვე ჰქონდათ და მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გაიმართა. ევროპულ პრესაში დაბნეულობა იკრძნობა, რადგან ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად იბრძვიან და ვის სასარგებლოდ გაკეთებს არჩევანს „ელ პაპაზე“, ძნელია სათქმელია.

შალვა გიგილაშვილი

პუნტელაარს წინადადებები არ აქვს

მადრიდის „რეალის“ პოლანდიელ თავდამსხმელი **იან-ვლაას პუნტელაარა** აცხადებს, რომ მისთვის კარიერის გასაგრძელებლად ოფიციალური წინადადება არავის შეუთავაზებია. ასე რომ, დარჩება თუ არა „რეალში“ ამაზე კონკრეტულად პასუხი ჯერ არ აქვს. ინგლისური პრესა კი ატტორად ჭორაობს, **რუუდ ვან ნისტელროის** გამოჯანმრთელების შემდეგ სამეფო კლუბი ფეხბურთელს იოლად შეელეგაო. ეს უკანასკნელი მსუბუქად უკვე ვარჯიშობს და ძირითად შემადგენლობას ალბათ სექტემბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდება.

შალვა გიგილაშვილი

ლივერპულს დისტენი სურს

„გაზეთის“ ცნობით, „ლივერპულმა“ „პორტსმუთს“ ოფიციალური წინადადებით მიმართა - მერსისაიდელები მზად არიან, 31 წლის ცენტრალურ მცველ **სილვენ დისტენში** 2 მილიონი გირვანქა გაიღონ. **რაფა ბენიტესს** „ლივერკულხენში“ გადასული **სამი პიიპას** უკალოფიციური შემცვლელის შეძენა უნდა, თანაც ისეთის, ვინც სათადარიგოს როლს ყოველვარი ხმაურის გარეშე შეეგუება. თავად ფეხბურთელის პოზიცია უცნობია.

შალვა გიგილაშვილი

ისტორიული კლუბი გაიყიდა

ინგლისის საერო ლიგაში მოასპარეზე „ნოთს ქაუნტი“ მსოფლიო ფეხბურთის ნანილია. არა იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული მიღნევები აქვს, არამედ იმის გამო, რომ ის 1862 წელს (ბაზს ვუსვამთ, ათას რვაას) არის დაარსებული და ფეხბურთის ისტორიაში უძველეს საფეხბურთო კლუბად მიინევა. „ნოთს ქაუნთი“ სწორედ ამ დღეებში გაიყიდა. ის ახალაღმოსავლეურმა კონსორციუმმა „მუნსტო ფაინანსმა“ შეიძინა. ხსენებული კომპანიის სათავეში დგას „ევერტონის“ ყოფილი კომერციული დირექტორი **პიტერ ტრემბლინგი**. გარიგებაში მონაწილეობდა ასევე მეორე ბრიტანელი ბიზნესმენი **პიტერ ულტები**. ეს უკანასკნელი არაბეთის გაერთიანებულ საემირობში ბაზრობდა „ალ თანი ინვესტმენტ გრუპს“ წარმოადგენს. ხელშეკრულებას მხარეთა შორის ხელი უახლოეს დღეებში მოეწერება.

შალვა გიგილაშვილი

დორგმუნდი ლევანდოვსკისთვის იბრძვის

დორტმუნდის „ბორუსიას“ მომავალი სეზონისთვის მიწინამ ერთი ახალი მაღალი კლასის თავდამსხმელი სჭირდება, გასულ სეზონში „ბორუსიას“ ფორვარდობა იმედები დიდად ვერ გაამართლეს და ამიტომაცაა, მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი ახალი გოლეადორის ყიდვას რომ ითხოვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ვესტფალიელები 20 წლის **რობერტ ლევანდოვსკის** უმიზნებენ. პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა ამ სეზონში „ლეხის“ შემადგენლობაში 28 მატჩში 14 გოლი გაიტანა. პოლონელები ლევანდოვსკის სანაცვლოდ „დორტ მუნდს“ 5 მილიონ ევროს სთხოვენ.

გოტფრიდ ლენცი

(*გაგრძელება*)

ცოტა რამ პირად ცხოვრებაზე. ოჯახურ გარემოში გატარებული დაუვიწყარი, ამაღელვებელი საათები - ეს არის ჩემი არსებობის უმნიშვნელოვანესი მომენტები.

1983 წლის აგვისტოში, „ოუენტუსის“ შემადგენლობაში მეორე სეზონის დაწყებამდე ოჯახთან ერთად მალდივის კუნძულებზე ვატარებ დროს. ფოტოკორესპონდენტის როლს ჩემი მეუღლე **კრისტელი** თამაშობს, რომელიც ფოტოაპარატს არ იცილებს და მუდმივად ეძებს მოსახერხებელ შემთხვევას ჩემი ფოტომოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამავდროულად, ის „პარი-მატჩისთვის“ განსაკუთრებულ რეპორტაჟს ამზადებს. კუნძულ მალეზე ჩემს შვილებთან **ლორანთან** და **მარინასთან** (ის უკვე ორი წლისაა) ერთად ვსეირნობ და შეიძლება ითქვას, მთლიანად ვეფლობი ამ მიწიერ სამოთხეში. აღფრთოვანებული დავრჩი წყალქვეშა სამყაროს გაცნობით.

კრისტელს სულ უფრო მეტად უჭირს ჩემი პოპულარობის ატანა. ის უკვე აღარ მახლავს მჭიხარობებში და აღარ ესწრება მატჩებს. უარს ამბობს ოფიციალურ სადილებზე და ცდილობს საყიდლებზე არ იაროს ტურნის ყველაზე დიდ უნივერსამებში. ის ჩემს გვარს ალარ აწერს საკრედიტო ქვითრებს და ურჩევნია ამისთვის თავისი ქალიშვილობის გვარი გამოიყენოს. ეს არის პოპულარობისა და დიდების შედარი მეორე ხარე... კრისტელი აღარ ირჩევს მეგობრებს ფეხბურთელთა ცოლებისგან. გამონაკლისია მხოლოდ **ზბიგნევ ბონეკის** მეუღლე - ვიესლავა. ისინი ერთად კვირაში ოთხჯერ გადიან აერობიკის კურსებს და თან ჩოგბურთის თამაშითაც ერთობიან.

ჩემი მეორე ტურნეული სეზონის ბოლოს, 1984 წლის იელისში „ეონკორდით“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მივფრინავ. ოჯახიც თან მახლავს.

წელინადში ერთხელ მაქვს ისეთი დასვენების უფლება, როცა მთელი ჩვენი ოჯახი ერთად იკრიბება და თითოეული ჩვენგანი ნამდვილ სიამოვნებას იღებს საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობით. თორემ თვიდან თერთმეტში ფეხბურთის თამაში იმდენ ენერგიას მაცლის, რომ დასვენების გარშემო, უბრალოდ გადავიწვები. ამ დროს, ნელი მოქმედების ნაღმივით ვარ ხოლმე.

აქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი შვილები ტაბებით თავიანთი კერპების კომპანიაში: მიკი მაოსი, დონალდი, დიეგო და სხვები... დაბოლოს, აქ შემიძლია ვილაპარაკო ყველაფერზე, ფეხბურთის გარდა! ნიუ იორკში დილის შვიდ საათზე ვდგებით და ცენტრალურ პარკში დილის სეირნობას ვანყობთ. მაგრამ დრო აჭარად არ გვყოფნის იმისთვის, რომ ახალ-ახალი შთაბეჭდილებების აღქმა მოვასწროთ...

აქამდე ჩვეულებრივ, შვებულებას მალდივის ან სეიშელის კუნძულებზე ვატარებდით. ასევე მიდიოდით მარტინიკაზე ან ბრაზილიაში. ახლა კი მზიან კუნძულებზე მოგზაურობის ტრადიცია დავრღვიეთ. ამჯერად ახალი სამყაროს აღმოჩენა მოგვინდა, რომელიც მრავლად იზიდავდა ჩემს იტალიელ ნინაპრებს... დღეს ნიუ იორკში ვერრანი, ხვალ ლოს ანჯელესში გავფრინდებით... მარინასა და ლორანს იქ, პირველ რიგში, დისნეილენდის საოცრებები ელით.

ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი სახელი მხიმე ტვირთად არ დააწვეთ ჩემს შვილებს. სახლში ვცდილობ ნაკლებად მოვახდინო ჩემი სპორტული პრიზებისა და მედლების აფიშირება. ჩვეულებრივ, მინ გაზეთები არ მიმაქვს, რომლებშიც ჩემს პიროვნებაზე ბევრს წერენ.

ტურნირი კარგად ვგრნობ თავს. კლუბმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ქალაქში ცხოვრება ჩვენთვის სამოთხედ ქცეულიყო. კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევი და ხანდახან ჩემს სიმშვიდეს ასაძე წერილი არღვევს, რომლებშიც თავს მაბრზებენ იმედის-მიცემი შერლოკ ჰოლმსები. ჩემს რეზიდენციაში მშვიდ გარემოში ვუყურებ ტელევიზორს, ვრთავ ვიდეომაგნიტოფონს ან ჩემს პერსონალურ კომპიუტერში სხვადასხვა კომპანიაციების ანყობით ან თამაშების მოფიქრებით ვერთობი.

ტურნირში მხოლოდ „ფიატ-1“-ით დავდივარ. ეს იმისთვის, რომ საკუთარი გულშემატკივრები არ გავაღიზიანო. ჩემს „ფერარის“ კრისტელთან ერთად მიღანში მგზავრობებისთვის ვიყენებ.

თავის გამოჩენის გზაში მსოფლიოს ორ ჩემპიონატს შორის, ევროპის პირველობაზე გავიარნდა. ის 1984 წლის იენის კონტექსტში საკვანძო ტურნირად აღიქმებოდა მთელ ამის არგენტინაში.

როგორ გადაეცემოდა, დადგენილი ტურნირის წესით, საფინალოების ბედი ფეხბურთელებს პირადად - მთელს ფონ-რომოს ტყის ტერიტორიაზე იკრიბებიან.

„ოუენტუსი“ ჩემთვის იმდენად მშობლიური გახდა, რომ არც კი ვიცი, როგორ მიმიღებს მშობლიური ფრანგული პუბლიკა.

გასულ წელს, „პარკ დე პრენსზე“ ატეხილმა სტვენამ ამ სტადიონის მიმართ ცუდი განწყობა დამიგროვა. ახლა მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ვცხოვრობ, აგრეთვე იმათი მხარდაჭერის იმედი მაქვს, ვისაც მართლა ვუყვარვარ. სხვა დანარჩენი არ მაინტერესებს - არც ერთი კრიტიკოსისა თუ მორალისტის აზრი. მინდორზე, როცა სრულიად არასამართლიანად მისტვენენ, შემიძლია მოუებელი, პროვოკაციული ჟესტით გუბასუხო მაყურებელს, რასაც ადრე არასოდეს ვიკადრებდი. უფრო მკაცრი და ბუნებრივი გავხდი. აქამდე მხარული ვიყავი და ჩემი გული ყველასთვის გახსნილი იყო. ამჯერად კი, შორს მიჭირავს თავი პირაპირებისა და მატყუარა ადამიანებისგან. იმ დასამახსოვრებელ საღამოს, როცა 19 ოქტომბერს „პარი სენ-ჟერმენის“ წინააღმდეგ ვთამაშობდით, იმდენი შეურაცხმყოფელი სიტყვა მოვისმინე, რომ ჩემმა მორალურმა ჯაგუშმა ეს ვერ აიტანა. სწორედ მაშინ გულში დავიფიცე, რომ არასოდეს ვითამაშებდი საერანგეთში, თუ პუბლიკა მომდევნო მატჩშიც ამიტეხავდა სტვენას. მაგრამ შემდეგ შეხვედრაში, რომელშიც საფრანგეთი და ინგლისი თამაშობდნენ, ყველაფერი კარგად იყო...

1984 წლის 27 ივნისი - ევროპის ჩემპიონატის ფინალის თარიღია. დღეს 30 მაისია. **მიშელ იდალგო** საკუთარ თავში და შეგირდებში დარწმუნებულია. მისთვის არანაირი ეჭვი არ არსებობს. ჩვენ აუცილებლად გავალთ ფინალში. ჩვენ მას მოვიგებთ...

ისაღა დავრჩენია, გადამწყვეტ მატჩს დაველოდოთ...

საფრანგეთის ნაკრებს არასოდეს ჰქონია პატივი, ევროპული საფეხბურთო იერარქიის სათავეში მოქცეულიყო...

დგება 15 ივნისი, რომელიც იმ მრავმყს გვაახლოებს, რაზეც ამდენი ხანი ვოცნებობდით. და აი, მე ვიმშვილი ხელში, მარცხენა ხელზე კაპიტნის სამკლაურით, საფრანგეთის ნაკრები „პარკ დე-პრენსის“ სტადიონზე გამყვება, რომლის ტრიბუნებიც დანიელი ვიეინგების თეთრჯვრიანი ნითელი ალმებით არის მოფენილი. მათი საყვარელი ფეხბურთელების განწყობა საბრძოლოა. ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ ჩემპიონატში ყველანი მამაცურად იბრძოლებენ.

მატჩი ნამდვილი მამაკაცებისთვის, რომელშიც გამარჯვებისთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო.

მე განსაკუთრებით მიჭირს. დანიელების გერმანელმა მწვრთნელმა **ზეპ პიონტეკმა** ჩემი მეურვეობა **კლაუს ბერგრუნს** დააკვლა. ამ გიგანტის წყალობით, ბალახში ცხვირწარგული დიდ დროს ვატარებ. ბოლოს, როგორც იქნა, ტაიმის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე, დანიელები შეცდომაზე დავიჭირე. მარჯვენათი დავარტყი. გოლი. გამარჯვება.

ნანტში, „ბოტუარის“ ახალ სტადიონზე საფრანგეთისა და ბელგიის ნაკრებთა შეხვედრა უბრალო ფორმალობაა. 5:0 - ჩვენს სასარგებლოდ. ბელგია ხშირად ვერ ახერხებდა საფრანგეთის დამარცხებას.

მე სამი გოლი გამაქვს: მარცხენათი ჰაერიდან გავიტანე, პენალტი გამოვიყენე და ერთი თავურიც შევგდე. საკმაოდ მშვიდად და აუღელვებლად შევასრულე ნაკრების შემადგენლობაში ჩემი პირველი ჰეთ-თრიკი. ამის წყალობით, სამი ბურთით გავაუმჯობესე **ჟიუსტ ფონტენის** რეკორდი (28 გოლი). აქამდე სნორედ ის ითვლებოდა საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად. ჩემს უდიდეს ინდივიდუალურ წარმატებას გუნდის ყველა ფეხბურთელი აღფრთოვანებაში მოჰყავს. ჩვენი მეკარე, **ჯოელ ბატსი** ასე ამბობს: „ალტანი? მას იღბალი არ შორდება!“

(*გაგრძელება იქნება*)

გია თევზაიშვილი

ქართული ფეხბურთი

ტყვიის სროლა

ისევ ოსიკაში, 24 წლის შემდეგ

მიუხედავად მილანში ტყვიის მსროლელებმა მსოფლიოს თასები გაითამაშეს. ორივე შეჯიბრებაზე საქართველოდან, ტრადიციულად, ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე გამოირჩა. თუმცა საპრიზო ადგილს, სამწუხაროდ, ვერც ის შესწვდა. არადა, მილანში სპორტული პისტოლეტით ასპარეზობისას მიზანთან ახლოს იყო: საკვალიფიკაციო ეტაპზე 584 ქულა მოაგროვა და ფინალში მესამე შედეგით შევიდა. გადამწყვეტ ეტაპზე 20 გასროლიდან 199,9 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.



20 გასროლა სრულდება, რაც საკმაოდ შრომატევადი და დამღლელია.

— მსოფლიოს თასებზე თქვენთან ერთად სხვა ქართველმა ჩოხებებმაც იასპარეზეს. მათს შესახებ რას იტყვით?

— ნინო უჩაძემ თავისი შედეგები აჩვენა მოუხერხა და მილანშიც. მაგრამ ცვარცხლებეზე ასასვლელად ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. პირადი რეკორდები საკრძნობლად გაიუმჯობესა ლუვან ქადაგიძემ, რომელიც ექვსჯერ გავიდა ცეცხლის ხაზზე. საგულისხმო ის არის, რომ ლევანმა ორივე შეჯიბრებაზე აჯობა ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონს ბელარუს კონსტანტინ ლუკაშიკის, ხოლო ფრანც ოლიმპიურ ჩემპიონს ფრანც ლუმბერთს 3 ქულით ჩამორჩა. ყოველივეს მიუხედავად, ქადაგიძეს ცქლაცვეს დიდი გარჯა მოუწევს საერთაშორისო სარბიელზე ფინალში მოსახვედრად.

პირადი მიღწევები გაუუმჯობესა ახალგაზრდა მსროლელმა მეგი ქადაგიძემ. იგი ასეთ წინსულს თუ განაგრძობს, შესაძლოა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდეს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად. მოუხედავად და მილანში წლეულს პირველად ნავიყავით 1992-1993 წლებში დამბადებული ნიკა ხაჩიძე და გიორგი ნანალაშვილი. გაისად სინგაპურში ამ ასაკის სპორტსმენებისთვის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ვიმედოვნებთ, რომ 2010 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნია და გიორგი ამ თამაშების ლიცენზიას მოიპოვებენ.

— თბილისში დაბრუნება დაგაგვიანდათ. რა მიზეზით?

— მილანის საერთაშორისო აეროპორტ „ლომბარდში" დიდი დავიდარაება გადაგხვდა: უკან დაბრუნების დროულად გაგიარეთ რეგისტრაცია, ბარგიც ჩაბარებით, მაგრამ შენგენის ქვეყნების ტერილებმა მებაღემ იარალის ნამოსალებად შეგდენილ საბუთში ბეჭედი არ ჩაგვირტყა, რის გამოც თვითმფრინავში ვერ ავედით. ბილეთებიც გაგვიუქმდა. იარალით აეროპორტში ვინ დაგვტოვებდა?! მსოფლიოს თასის გათამაშების ორგანიზატორებს შევეხმიანეთ. მათი დახმარებით დავბინავდით სასტუმროში. საუთარი სახსრებით შევიძინეთ ბილეთები და მეორე დღეს რის ვაიავალახით გამოვფრინდით მილანიდან, ამჯერი ნელინდა, შეკიბრებებზე დავდგავარ, მსგავსი რამ არასდროს გადამხდენია.

— სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?

— ხორვატიის ქალაქი ოსიეკი 15-20 ივლისს სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს ის ქალაქია, სადაც 1985 წელს პირველად ვისასპორტე ევროპის ჩემპიონატზე და ოქროს მედალი მოვიპოვე სპორტული პისტოლეტიდან სროლაში. მაშინ დავუმეგობრდი სერს ისს სეკორინს, რომელმაც იმ დროს ვერცხლის მედალი დაიმსახურა, სეულის ოლიმპიადაზე კი ორივემ მოვიხეიქეთ. მილანში ისინს გამეხვედრა, ოსიეკში 24 წლის წინანდელი შედეგები ხომ არ გავიმეორთო. ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდეს.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ქრიკეტი

ინტერვიუ ალექსანდრე ჟვანიასთან

ჩემპიონობის დროც მოვა

ალექსანდრე გამარული კალეტა მსოფლიოს ჩემპიონატიდან საქართველოს ნაკრები ერთი მედლით დაბრუნდა. ვერცხლის ჯილდოს 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე თბილელი ალექსანდრე ჟვანიასი დაეუფლა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს "ლეკლამ" მეორე ინტერვიუ ჩამოართვა.

- პირველ რიგში, გაიხსენე, როგორ მიაღწიე ფინალურ ორთაბრძოლამდე.

- ფინალის ჩათვლით, სულ ექვსი ბრძოლის ჩატარებამ მომიწია, რაც საკმაოდ დიდი დატვირთვაა. ფიზიკურად კარგად ვიყავი მომზადებული და ჩემპიონატის ტემპს ფეხი ამიტმაცვ კარგად ავუწყე. პირველ ეტაპზე უნგრელ მეტოქეს ვეძლიე, ამის შემდეგ კი პუერტორიკოელი, ინდოელი და ავსტრალიელი მოკრივეები დავამარცხე.

- ფინალამდე ყველაზე მეტად რომელ მეხვედრაში გაგიჭირდა?

- ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოვიგე, მაგრამ მეოთხედფინალში ინდოელმა ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გამიწია.

- ფინალში როგორი ანგარიშით დამარცხდი?

- მცირე უპირატესობით, 3:5 ნავაგე. ძალიან ძლიერი მონინააღმდეგე მყავდა ბრძოლის. მოგეხსენებათ, კუბა ნამყვანი საკრეო ქვეყანაა და ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირზე უძლიერეს სპორტსმენებს აგზავნის. ამის მიუხედავად, ფინალში უმნიშვნე ნაშედეგით არ ვყოფილვარ. ცოტა აღმაი, გამოცდილება დამაკლდა, თორემ გამარჯვება მეც შემძლო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კიდეტმა მსოფლიოს ჩემპიონობაზე მონაწილეობა მაქსიმუმ 16 წლის ასაკის მოკრივეებს შეუძლიათ, მე კი 15 წლის ვარ.

- ფაქტია, რომ ვერცხლის მედალიც უდიდესი მიღწევაა. ელოდი ასეთ შედეგს?

- იმისთვის ვშრომობდი, რომ ჩემი ქვეყანა შესახელებინა. ტურნირამდე დაბეჭდილებით ვერ ვიტყოდი, რომელი სინჯის მედლის მოპოვების შანსი მქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად მზად ვიყავი. საბედნიეროდ, ჩემი ვარაუდი გამართლდა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გავხდი.

- თუ არ ვცდებით, ეს შენთვის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო.

- დიახ, ასეთი რანგის შეჯიბრებაზე არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე გამოვსულვარ.

- აღმაო, წლეულსვე შეეცდები პირადი კოლექციის ოქროთი შევსებას.

- აუცილებლად, ჩემპიონობის ფროც მოვა. წლეულს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირია, სადაც ოქროსთვის ვიბრძოლებ. რაც მთავარია, ყველაზარი პირობა გვაქვს შეჯიბრებისთვის იდეალურად მოსამზადებლად. აქვე შემოხვევით ვისარგებლებ და დიდ მადლობას გადავუხდი ჩემს პირად მწვრთნელ ფიზიული აღკვროვს, ასევე ნაკრების ყველა მწვრთნელს.

ლევან ჯაველიშვილი

წყალბურთი

ირაკლი ბართაია:

ვეცდებით, უძლიერესთა ათეულში დავმკვიდრდეთ

გადრიდან დამთავრდა წყალმხტომელთა მსოფლიოს გრან-პრი, რომელშიც 19 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. საქართველოს სპორტულ ღირსებას 19 წლის ჭოლა ჭანტურია და 18 წლის შოთა კორახაშვილი იცავდნენ. სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში მათ მე-9 ადგილი, ხოლო ინდივიდუალურში, შესაბამისად, მე-14 და 24-ე ადგილები დაიკავეს.

ესპანეთის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე შთაბეჭდილებებს გვიზიარებს საქართველოს ნაკრებისწი სახელობით ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია:

— წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ახალი ნაბიჯებები დავამუშავეთ: ჭოლასთვის — სამმეტრიან ტრამპლინზე წინდგომიდან სამ-ნახევარი ბრუნი უკან, რომელიც სირთულის კოეფიციენტით ამ კლასის ხტომებში მაქსიმალურია. საერთოდ კი ექვსი ხტომის სირთულის კოეფიციენტი 18,5-დან 19-მდე გაეზრდეთ. თუმცა ამასაც არ დავეუქლდებით, რადგან მაღრიდის შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჭანტურიას გაცილებით მეტი შეუძლია. ახალი ნაბიჯები მან საერთაშორისო სარბიელზე პირველად შეასრულა და 6 ქულა დაიმსახურა, რაც ამ ეტაპისთვის საკმაოდ კარგი შეფასებაა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი ეპიყრებოდა ისეთ სპორტსმენებს, რომელთა დიდი ნაწილი პეკინის ოლიმპიადაზე გამოდიოდა.

ჩინელმა ლი შიბინმა წლეულს გრან-პრი შესაძლებლობა მისცა. მეორედგელოსანი კაბაედი ალექსანდერ დესპატიე სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. მესამე ადგილზე გასული ესპანელი ხავიერ ილანა ევროპის ჩემპიონი და მრავალი გრან-პრის გამარჯვებულია.

საგულისხმოა ისიც, რომ ხუთი ნახტომის შემდეგ ჭანტურია მე-12 ადგილზე მყოფ მეტოქეს მხოლოდ 0,25 ქულით ჩამორჩებოდა და ფინალში შესვლის შანსს ინარჩუნებდა, ბოლო ცდა, სამწუხაროდ, ისეთი არა გამოუვიდა, როგორიც გვინდოდა. ამის მიუხედავად, მაღრიდში ჭოლას ურიგოდ არ უსპასუხია. კმაყოფილი ვარ. გერმანიის გრან-პრიზე მან 307 ქულა მოაგროვა, ევროპის ჩემპიონატზე — 319, ხოლო მაღრიდში — 364,75. ამ შედეგებითაც ნათლად ჩანს წინსვლა. ეს უცხოელებსაც შეამჩნიეს. ფრანგმა მსაჯმა, 2008 წლის ევროპის საუკეთესო არბიტრმა დენილ აზორინმა მითხრა, ჭანტურიას ასეთი პროგრესით გაოცებული ვარო.

რაც შეეხება შოთა კორახაშვილს, ამჯერად საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. მაღრიდში მანაც ახალი ნახტომი შეასრულა — უკანდგომიდან სამ-ნახევარი ბრუნი წინ, რომელსაც ჯერ კიდევ დახვეწა სჭირდება. ვფიქრობ, ევროპის ახალგაზრდულ პირველობამდე მოვასწრებთ. ამ შეჯიბრებას 28 ივნისიდან ბუდაპეშტი უმასპინძლებს. უნდა ვთქვა დედაქალაქის სხვა ქართველი წყალმხტომელებიც ისპარეზებენ, რომელშიაც 10-15 ივნისს ევროპისაში ახალგაზრდების სუპერტურნირზე გამოვცდით. 19-წლამდელებში სინქრონულ ვერცხლი გამოვა, 16-წლამდელებში — თეონა ფიქრიძელი (ორივე — ერთმეტრიანი ტრამპლინიდან), აგაკი ვანიშელი (სამმეტრიანი ტრამპლინიდან) და ალექსანდრე გუგუაშვილ, რომელიც ათმეტრიანი კოშკურიდან იბრძვიან. მე კი მსაჯად ვარ მწვეული, ამიტომ ნაკრებს ალექსანდრე ბარათაია უხელმძღვანელებს. სასტუმროს და კვების თანხის ნახევარს ევროპის წყალთა სახელობის ფედერაცია გადაუვიდის, დანარჩენს კი — საქართველოს სპორტსა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, რომელმაც ესპანეთში გასამგზავრებლად დაგვიფინანსა.

— არაფერი გითქვამთ სინქრონულ ხტომებზე...

— მაღრიდის გრან-პრიზე მე-9 ადგილი დავიკავეთ და 26 სარეიტინგო ქულა შევიხვეთ. ამჟამად პოლანდიელებთან ერთად მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ვეყოფით (შარშან მე-13 სიდეზურზე იყვნენ — რედ.). ეს მაჩვენებელი მსოფლიოს ჩემპიონატამდე არ შეიცვლება. წყალთა სახლობების დიდი ფორჭები კი იელისის მიწურულიდან იტალიის დედაქალაქ რომში გაიმართება. ჩვენი მიზანია, წლეულს საუკეთესო ათეულში შევინარჩუნოთ ადგილი. იმედია, რომ შეძლებენ.

ვაჟა დანელია

მშვილდოსნობა

ჯერ ისევ შორია არა კარგად



თურქეთის ქალაქ ანთალიაში გრძელდება მსოფლიოს თასის მე-3 ეტაპი მშვილდოსნობაში. ჩვენს ვაჟთა ფიასკოზე უკვე ვწერდით. აღსანიშნავია, რომ შედეგების კორექციის შემდეგ აღმოჩნდა, ჩვენგან საუკეთესო ტარილე ქადიძე 90-ე ადგილზე გასულა და არა 91-ე-ზე, თუმცა ეს რომ ვერაფერი შეღავათია, თავად მოგეხსენებათ. დღეს კი ათი ოფები ქართველთა გარეშე ჩაიელის, როგორც დღევანდელ ულარში, ასევე გუნდურში.

გუშინვე ვივარაუდეთ, რომ ქალებს უკეთ ისპარეზებენ, ვიდრე ჩვენი ვაჟები, ეს ვარაუდი გამართლდა. სტარტზე სულ 79 მშვილდოსანი გაიგიდა და ჩვენმა გამოცდილმა სპორტსმენმა **ხათუნა ნარიმანიძემ** 1284 ქულით 36-ე ადგილი დაიკავა. პლეი ოფში მისი პირველი მეტოქე გერმანელი **სუზან პოსნერი** იქნება, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპი 29-ე ადგილზე დაასრულა. **ასმაო დიასამიძე** საქართველოს ჩემპიონია, მას კარგად არ უსრულა, მაგრამ ასმამა მაინც შეძლო პლეი ოფში მოხვედრა და მთავარი ესაა. ასმამა 1240 ქულით 61-ე ადგილი დაიკავა. ერთი ეგაა, პირველ ნრუნი ასმაოს ძალიან ძლიერი მეტოქე ეყოლება, ოტალიელი **ნატალია ვალეევა**, რომელმაც საკვალიფიკაციოში მე-4 ადგილი აიღო. **ნათია ცინცაძე** ძალიან ცუდად გამოვიდა, 1169 ქულა დააგროვა და მან მხოლოდ ერთ მეტოქეს გაუსწრო. სწორედ მასამ მონაწილის სუსტი ასპარეზობის გამო საქართველოს ნაკრებმა გუნდურში მე-17 ადგილი დაიკავა (18 გუნდში), არადა ალეი ოფში გასასვლელად მე-16 ადგილის დაკავება იყო საჭირო.

ნიკოლოზ ნიფაძიძე

კალათბურთი

კალათბურთელთა მონაგარში არქილი ჩემპიონატი

გიორგი მარკოიშვილმა ჩემპიონატების რეკორდი დაამყარა

საძმე მძიმედაა

ადგილებზე არიან. მიგიღეთ **სალვადორ დალისული** პარადოქსული სიტყვით: ეთოპიის ტყეში უფრო მეტ ტყლას აგროვებენ, ვიდრე ხელფასისანები, რომლებიც ორჯერ მეტს ვარჯიშობენ.

სიტუაცია მძიმეა. იგი ცოდვ უფრო დამძიმდება, თუ ცოდვ ერთ გვარს დავასახელებთ - **ვახტანგ ნაცვლიშვილი**. ვატო 33 წლისაა და მე-18 ჩემპიონატში მოხლმტკივნეთ შთამომბედა, თან წონაში აქვს მომატებული. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენი გაზეთის გამოკითხვაში მესამე ადგილზე გვიდგა. იგი მეტწილეთა სტატისტიკურ ლიდერებშიცაა, მომხსენელებშიც და დამფარცლებშიც. ვატო, ფაქტობრივად, ეულად უძალიანდებოდა "ენერჯის" და "ავიას" ფინალებისკენ ექიჩებდა...

...და ასეთმა კალათბურთელმა სეზონის დასრულებასთან ერთად კარიერა დასრულა. დასკვნები თქვენთვის მოგვიხდია.

ზემოთ ჩამოთვლილი გვარების და საკალათბურთო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, არა გვგონია, ვინმე ფიქრობდეს, რომ ჩემპიონატი წარმატებული გამოვიდა. თუმცა, შეიძლება მოიძებნოს ისეთი, რომელიც შემოგვედავება: ჩემპიონატი "ენერჯის" კალათბურთელები სტატისტიკურ ლიდერებში იმიტომ არ მოხვდნენ, რომ გუნდურ კალათბურთს თამაშობდნენ და ფუნქციები ყველაზე თანაბრად ნაწილდებოდაო. პასუხის გასაცემად შორი გზიდან მოვუყვნით: რუსთაველთა ორი ლიდერი, **ლაშა გამყრელიძე** და **კოტე ტუღუში** საშუალოდ 27 წუთს თამაშობდნენ. შარშან, მე-17 პირველობაზე ისინი მოედანზე საშუალოდ 35 წუთს აგარაკებდნენ. რატომ დაიკლო მათმა წუთობრივმა მაჩვენებლებმა? იმიტომ, რომ ნლეულს მატჩებს დაიბადებოდა ერთი-ორად მოაკლდა, "ენერჯი" საქმეს პირველ ტაიმშივე ითავებდა და მწვრინეთი, **დავით უსტიაშვილი** ლიდერებს აღარ ტკირთავდა.

საქართველოში, სადაც მაღალი კლასის კალათბურთელთა დეფიციტია (გაიხსენეთ ვახტანგ ნაცვლიშვილის მაგალითი) და ლეგიონერებიც არავის ჩამოჰყავს, გუღშემტკიცარის დაძაბული თამაშებით თოკს მოვხიბლეთ. როცა აღარც დაძაბულთან, კლებულოს ინტრიგა და სანაბაობრობა...

ამის მერე, რომელ ქომაგს უნდა მოსთხოვო სპორტის სასახლეში ვალაბურთის სანაბაობად მისვლა?! ხალხმა რეგულარულ ჩემპიონატში რომ ვერ ისიამოვნა, ფინელების სანახავადაც აღარ მოვიდა. ჩვენ კი გვიკვირდა, ტრიბუნებზე ხალვათობა რატომაო.

გაგახსენებთ, რომ 2003 წლის ფინალებისას სპორტის სასახლეც თითქმის გაიცსო... მაშინ "დინამოში" ვენსკუნასი, მუშე, სიროვნა და მაღალი კლასის ქართველები თამაშობდნენ. ბათუმელებსაც კარგი გუნდი ჰყავდათ.

დავუბრუნდეთ მე-18 ჩემპიონატის მონაწილე კალათბურთელებს. ლაშა გამყრელიძეზე მისი საუკეთესო აღიარებისას ვრცლად ვისაუბრეთ. აქ მხოლოდ დავძენთ, რომ იგი ზედიზედ მესამედ გახდა სეზონის საუკეთესო მეკასუე – 5.8 შედეგიანი გადაცემით მიითვალა.

გამოკითხვისას სეზონის აღმოჩენის დასახელება ბევრს გაუჭირდა – აბა, ვინ გამოჩნდაო? ესეც ცუდის ნიშანია.

საბოლოოდ ნ ხმა **გივი ბაქრაძემ** მიიღო, რომელმაც ახალგაზრდული ასაკის (1991 წლისაა დაბადებული) მიუხედავად, "დინამოს" ლიდერობა გასწია. იგი ღონიერიცაა, სწრაფიც და არც სწორის სიზუსტე დაეწუნება.

აღმოჩენად ზოგიერთმა **ბექა წიფნიაძე** დაასახელა. ბექა მე-17 პირველობაზე "ვითას" ღირსეულ ბასს იცავდა და ორ წლეულს დებიუტანტი არ იყო, თუმცა მისი აღმოჩენად დასახელება ალოგიკური მაინც არ არის. წიფნიაძე საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს და დღითიდღე პროგრესირებს. სულ მალე საუკეთესო გამთამაშებლის, თუ გნებავთ, საუკეთესო კალათბურთელის ჯილდოს ლაშა გამყრელიძეს შეეცილება.

ასევე წინ მიიწევს **რეზო ათანელიშვილი**, რომელმაც "სასოფლოელები" ფინალში გაიყვანა. ამ სეზონის შემდეგ რეზო საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ჩაეწერა.

აღმოჩენეთა შორის მოხვდა "ენერჯის" ცენტრი **აკაკი დვალიშვილი**, თუმცა მას მხოლოდ მაშინ უნეედა მოედანზე შესვლა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

კიდევ არაერთი ახალგაზრდა კალათბურთელის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, მათ ღირსეულად შეცვლონ **ირაკლი ხოშტარია** და ვატო ნაცვლიშვილი, რომლებმაც ამ სეზონის შემდეგ კარიერა დაასრულეს.

ვაჟა სიმონიშვილი

ქულა

მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	საშ.
1. გიორგი მარკოიშვილი	ოსუ	23	492	21.39
2. ავთო ზენეიანოვი	ზსს	12	218	18.17
3. ლაშა ჯუღელაძე	ბათუმი	18	311	17.28
4. ვიტო ხაჩვანიანი	ოსუ	21	354	16.86
5. გიგლიმ გეგიძეული	სსავ	12	192	16
6. ზაზა ნიშნიანიძე	სსავ	24	372	15.5
7. რამაზ გაციაშვილი	აპია.	21	320	15.24
8. გიორგი ჯანგავაძეული	მცხეთა	13	196	15.08
9. ალტა ტუღუში	ენერჯი	23	345	15
10. ვახტანგ ნაცვლიშვილი	აპია	19	284	14.95
11. ლუკა შანიძე	ოსუ	22	325	14.77
12. ზაზიკ ჯინჯიკაძე	მცხეთა	13	187	14.38
13. ლაშა გამყრელიძე	ენერჯი	23	328	14.26
14. ლევან ლაზარაშვილი	ფრინველი	18	252	14
15. ირაკლი გეგიშვილი	აპია.	23	313	13.61
16. ზაური ზვიადაური	ნგმდ	18	243	13.5
17. დავით გაბაძაძაძე	ოსუ	18	225	12.5
18. დავით გეგიშვილი	ოსუ	20	248	12.4
19. სანრეო ბოქუაშვილი	ნგმდ	10	121	12.1
20. ლევან ლეფიაშვილი	მცხეთა	16	190	11.88

მგრძნა

მოთამაშე	გ.	თ	მ.	ს.	ჯ.	საშ.
1. ანზა ზენეანია	ზსს	12	69	68	137	11.42
2. ილია ლეფიაშვილი	მცხეთა	16	80	78	158	9.88
3. ალტა ბათლეთიშვილი	სსავ	25	75	158	233	9.32
4. ზაურა ბოქუაშვილი	ბათ.	18	57	94	151	8.39
5. რამაზ გაციაშვილი	აპია.	21	57	117	174	8.29
6. ვახტანგ ნაცვლიშვილი	აპია.	19	43	109	152	8
7. გიგლიმ გეგიძეული	სსავ	12	22	68	90	7.5
8. ზურაბ გიგლურაი	მცხეთა	13	41	55	96	7.38
9. კოსტანტინ ხაბალაშვილი	ნგმდ	13	31	65	96	7.38
10. ლაშა ჯუღელაძე	ბათ.	18	30	90	120	6.67
11. ლევან ლაზარაშვილი	ფრნ.	18	36	83	119	6.61
12. სანრეო ბოქუაშვილი	ნგმდ	10	19	46	65	6.5

პასი

მოთამაშე	გუნდი	თ	პ.	საშ.
1. ლაშა გამყრელიძე	ენერ.	23	133	5.78
2. ზაზა ნიშნიანიძე	სსავ	24	135	5.63
3. ირაკლი გეგიშვილი	აპია.	23	125	5.43
4. ვიტო ხაჩვანიანი	ოსუ	21	112	5.33
5. გიორგი გაფინიაშვილი	ოსუ	23	110	4.78
6. ტარიელ თაბაგარისთავი	ბათუმი	17	74	4.35
7. დავით გეგიშვილი	ოსუ	20	84	4.2
8. ზაური ზვიადაური	ნგმდ	18	72	4
9. ალტა ტუღუში	ენერჯი	23	90	3.91
10. გიორგი ჩიტაშვილი	ნგმდ	15	52	3.47
11. ზვიად ნიშნიანიძე	ნგმდ	18	62	3.44
12. გივი ბაძრაძე	ფრინველი	17	57	3.35

ჩაჰრა

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ.	საშ.
1. ტარიელ თაბაგარისთავი	ბათუმი	17	46	2.71
2. ზაური ზვიადაური	ნგმდ	18	43	2.5
3. ვასილ ბარაშვილი	ზსს	15	34	2.27
4. ვიტო ხაჩვანიანი	ოსუ	21	47	2.24
5. ირაკლი გეგიშვილი	აპიაგვინი	23	51	2.22
6. დავით ბაბაბაძაძე	ოსუ	18	39	2.17
7. გიგლიმ გეგიძეული	სსავ	12	25	2.08
8. ლევან ლაზარაშვილი	ფრნველი	18	37	2.06
9. გელა ნიშნიანიძე	სსავ	24	48	2

დაფარება

მოთამაშე	გუნდი	თ	დ.	საშ.
1. ალტა ტუღუში	ნგმდ	18	18	1.38
2. სანრეო ბოქუაშვილი	ნგმდ	10	13	1.3
3. ვახტანგ ნაცვლიშვილი	აპია.	19	24	1.26
4. გიგლიმ გეგიძეული	სსავ	12	15	1.25
5. რამაზ გაციაშვილი	აპია.	21	24	1.14
6. ვიტო ხაჩვანიანი	ოსუ	21	18	0.86
7. ალტა ბათლეთიშვილი	ენერჯი	25	20	0.8
8. დავით ბაბაბაძაძე	ოსუ	18	12	0.67
9. ვასილ ბარაშვილი	ზსს	15	9	0.6

შეცდომა

მოთამაშე	გუნდი	თ	შ.	საშ.
1. ილია ლეფიაშვილი	მცხეთა	16	71	4.44
2. გელა ნიშნიანიძე	სსავ	24	103	4.29
3. ტარიელ თაბაგარისთავი	ბათუმი	17	72	4.24
4. ზვიად ლიპარტია	მცხეთა	13	51	3.92
5. გიორგი ჯანგავაძეული	მცხეთა	13	48	3.69
6. გიორგი ბოქუაშვილი	ბათუმი	18	64	3.56
7. რობი აბელიანი	მცხეთა	14	46	3.29
8. ზაური ზვიადაური	ნგმდ	18	59	3.28
9. გიგლიმ გეგიძეული	ნგმდ	15	48	3.2
10. ლევან ლაზარაშვილი	ენერჯი	23	73	3.17

ფეიდი

მოთამაშე	გუნდი	თ	ფეიდი	საშ.
1. გელა ნიშნიანიძე	სსავ	24	804	33.5
2. ლაშა ჯუღელაძე	ბათუმი	18	580	32.22
3. გიგლიმ გეგიძეული	სსავ	12	385	32.08
4. ანზა ზენეანია	ზსს	12	384	32
5. გიორგი მარკოიშვილი	ოსუ	23	704	30.61
6. ტარიელ თაბაგარისთავი	ბათუმი	17	520	30.59
7. ბაბუკა გოლუაშვილი	ბათუმი	18	548	30.44
8. გიორგი ბაფინიაშვილი	ოსუ	23	699	30.39
9. ზვიად ლიპარტია	მცხეთა	13	390	30
10. ვიტო ხაჩვანიანი	ოსუ	21	624	29.71
11. გიორგი ჯანგავაძეული	მცხეთა	13	379	29.15

უმაღლესი მაჩვენებლები

ქულა

76ქულა – გ. მარკოშვილი (ოსუ)
2 ქულა 21/29, 3 ქულა 9/22, ასპ.6/7
15.3.09 ოსუ-ბათუმი

მგრძნა

20 მგრძნა - რევაზ ათანელიშვილი (სსავ)
გეგმილი შპარნა 3.7, ასუფარ. ზა. 13
03.5.09 ოსუ-სსავ

პასი

18 პასი - ზაზა ხუცურავა (ოსუ)
08.5.09 ბასავი-ოსუ

ჩაჰრა

8 ჩაჰრა - გიორგი გაფრანგაშვილი (ოსუ)
14.12.08 ნგმდ-ოსუ

დაფარება

5 დაფარება - ვახტანგ ნაცვლიშვილი (ვეიკანეზენი)
10.4.09 ვეიკანეზენი-ნგმდ

შეცდომა

11 შეცდომა - ილია ლონდარიძე (მცხეთა)
15.3.09 მცხეთა-ნგმდ

1997-წლამდელთა ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

დღეს შინაისრებმა გამოვლინდებიან

აპაზდების დარბაზი. 4 ივნისი

ფოთი-მარათვე 2 **30:40**

11:12, 2:13, 7:10, 10:5

ფოთი: ირემაშვილი (10), მიქავა (9), მარათვე 2: ჭოჭვიაშვილი (17), ლომიძე (14)

აპაზდები-რუსთავი **21:41**

4:11, 6:6, 8:6, 3:18

აპაზდები: ლეშაშვილი (6), ციორკიძე (6)
რუსთავი: კურესელიძე (25), ქავთარაძე (4)

ჯვარისნები-ქუთაისი **40:14**

12:4, 9:0, 11:3, 8:7

ჯვარისნები: მარიაშვილი (8), ლოლუა (6)
ქუთაისი: ქვლბაქიანი (6), ბუკვაძე (4)

"აპაზდების" დარბაზში გაიმართა ბაგშვთა საკალათბურთო ფესტივალის მეორე ტურის მატჩები. ფავორიტებმა დღესაც მოიგეს, თუმცა ფინალისტების ვინაობას შესამე ტური გამოავლენს, რომელიც დღეს ჩაბარდება.

გუშინ, ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა "რუსთავმა" "აკადემია" 41:21 დაამარცხა და ფინალისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ქვემძარითლელები დღეს "მართვე 2"-ს დაუპირისპირდებიან და ფინალისტის ვინაობა ამ მატჩის შედეგად გამოვლინდება.

მეორე ჯგუფიდან ფინალში გასულის კანდიდატი "მართვე", რომელიც გუშინ ისვენებდა, ხვალ კი "ქუთაისს" დაუპირისპირდება. ქუთაითურთა გამარჯვების შემთხვევაში სამ გუნდს ("ჯვარისნებს", "მართვესა" და "ქუთაისს") ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდება და პირველადგილოსნის ვინაობა ჩაგდებული ქულების შეფარდებით გამოვლინდება.

ვაჟა სიმონიშვილი

ჟიდაგება

გზად ევროპის პირველობისკენ

იზმირში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 ქვეყნიდან 1992-1993 წლებში დაბადებული ბიჭები გამოდიოდნენ. საქართველოს ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი **თამაზ ბენდიანიშვილი**) 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გორელი **ბექა ბუჯიაშვილი** (42 კგ), რომელმაც ფინალში თურქი მოქიდავე დაამარცხა. მეორე ადგილებზე გავიდნენ ხაშურელი **ლაშა ტაბლახაძე** (50 კგ), ყვარლელი **ზურაბ იაკობიშვილი** (54) და გორელი **ომარ გუსოშვილი** (100); ხოლო ხაშურელი გიორგი ტაბლახაძე (53), გორელი **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (63), გარდაბნელი **ალექსანდრე ჯღვაძე** (69) და თბილისელი **სანდრო ამინაშვილი** (76) მესამე ადგილების დასაჯარედნენ. გუნდურში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თურქეთი, 2. რუსეთი, 3. საქართველო. ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებისთვის ეს იყო ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი ევროპის პირველობისთვის, რომელსაც 20 ივლისიდან სერბეთი უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

სიახლეთა ესტაფეტა

სპორტული მედიცინის სამართლებრივი ასპექტი

მოგვაქვს ხუთშაბათს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ჯანმრთელობისა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განიხილავენ საკითხს „სპორტული მედიცინა. სამართლებრივი ასპექტები". როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, სათათბიროს წევრი **სვეტლანა ხშირნატოვა** აცხადებს, „დადგა დრო, განსაზღვროს ნაკრებ გუნდებთან მოპუშავე სამედიცინო პერსონალის უფლებები და განსაკუთრებით პასუხისმგებლობა".

ივარაუდება, რომ გაერთიანებული სხდომაზე განიხილავენ აგრეთვე „ფიზიკური კულტურის კანონში" შესატან ცვლილებებს ანტიდოპინგურ ღონისძიებებთან დაკავშირებით. დღის წესრიგშია სპორტსმენთა და მსაჯთა სამშობლოსგან დასახადებისგან გათავისუფლების თაობაზე „საგადახადო კოდექსში" ცვლილების შეტანის საკითხიც.

ქართული ფეხბურთი

რაგბი

ინტერვიუ ილია ზედგინიძესთან

ექსი რამდენიმე ქართველი მორაგბით დაინტერესდა

საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ილია ზედგინიძე მომავალ სეზონში საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ მეორე დივიზიონში ისაპარუზებს. ილიას გუნდმა „ექსმა“ ფედერალურ 1 დივიზიონის პლეი ოფის ფინალში გააღწია და მეორე დივიზიონის საბურთო მოიპოვა. საპლეიოფო მატჩებში ზედგინიძეს მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიზეზსა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ მას საფრანგეთში დავუკავშირდით.

– პლეი ოფის შეხვედრებში ტრავმის გამო ვერ ვითამაშე, - გვიამბობს ილია ზედგინიძე - ჯუნთი მქონდა დაჭიმული. ვარჯიში ახლახან დავიწყე. 13 ივნისს პლეი ოფის ფინალი გვაქვს სათამაშო და მაგ დროისთვის იმედია, სრულად გამოვჯანმრთელდები, მწყობრში ვიქნები.

– „ექსმა“ მეორე დივიზიონის საბურთო მოიპოვა. გუნდს გაძლიერება დასჭირდება. ალბათ ბევრი ახალი მორაგბე დაგემატებათ. თქვენ დარჩებით „ექსში“?

– დიახ, მომავალ სეზონსაც „ექსში“ გავატარებ. რაც შეეხება გუნდის გაძლიერებას, ჯერ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებული არაა. კლუბის ხელმძღვანელობა პლეი ოფის შედეგს ელოდა. სამაგიეროდ ბევრი მოთამაშის მოწვევა განიხილება. მათ შორის ქართველი მორაგბეებიც არიან. „ექსის“ კანდიდატთა სიაში გია ლაბაძე, შერაზ კვირიკაშვილი და ავთანდილ კოპალიანი ირიცხებიან. უნდოდათ გურამ კაკეთილის მოწვევაც, მაგარამ მან „ლიონში“ დარჩენა ამჯობინა. ერთი სიხმცვით, სანალოლოდ ვის მოიწვევენ ეს ვის არა, მომდევნო კვირის ბოლოს გაირკვევა.

– რა ცვლილებები იგეგმება კლუბში?

– გუნდის მიზანი თავიდანვე მეორე დივიზიონში გადასვლა იყო. მიზანი მიღწეულია და, ცხადია, ეს ყველას უხარია. მომავალი სეზონისთვის უკვე სერიოზულად ემზადებიან. უნდათ, რომ მეორე დივიზიონში მყარად დამკვიდრდნენ. უმყარესადაც საკმაოდ ინფრასტრუქტურა. ერთი ახალი სტადიონი უკვე აამენეს. ამ სტადიონზე, სადაც აქამდე ვთამაშობდით, კიდევ ერთ ტრიბუნას ამატებენ. ამჟამინდელი მწირნელი კლუბის მენეჯერის თანამდებობას დაიკავებს და მის ნაცვლად სხვა, უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მოყვანას აპირებენ.

– პლეი ოფის მეოთხედფინალში თქვო ზიბზიბაძისა და ირაკლი ნინიძის „პერიგოს“ დაუპირისპირდით, რომელიც მეორე დივიზიონში აღზევების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი იყო. მძიმე შეხვედრა აღმოჩნდა?

– „პერიგო“ ძალიან კარგი გუნდია. ამათაც მეორე დივიზიონში უნდოდათ გადასვლა და ჩვენთან მარცხის შემდეგ ძალიან დამწუხრდნენ. თუმცა პირიქითაც შეიძლება მომხდარიყო. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „პერიგოს“ ზოლანდიელმა გარემარმა ბურთი ჩათელის მოედნიდან ნახევარი მეტრით აქეთ დაამინა. ნამდვილად არ გაუმართლა, თორემ წასული იყო ჩვენი საქმე. სასწაულებრივ გადავრჩით.

თედმენ ტრავმა მიიღო, ბოლომდე ითამაშა, მაგრამ მერე მუხლზე ტკივილი იგრძნო. მცესტი აქვს დაჭიმული და ექვსი კვირა უნდა დაისვენოს დაგვირვებისგან. ოპერაცია, საბედნიეროდ, აღარ დასჭირდა.

– ახლა სადრაგანეთში საკრანსფერო სეზონია და ბურებული. ჩვენი მორაგბეების შესახებ რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?

– მდგომარეობა ძალიან ცუდია. ფინანსურმა კრიზისმა ვითარება რადიკალურად შეცვალა. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ წლეულს ორასამდე პროფესიონალი მოთამაშე დარჩება უსაქმოდ. თავად გასაკვირვეთ: აქამდე ყველა ვარსკვლავს უფლება ჰქონდა, 33 პროფესიული კონტრაქტი გაეფორმებინა და ცდილობდნენ, ეს რიცხვი ეიდევ უფრო გაეზარდათ. ახლა კი – პირიქით. ასეთი კონტრაქტების რაოდენობა ოცდახუთამდე შეამცირეს. კლუბებს ფული აღარ ქონდათ.

ჩვენს მორაგბეებისაც უჭირთ ახალი კლუბების მოძებნა. ბევრი მათგანი გაურკვეველ მდგომარეობაშია. ამდენად, ვინ სად გადაეიდა, ცნობილია არაა.

– საქართველოს ნაკრები ჩერჩილის თასის გათამაშებისთვის საფრანგეთში, კანში ემზადებოდა. ხომ არ მოგინახულებიათ იქ ჩვენი გუნდი?



– დიახ, ვიყავი კანში ჩასული. იქ სარაგბო კლუბ „კანის“ ბაზაზე, ერთა თასის მაგჩებისთვისაც ემზადებოდით. ძალიან კარგი პირობები. ბიჭები საბრძოლველად არიან განწყობილი. მართალია ბევრი ნაბიჯანი მოთამაშე აკლია გუნდს, მაგრამ მაინც კარგი შემადგენლობა შეიკრიბა. ერთი ეგაა, ბევრი ახალი მორაგბეა და ძნელი სათქმელია, მოკლე დროში რამდენად მოახერხებენ საერთო ენის გამონახვას.

ფიზზმომზადების მხვრთნელი ჯონი ნამუ მთელი დატვირთვით ავარჯიშებდა გუნდს. იმედია, ფიზნიკურად კარგად იქნებიან მომზადებული. პირველი თამაში ში კანადის ნაკრებთან გვაქვს. ეს ტესტია და მისი შედეგი რეიტინგში ცვლილებებს შეიტანს. ვნახოთ, როგორ ითამაშებენ ბიჭები. ვფიქრობ, კანადას დავამარცხებთ.

ბესიკ ჯანგავაძე

ჭადრაკი

მასშტაბი იზრდება

დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ოფიციალურად გაიხსნება მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის მესამე გათამაშება. ტურნირის სულისჩამდგმელი დიდოსტატი ნინო გურეიელა, რომელიც მაიას მეგობარიც გახლავთ და თანამებრძოლიც – მაიასთან ერთად სამჯერ გახდა საქადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონი. დღეს ქალბატონ ნინო ჩვენი სტუმარია.

– ადრე ჩიბურდანიძის პატივსაცემად ტურნირები არ გართულა ჩვენში. აქედან გამომდინარე, გამიჭირდა კვალიფიცირო ტურნირის ორგანიზების სურვილი და იდეა. საბედნიეროდ, 2004 წელს ჩანაფიქრისთვის ხორცშესხმა მოვახერხე „ქართუ ჯგუფის“ ფინანსური მხარდაჭერით. პირველ ტურნირში მხოლოდ ქართველი ქალბატონები ასპარეზობდნენ - სულ თორმეტი, შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. პირველი გამარჯვებული ნანა ძაგნიძე გახდა.

მეორე გათამაშება სამი წლის შემდეგ გაიმართა. ფედერაციაში არავინასთან ვითარება სუფევდა და შეუძლებელი იყო ტურნირის გამართვა. როგორც კი მდგომარეობა შეიცვალა, კვლავ შევუდექით მზადებას და საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირიც გამოგვივიდა: საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა და ავსტრალიიდანაც კი ჩამოვიდნენ მოჭადრაკეები. ამჯერად ვაიტმაც მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებული ლევან ფანტულიანა გახდა.

– ტურნირის ფორმაც მუდმივი ცვლილება რითია განპირობებული?

– იმით, რომ ჯერ ტრადიცია არ ჩამოყალიბებულა და იდეაც მრავლად გვაქვს. ჩემი დიდი სურვილია, 6+6 ფორმატით ჩავატარო ტურნირი. შინაარსი ასეთია: 6 საუკეთესო ქართველი მოჭადრაკე ვაჟი 6 საუკეთესო ქალბატონს შეეჯიბრება. შესაძლოა, არსებული ფორმატიც შეინარჩუნოთ და აღნიშნული იდეაც განვახორციელოთ, ცხადია, წლის სხვადასხვა დროს.

– თავად ჩიბურდანიძე თუ ითამაშებს და რამდენი ქვეყნის მოჭადრაკე გვეწვევა?

– მაია, სამწუხაროდ, არ ითამაშებს, თუმცა სხვა ყველა უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. როგორც ჩანს, ბოლო წუთამდეც ვერ ვგმობთ მონაწილეთა რაოდენობას, რადგანაც არ არის დამთავრებული, რომ ვინმე დაგვემატოს; რომ არა პოლიტიკური დაძაბული ვითარება, ბევრად მეტი გვეცხუმრებოდა. ტურნირს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, – ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი ვარ და აუცილებელია ვიცოდე, ვინ როგორ ფორმაშია. ნაკრების ბირთვი ცნობილია, დარჩა მხოლოდ ერთი კანდიდატური, რომელზეც სამი მოჭადრაკეა აცხადებს პრეტენზიას – ნინო ხურციძე, საკომპ მელია და სოფიკო ხუხაშვილი. ყველა მათგანს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს, ამიტომ კარგად დაფიქრება გვმართებს, რომ არჩევანში არ შევცდეთ. ნაკრების ამ ეტაპზე კი კომპლექტება იმისთვის გვეჩქარება, რომ შემოდგომით მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ტარდება ჩინეთში, ხოლო ერთი თვის შემდეგ, ოქტომბერში ევროპის გუნდური ჩემპიონატია. წესის თანახმად, გაწაცხადები ადრეევე, რამდენიმე თვით ადრე უნდა გავგზავნოთ. მეორეც არის: შემდგენლობის ცოდნა მომზადებაშიც შეგვიწყობს ხელს – ადრიანად გადავალთ შეკრებებზე.

– როგორც ვიცი, ერთი ტურნირით არ ისაზღვრება მოჭადრაკის მზადფორმა. სექტემბრამდე საკმაო დროა და ხომ არ დადგება დღის წესრიგში კანდიდატების შორის მაგჩის გამართვის საკითხება?

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ დასკვნის გაკეთებას მაინც ადრეულ ეტაპზე ვერიდებით. თუკი რომელიმე კანდიდატი განსაკუთრებულ შედეგს აჩვენებს, მაშინ შეიძლება ამან ჩვენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.

– გვარისაგან დატვირთული გრაფიკი გელით შემოდგომით, რაც მარწილეს ბევრ მუშაობას მოითხოვს. მწვრთნელთა შტაბი თუ გყავთ შერჩეული?

– გუნდთან ზურაბ სტურუა და ხვიჩა სუპატაშვილი იმუშავებენ, თუმცა მიმაჩნია, რომ ეკიდე გვჭირდება ერთი-ორი მაღალკვალიფიციური მწვრთნელის სამსახური. ამ საკითხზე ვმუშაობთ, გვყავს რამდენიმე კანდიდატი და დრო გვიჩქენებს, თუ ვისზე შევჩერდებით.

– და ბოლოს, მაია ჩიბურდანიძის თასი ყოველწლიური იქნება თუ კვლავ გარკვეული პერიოდულობით გაიმართება?

– იმის წინასწარ განჭვრეტა რთულია, თუმცა ჩვენი სურვილია, ყოველ წელს ჩატარდეს. ცხადია, მნიშვნელოვანია ფინანსები ანუ ძლიერი სპონსორები. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი კომპანია „ქართუ ჯგუფს“, რომ კვლავინდებურად გვერდში დგომება. ასევე ვემადლიერები ბიზნესმენ კომპანია „სოკარს“, ვინც ჭადრაკის ფედერაციის გენერალური სპონსორია და ამჯერადაც შეგვწინა ფინანსურად. იმედი მაქვს, რომ მათი დახმარებით ტრადიცია გაგრძელდება, წლევანდელი ტურნირი კი ძალიან საინტერესოდ ჩაიცილა და ჭადრაკის გულშემატკივრები დიდ სიამოვნებას მიიღებენ.

ზვიად შათირიშვილი

გია გიორგაძე

მაიას თასისთვის შვილი ქვეყნის მოჭადრაკეები იბრძოლებენ

გუშინ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში პრეზიდენტმა **გიორგი გიორგაძემ მაია ჩიბურდანიძის** თასისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გამართა. ქართულ მედიაში ამ მოვლენამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც, ცხადია, ჩიბურდანიძის ავტორიტეტის დამსახურებაა. გიორგაძემ მადლობა გადაუხადა მედიასაშუალებების ყურადღებისთვის და გამოთქვა იმედი, რომ ტურნირის მსვლელობის დროსაც ასეთივე აქტიურები იქნებიან. სამაღლობელი გუშინ სხვაც ილაპარაკა: ტურნირის სპონსორები კომპანია "ქართუ ჯგუფი" და "სოკარი" ფინანსური გარანტი გახდნენ და გვარიანი საჩარხო ფონდიც დაანებეს - 28 ათასი ლარი. გუშინ შუადღისთვის თბილისში შეიდი ქვეყნის მოჭადრაკეები იყვნენ ჩამოსულები. ქართველი მოჭადრაკეთა ჩათელით ტურნირზე 12 მოჭადრაკე მსოფლიოს ორმოცდაათ საუკეთესოსთან შორის ირიცხება; აქედან ორი **ნანა ძაგნიძე** და ლელუნელი **ანა ბუზნიკაშვილ**ი ათეულის ნევრები არიან. ძაგნიძე რეიტინგით ყველას სჯობს და უმთავრესი ფავორიტის სტატუსით სარგებლობს. ცხადია, დიდი სურვილი გვაქვს, მთავარი პრიზების სავარძლებში დარჩენო, - აღნიშნა გიორგაძემ.

საინტერესოა, თუ როგორი ტექნიკური უზრუნველყოფა ექნება ტურნირს. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღის პირდაპირ ეთერში მაჩვენება და ინტერნეტის მეშვეობით ყველა დაინტერესებული ადამიანი შეძლებს პარტიათა ხილვას. ჩვენში საკმაოდ რთული მსგავსი სამსახურის გამართვა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად ეს მოხერხდა და იმედია, მთელი ტურნირის განმავლობაში ტექნიკა გამართულად იმუშავებს.

მოჭადრაკეები ორ დარბაზში ითამაშებენ. სააქტო დარბაზში, სცენაზე 8 დაფა დაიდგმება, სადაც ლიდერები ისპარიზებენ, ხოლო **ბუხტი გურგენიძის** სახელობის მცირე დარბაზში დანარჩენები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ დღე დარბაზში პროექტორები დაიდგა და რვავე პარტიის ცოცხალ რეჟიმში ხილვა შეუძლიათ დარბაზში მსხდომთ; ასევე მოხდება ხელოვნური დემონსტრირებაც დიდი სადემონსტრაციო დაფების საშუალებით.

დღეს 14 საათსა და 30 წუთზე ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონია გაიმართება. საათებს კი მონაწილენი 15 საათზე წარმოვენ.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

ქართველთა შემტევი ბრძოლები

მართალია, ერთად არაფერი გამოუვიდათ, მაგრამ საქართველოს პირველმა და მეორე ჩოგანმა წარმატებით აიღეს სტარტი გალატინას საერთაშორისო ტურნირის (იტალია, 25 ათასი \$) ერთეულოვნი თანრიგში. წყვილებში მარცხის შემდეგ ჯერ **ანა ტატიშვილმა** (176) იბრძოლა ერთეულებში, შემდეგ მას მხარი **მაკა ჩახნაშვილმაც** (234) აუჯა. მეტ ნომრად განთესილმა ტატიშვილმა ნამდვილი რბეცა მოუწყო იტალიელ **ნატალი ვიერისს** (237). მეორე სეტში, როცა ქართველი ჩოგბურთელი „მშრალად“ იგებდა 6:0, 3:0-ს ვიერისმა უაზრო ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. მაინცდამაინც არც მაკა ჩახნაშვილის გასცხრენია მაერატანილი **მარინე ვირაუდის** (239) დამარცხება - 6:4, 6:3. მერვეფინალში ანა ტატიშვილს მეტოქე არგენტინელი **აგუსტინა ლეპარიც** (284), ვის ნინაალმდეგ ანას აქამდე არასოდეს უთამაშია. მაკა ჩახნაშვილი ბულგარელ **ელიცა კოსტოვას** (402) გაეგზავნება. არც ეს ჩოგბურთელები გადაჰყოლია კორტზე ერთმანეთს აქამდე.

ბუხარაში (უზბეკეთი) ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე (25 ათასი \$) ქართველ ჩოგბურთელებს ნარმატება მეკ-4 ნომრად განთესილმა ავსტრიელმა **ნიკოლა პოცმანოვამ** (271) არ დაანება. 18 წლის ჩეხმა, რომელმაც ავსტრიის მოქალაქეობა მიიღო, ჯერ მერვეფინალში ადუსტინა **სოფიო ქვაჭაბაია** (563) - 6:3, 6:0, შემდეგ კი მე-7 ნომრად განთესილი **ოქსანა კალაშნიკოვა** (326) გააგდო მეოთხედფინალიდან - 6:0, 7:5. მანამდე მერვეფინალში ოქსანამ ჩეხი **ეკატერინა დრანცეს** მოუყო. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, როგორ იასპარეზა ბაგეს შემორჩენილმა კიდევ ერთმა ჩვენებურმა **ეკა გორგოძემ** (580).

თელ ავივის საერთაშორისო ტურნირში (ისრაელი, 10 ათასი \$) მე-6 ნომრად განთესილმა **მანანა შაფაძიძემ** (721) მეორე წრეც იოლად დასძლია, მან გერმანელ **ლინდა ფრიცშენს** (920) აჯობა - 6:0, 6:2. მეოთხედფინალში მანანა მე-2 ნომრად განთესილ მასპინძელს, **კერენ შლომოს** (519) ეთამაშება. მანანამ წყვილთა ბადის პირველი ბრძოლაც მოიგო, ქართველმა **ჩვი ასტაროყოთან** (ისრაელი, 552) დღეტში იგბალეიო **კაჩიოტის** და რუსი **კოტკინას** ბუნდს აჯობა - 3:6, 6:3, 10:2. მეოთხედფინალში მე-2 ნომრით განთესილი ქართულ-ებრაული გუნდის მეტოქეები მასპინძლები, **იაელ ბეკმანი** და **მარგარიტა-გრეტა სკრინჩი** იქნებიან.

ამერიკის ქალაქ ჰიუსთონ პუდ ალლენში (10 ათასი \$) უნდა ეთამაშა **სალომე დვეიძე** (1062), მაგრამ ბოლო მომენტში ჩვენებურმა სლოვენელ **პეტრა რამპრსოან** თამაშზე უარი განაცხადა და „ლანდინგ ლიმარცხებულით“ წაიხეცელის. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - 22 წლის ქართველ ჩოგბურთელს სპორტში დაბრძენა ნარმატებული ვერ დაბოვნდა. შეგახსენებთ, რომ ერთ დროს სალომე საქართველოს პირველი ჩოგანი იყო და რეიტინგში 254-ე პოზიციაც ეკავა.

მებრეველის ებრაული ნარმატება

დიდი ხანია ჩვენი მკითხველისთვის არ გვგეიქნია ახალგაზრდა ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტები, მიზეზი უბრალოა - სამწუხაროდ, ჩვენები კანტ-კუნტად თუ გამოდიან ამ ასპარეზზე და არც ნარმატებები გვაქვს. **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 217 ქულით მსოფლიო რეიტინგში 146-ე პოზიციაზეა (მისი საუკეთესო შედეგი - 59-ე ადგილი). 15 წლის **ალექსანდრე მებრეველი** 76 ქულით 479-ე პოზიციაზეა. ორი ქართველი ჩოგბურთელის შეიდილეშლა მაისის დასაწყისში ისრაელში, ბეერ შევას ახალგაზრდული ტურნირში მოიკ ნყვილებში, ხოლო ერთეულებში ფინალში ითამაშა. სამწუხაროდ, ამ ორი ჩოგბურთელის გარდა (რომელთაგანაც ერთი ალარ თამაშობს 18-წლამდელთა ასპარეზზე) ვერც მთლიანად ჩოგბურთელზე ვერ ვიტყვით, მეორე კი მეტისმეტად ახალგაზრდაა), 1500-კაციან სიაში მხოლოდ ერთი ჩოგბურთელია - **დემბერე თამთაძემ** (15 ქულა; 1119-ე ადგილი). გოგონები უარესად გვაქვს საქმე, **ეკა გორგოძე** ერთადერთი ქართველია ათასეულში, ისიც დიდებში თამაშობს უმეტესად და იქ უკვე ფინალებსაც აქვს, ეკა ახალგაზრდებში 647-ე პოზიციაზეა. აქვე დავიქნი, რომ ევროპის 16-წლამდელთა რეიტინგში ალექსანდრე მეტრეველი უმცროსი მოწინავე ათეულშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

არქივი

წლის ბრძოლა ჩაიშალა

დევიდ ჰეიმ ტრავმის გამო ვლადიმერ კლიჩკოსთან შეხვედრა იუარა

ბრიტანელ დევიდ ჰეისა და უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკოს შორის „წლის ბრძოლად“ გამოცხადებული დაპირისპირება არ შედგება. ეს მოკრივეები 20 ივნისს, გერზენკირხენის „ფელტინს-არენაზე“ უნდა მებრძოლნდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრიტანელმა მძიმე მენისნისმა მაჯის ტრავმა მიიღო და ბრძოლა ამ მიზეზით გაუქმდა.

ჰეის გუნდს ტრავმის ხარისხის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ წარმოუდგენია. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბრიტანელი ბრძოლის ექსპირვა კვირით გადადებას ითხოვს. სწორედ ეს დრო დასჭირდება მას სრული გამოჯანმრთელებისთვის. თუმცა ჰეიმ ჯერ დამოუკიდებელი სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და დაამტკიცოს ტრავმის სერიოზულობა.

„მსგავსი რამ მე რომ მომსულოდა, ჰეი ათასჯერ სისაძაგლეს იტყოდა ჩემი მისამართით, მაგრამ მე ასე არ მოვიქცევი. არ ვაპირებ ბაქცეულის ცემას“, - აბობს სუპერმძიმე წონაში IBF-ისა და WBO-ის მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ კლიჩკო.

კლიჩკოსა და ჰეის ბრძოლის ტრანსლიაციის უფლება 114 ქვეყანას ჰქონდა შეძენილი. გარდა ამისა, გაყიდული იყო შეხვედრაზე დასასწრები 65 ათასი ბილეთი. ახლა რომ, ორგანიზატორები სერიოზულ ზარალში ჩავარდებიან.

თუმცა ოპტიმიზმს არ კარგავს უკრაინელი მოკრივის მენეჯერი **ბერნდ ბენტე**. მისი თქმით, თუ ბრიტანელის წარმომადგენლები უახლოეს პერიოდში ტრავმის შესახებ სრულ ინფორმაციას გააცხელებენ, მხარეები შეძლებენ ამ ბრძოლის მოგვიანებით გადატანას. „ორკრატკის თანახმად, პირველ რიგში, ტრავმის სირთულე უნდა შევამოწმოთ, რათა გავიგოთ, როდის შეძლებს ბრიტანელი რინგზე გასვლას. თუ მკურნალობას დიდი დრო არ დასჭირდება, შესაძლოა, შეეძლოთ ბრძოლის ოთხი-ექვსი კეირის შემდეგ გამართვა“, - ამბობს ბენტე.

იმ შემთხვევაში, თუ კლიჩკოს გუნდი ჰეის კანდიდატურას საბოლოოდ უარყოფს, უკრაინელს სავარაუდო მონინააღმდეგეთა გრძელი სიიდან მოუწევს მორიგი მეტოქის ამორჩევა. მაგალითად, სახელდება WBA-ის მოქმედი ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი**, ამერიკელი მოკრივე **ედი ჩემბერსი**, WBA-ის „დროებით არაბოქმედი“ ჩემპიონი, უზბეკი **რუსლან ჩაგაევი**...

ამათგან, ნებისმიერს აქვს ვლადიმერ კლიჩკოსთან შეხვედრის შანსი. ედი ჩემბერსს 4 იგლისს უწევს ბრძოლა უკრაინელ **ალექსანდრ დმიტრენკოსთან**. მათ შორის გამარჯვებული WBO-ის ტიტულის აუცილებელი პრეტენდენტი გახდება და ვლადიმერთან ბრძოლის უფლებას მიიღებს.

გარდა ამისა, ჰეის სავარაუდო შემდეგ ველებად სახელდებიან: კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი **ოდლანიერ სოლისი** (WBC-ის რეიტინგში მე-7 ნომერი), ამერიკელები **კევინ ჯონსონი** (WBA, 4) და **ბრაიან მინტო** (WBO, 9). აქვეა სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჯეიმს ტუნი**, რომელიც კლიჩკოვებისადმი განსაკუთრებული მტრობით არის ცნობილი.

სხვადასხვა

კალათბურთი

ლებრონმა სიმსივნეს ჭორები უწოდა

რენესანრული საკალათბურთო კლუბის ლებრონ ჯეიმსის სახეზე კეთილთვისებიანი სიმსივნის მოსაცილებლად ოპერაცია გაიკეთა.

„კლივლენდის“ 24 წლის ფორვარდს სიმსივნე რამდენიმე თვის წინ აღმოუჩნდა, თუმცა ექიმების ნებართვით, კალათბურთელმა ოპერაციის გაკეთება სეზონის ბოლოსთვის გადადო.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში „კავალიერსმა“ ქულს მაგრში ნააგო ნახევარფინალური სერია „ორლანდოსთან“. ამ შეხვედრებში ჯეიმსი საშუალოდ 38.5 ქულას, 8.3 პასსა და 8.0 მოხსნას აგროვებდა.

უეიდი სასამართლოში ჩივის

„მიამი ჰიტის“ ლიდერი დუეინ უეიდი რესტორნების ბიზნესში თავის ყოფილ პარტნიორს **რიჩარდ ფონ ჰუტმანს** უჩივის. სარჩელის ოდენობა 100 მილიონ დოლარს შეადგენს.

უეიდი ფონ ჰუტმანს ტყუილში ადანაშაულებს. მაიამელის ბიზნესპარტნიორმა დუეინის საკალათბურთო მწვრთნელს განუცხადა, რომ მისი შეგირდი აკრძალულ პრეპარატსა და კოკაინს იყენებდა.

რუბიო დალასსა და პიუსგრონს სჯის

ერთწლიან საკალათბურთო ასოციაციაში დიდი მოთხოვნილებაა ესპანელ ეუნდერკინდ **რიკ რუბიოზე**. „ხუვენტუდის“ 18 წლის კალათბურთელზე პრეტენზია გამოთქვეს „დალასმა“ და „ჰიუსტონმა“.

სავარაუდოდ, ეს გუნდები რომელიმე საკუთარ კალათბურთელს გაცვლიან 2009 წლის დრაფტისა და კალენი ნომრის სანაცვლოდ. მოსალოდნელია, რომ ამ სავაჭროში გაცვლაში „ვაშინგტონ უიზარდსი“ იქნება ჩართული, რადგან ამ კლუბს მომავალ დრაფტში მეხუთე ნომრის არჩევის უფლება გააჩნია.

ჩოგბურთი

მეოთხედფინალისტები დაწყვილდნენ

ქალებს შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ორგანიზატორებმა მსოფლიო ჯგუფის მომავალი წლის გათამაშების წილისყრა ჩაატარეს. ქლანტის ორა საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალში ასე დანყვილდა:

სერბეთი-რუსეთი, უკრაინა-იტალია, ჩეხეთი-გერმანია, საფრანგეთი-აშშ.

პირველი წრის მატჩები 2010 წლის 6-7 თებერვალს გაიმართება.

ანჩიჩის უიმბლდონის მიღმა დარჩა

მარიო ანჩიჩი უიმბლდონსა და ამერიკის ნინააღმდეგ დევისის თასის მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს. ხორვატმა ჩოგბურთელმა ორი წლის წინ გადატანილი მონონუკლეოზის ავადმყოფობის შემდეგ ვერაფერით აღიდგინა ოპტიმალური სპორტული ფორმა. ამჟამად ის 36-ე ადგილს იკავებს ATP-ის რეიტინგში. უფრო ადრე, ანჩიჩმა როლან გაროსის კორტებზე გამოსვლისგანაც თავი შეიკავა.

„თავად არ ვიცი, როდის დავბრუნდები კორტზე. ჩემთვის მთავარი ჯანმრთელობაა. ამის გამო ჩემს საყვარელ ტურნირზე გამოსულისგანაც კი თავი შევიკავე“, - ამბობს ანჩიჩი.

პაკმენმა მეტოქე აირჩია

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ აღიარებულმა **მენი პაკიაომ** ოფიციალურად დაასახელა თავისი მორიგი მონინააღმდეგე. ფილიპინელ მოკრივესთან ბრძოლის პატივი ნახევრადსამფალო წონაში (66.7 კილოგრამამდე) WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს, ამერიკელ **შეინ მოსლის** ერგო. მხარეებს შორის მოლაპარაკებები გარკვეული დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. ბრძოლის გამართვის სავარაუდო თარიღად 2009 წლის 17 ოქტომბერი სახელდება.

„ძალიან მიხარია, რომ მენიმ სწორედ ჩემზე შეაჩერა არჩევანი. კონტრაქტის გაფორმებამდე წერილობანი დეტალებია მოსაგვარებელი. მზად ვარ, პაკიაოს ნინააღმდეგ ოქტომბერში გავიდე რინგზე“, - განაცხადა მოსლიმ, რომელიც ფილიპინელთან საზიზრად იმასაც კი დათანხმდა, რომ საერთო საპრიზო ფონდის 40 პროცენტზე მიიღებს. დანარჩენი თანხა პაკიაოს ერგება.

მოსლიმ პროფესიულ რინგზე ბოლო ბრძოლა 2009 წლის იანვარში ჩაატარა

და მექსიკელი **ანტონიო მარგარტო** ნოკაუტით დაამარცხა. სულ მის ანგარიშზე 46 გამარჯვება (39 - ნოკაუტით) და ხუთი ნაგებია.

რაც შეეხება პაკიაოს, მან მაისში სძლია ბრიტანელ რიკი ჰატონს, რის შემდეგაც, ფილიპინელის სავარაუდო მებრძოლებად ბუერტრორიკოელი **მიგელ კოტო** და დიდ რინგზე დაბრუნებული **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი** სახელდებოდნენ, თუმცა პაკმენმა ამ ეტაპზე მოსლისთან ჩხუბი ამჯობინა.

ფეხბურთი

ასტანამ ვალი დაფარა

ჭაბუკმა ვალისაფიბოს „ასტანას“ ტურ დე ფრანსზე გამოსვლას საფრთხე ადარ ემუქრება. მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ხელმძღვანელობამ თავისი ველოშორტების სახელფასო დავალიანება დაფარა, რითაც ველოშრბოლაა საერთაშორისო კავშირის დისციპლინაციას გადაურჩა.

„სრულად ამ პრობლემას კვირის ბოლომდე მოვაგვარებთ. ველოშრბოლაა საერთაშორისო კავშირის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მათ შორის, წლის ბოლომდე გაცემულია ფინანსური გარანტიები. მთავარი ის არის, რომ გუნდის წევრთა სახელფასო დავალიანება, რომელიც რვა მილიონ დოლარს შეადგენდა, გასტუმრებული იქნება. ეს იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ „ასტანას“ აუცილებლად ეიხილავეთ ტურ დე ფრანსზე“, - ამბობს „ასტანას“ გენერალური მენეჯერი **იოანნ ბრიუნელი.**

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

TV პროგრამა

5 ივნისი. პარასკევი

HTB-პლუსი ფეხბურთის

06:00 90 წუთი - საფეხბურთო ჭორა-პოე.
07:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
08:40 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. ბორუსია დორტმუნდი - ბაიერ 04 ლევერკუზენი. პირდაპირი ეთერი.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბუტანი-ვალიადოლიდი
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფიქ ფაქის მაჭანკალი ბოსნი.
12:30 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი.
15:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მიხბოდეკეი
17:50 გასულელებული ფრონტი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
19:35 საფეხბურთო პროგრამა.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეგერმანი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 გასული სეზონის ფრონტი. იმედისის ჩემპიონატი. თელავლილი-მანჩესტერ იორ.
23:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:05 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეგერმანი.
00:35 საფეხბურთო კლუბი.
01:25 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
02:55 გასული სეზონის ფრონტი. პოლანდიის ჩემპიონატი. ალკმარი-ენსქედენი.
04:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ფეხბურთი-ბარსელონა.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეფრონტები.
10:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპები. პორტუგალია-წილე. ტელეფრონტი. საფრანგეთი.
12:15 ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკა 2010. შესარჩევი ტურნირი.
13:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეფრონტები.
20:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპები. პოლანდია-საქართველო. ტელეფრონ. საფრანგეთი (LIVE).
22:15 ფეხბურთი. ეეროვიული. ჯანმრთველი ბუფონი.
22:30 ფეხბურთი. ეეროვიული. ნიკატან ინჩისპორტი.
22:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპები. არგენტინა-ეგვიპტე. ტელეფრონ. საფრანგეთი (LIVE).
00:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეფრონტები.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი.
02:00 ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკა 2010. შესარჩევი ტურნირი.
03:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეფრონტები.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
11:00 ახალი ამბები.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
12:00 რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდების). სამოა-მოლდავია. ნახევრი (LIVE).
13:45 ახალი ამბები.
14:00 რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). ავსტრია-ინგლისი. ნახევრი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკა 2010. შესარჩევი ტურნირი.
17:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპები. პორტუგალია-წილე. ტელეფრონ. საფრანგეთი.
18:00 ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკა 2010. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-ეკვადორი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 AIR RACE - ავიარბენები თვითმფრინავებით. მსოფლიოს სერია. სან დიეგო, აშშ.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სამრთალო ხელოვნება.
21:00 ახალი ამბები.
21:30 პლაჟის რაგბი. სარეზინეული ტურნირი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
00:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
00:45 კრიკეტი. World Twenty 20. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-პოლანდია. ბრისტოლი.
01:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
02:00 ახალი ამბები.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბები.
03:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი	
ამხანაგური მატჩები	
ჩილეთი-ს. არაბეთი	1:4
ბელგია	
ა ლ ი ფ ო ხ ი	
დენდერი-ანტვერპენი	1:2
იერლი-ჩუხეთრე	1:3
ნორვეგიის თასი	
ნესტ სორტა-მოსი	2:1
სარპსბორგი-ემილსტრომი	2:3
სიორგდალი-სანპე	2:1

კალათბურთი	
გერმანია	
ა ლ ი ფ ო ხ ი	
ბამბერგი-ოლდენბურგი	58:66
ესპანეთი	
ა ლ ი ფ ო ხ ი	
რეალი-ბაუზრესი	102:82
იტალია	
ა ლ ი ფ ო ხ ი	
ბიელა-ვიერანი	68:89

ჩოგბურთი

მარია გავლენიანებს შორისაა

ჟურნალმა Forbes-მა გუშინ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების სია გამოაქვეყნა. მასში 76-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა**. შეგახსენებთ, ამ რეიტინგს Forbes კონკრეტული ადამიანის ფინანსური მიღწევებისა და მასმედიაში პოპულარობის მიხედვით ადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მარიას ტრავმის გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა, მას სპონსორების ყურადღება არ მოკლებია. გასულ წელს, შარაპოვამ 22 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და ეს რეიტინგში მხოლოდ 76-ე ადგილის მოსაპოვებლად აღმოჩნდა საკმარისი. რეს ჩოგბურთულს პრესის მხრიდან ინტერესი დაკლდა უფრო მაღალი პოზიციის დასაკავებლად.



ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიას სათავეში მსახიობი **ანჯელინა ჯოლი** უძღვას. მისი ფოტოები მთელი წლის განმავლობაში ამშვენებდნენ მსოფლიოს ტაბლოიდების გარეკანებს. ჯოლი პრესაში მოხსენიების რაოდენობით თვით ამერიკის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** (42-ე პოზიცია) უსწრებს. ამასთან, ანჯელინამ თავის სამსახიობო კარიერაში პირადი რეკორდი დაამყარა - 27 მილიონი მაილო ფილმში „განსაკუთრებით სახიფათო" თამაშისთვის. სხვათა შორის, ჯოლის მეუღლე **ბრედ პიტი** Forbes-ის რეიტინგში მეათე ადგილს იკავებს.

საუკეთესო ათეულში ადრეთვე ეხვდავით მომღერლებს **მადონასა** და **ბიონსს**, გოლფისტ **ტაიგერ ვუდსს**, ფუსკოს **ბრიუს სპრინგსტინს**, რეფისორ **სტივენ სპილბერგს**, მსახიობ **ჯენიფერ ენისტონს**, კალათბურთელ **კობი ბრაიანტს**.

რუსეთი გაბრწყინდა

რუსული ფინალი იქნება

რუსეთ გაბრწყინდა

როლან გაროსი

როლან გაროსზე გუშინღელი დღე ქალთა ნახევარფინალების დათმობა. წელს, საფრანგეთის ღია პირველობაზე რუსული ფინალი გაიმართება. **დინარა საფინამ** და **სვეტლანა კუზნეცოვამ** გაჭირვებით გადალახეს ნახევარფინალური ბარიერი და გამამყუჩებ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს.

თუ რუსების გასვლა ნახევარფინალში კანონზომიერი მეჯლისი იყო, არავინ ელოდა ამ ეტაპზე სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვასა** და ავსტრალიელი **სამანთა სტოსურის** გამორჩენას. ამ დუელმა ზედ ბევრი ცნობილი ჩოგბურთელი ჩამოიცილა და სამარილიანად დაიმსხურა ნახევარფინალში თამაში, თუმცა მათ ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილება არ ეყოთ კიდევ ერთი გმირობის ჩასადენად.

საფინასა და ციბულკოვას მატჩის საბოლოო ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ - დინარას მარილაც გაუჭირდა სლოვაკი ჩოგბურთელის დამარცხება. რუსის თითქმის ყველა გეიმზე დომინეკას ბრეკ-პოინტები ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში სიზუსტე არ ჰყოფნიდა და მისი ორ სეტში მარცხიც ამით არის განპირობებული.

რაც შეეხება კუზნეცოვასა და სტოსურის დაპირისპირებას, აქ სამი სეტის ჩაგარება გახდა საჭირო. არადა, რუსს თავისუფლად შეეძო ფინალის საგზურის ორ პარტიაში მოპოვება. მეორე სეტში სვეტლანა 4:2-ს იგებდა, მაგრამ ზედიზედ სამი გეიმი ნააგო და ბოლოს ტაი-ბრეიკზე მოუნია მეტოქესთან ურთიერთობის გარკვევამ. შემოკლებულ გეიმშიც თავიდან კუზნეცოვას უპირატესობა გამოუკეთია - 5:2. სტოსურის ხასაბელოდ უნდა ითქვას, რომ მან არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

თითქოს ავსტრალიელს ფსიქოლოგიური უპირატესობა უნდა მიეღო, თუმცა ასე არ მოხდა. 2:2-ზე კუზნეცოვამ ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და სტოსურმა ზედიზედ მეორე სეტის გადარჩენა ვერ მოახერხა.

მან ასე, 6:3, 6:7, 6:3 მოიგო. ეს ჩოგბურთელები წელს ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში ეს იყო პრემიერკატეგორიის ფინალი: პარილის პოლოს, შტუტგარტში კუზნეცოვამ მოიგო, ერთი კვირის შემდეგ კი რომში საფინამ იმარჯვა.

ქალები

1/2 ფინალი

დინარა საფინა (რუს, 1)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 20) 6:3, 6:3; სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 7)-სამანთა სტოსური (ავსტრ, 30) 6:4, 6:7, 6:3.

საბერძნეთის ჩემპიონისა და ევროლიგის ტრიუმფატორის „პანათინაიკოსის" ლიტერელმა გამთამაშებელმა **შარუნას იასიკევიჩუსმა** განაცხადა, რომ სექტემბერში ლიტვის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დაეხმარება. 33 წლის კალათბურთელმა აღიარა, რომ ძალიან დაინაღა გრძელი სეზონის გამო, რომლის დროსაც გაუთავებლად ტრავმებთან ბრძოლისთვის არის მიმართული. ფონდის თავმჯდომარე ჩოგბურთელის დედა **ანა მარია პარერაა**. „თვე--ნახევრის წინ, ინდოეთში ქალაქ ჩენაის ვესტუმრე. და მივხვდი, რომ მთგან განსხვავებით, ჩვენს სახლში კარგად ვცხოვრობთ. ბედნიერ ვიქნები, თუ ჩემი დახმარებით, იქაურთა ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება", - განაცხადა პროექტის პრეზენტაციისას ნადალმა.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი ფონდი აქვს ATP-ის რეიტინგის ყოფილ ლიდერს **როჯერ ფედერერს**. შვეიცარიელი ჩოგბურთელის დედა ნარმოშობით სამრეთ აფრიკიდანაა და ფედერერი ძირითადად, აფრიკის მოსახლეობას ეხმარება.

ინდოეთში ნადალის სკოლა იქნება

მსოფლიოს პირველი ჩოგბნის **რაფაელ ნადალის** ფონდი ინდოეთში საჩოგბურთო სკოლას გახსნის. ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ ანდჰრა-პრადეშში სკოლის მშენებლობა სექტემბერში დაიწყება, ხოლო მისი გახსნა მომავალ წელს არის ნავარაუდები. უკვე ბევრმა გამოთქვა ნადალის სკოლაში ვარჯიშის სურვილი, თუმცა აქ რეგნელს გადაცილებულ ბავშვებს მიიღებენ. პროექტის მიხედვით, უკვე ახალ ნლამდე მზად იქნება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი თიხნარისაფრინანი ოთხი კორტი.

„ვარჯიშები მთელი თვის განმავლობაში გაიმართება. ჩვენ ავრეთვე მუდმივად მივადევნებთ თვალს აკადემის მოსწავლეთა წარმატებებს", - ამბობს ნადალის ფონდის წარმომადგენელი.

რაფამ საკუთარი ფონდი გასული წლის იანვარში დააარსა. ის სოციალური პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლისთვის არის მიმართული. ფონდის თავმჯდომარე ჩოგბურთელის დედა **ანა მარია პარერაა**. „თვე--ნახევრის წინ, ინდოეთში ქალაქ ჩენაის ვესტუმრე. და მივხვდი, რომ მთგან განსხვავებით, ჩვენს სახლში კარგად ვცხოვრობთ. ბედნიერ ვიქნები, თუ ჩემი დახმარებით, იქაურთა ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება", - განაცხადა პროექტის პრეზენტაციისას ნადალმა.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი ფონდი აქვს ATP-ის რეიტინგის ყოფილ ლიდერს **როჯერ ფედერერს**. შვეიცარიელი ჩოგბურთელის დედა ნარმოშობით სამრეთ აფრიკიდანაა და ფედერერი ძირითადად, აფრიკის მოსახლეობას ეხმარება.

ქალთა ჩოგბურთი

ლიტვას შარაპი დააკლდება

შეგახსენებთ, რომ ორშაბათს, „პანათინაიკოსმა" თავისი არსებობის ისტორიაში ოცდამეათედ მოიპოვა საბერძნეთის ჩემპიონის ტიტული. ფინალურ სერიაში მან 3:1 დაამარცხა „ოლიმპიაკოსი".

ასე რომ, ლიტვის ნაკრებს პოლონეთში, წლევანდელ ევროპაჩემპიონატზე შესაძლებელი შემადგენლობით მოუწევს გამოსვლა. უფრო ადრე, ერთგნულ გუნდში თამაშზე უარი თქვეს **რაშუნას შიშკაუსკასმა** და **დარიუს სონგაილამ**.

„ნორმალურად სიარულიც კი არ შემიძლია - მიედანზე მხოლოდ ფიზიოთერაპევტის დახმარებით გავდიოდი, - ამბობს ლიტვური პრესასთვის მიცემულ ინტერვიუში იასიკავიჩუსი. - შიშკაუსკასი და სონგაილა, რომლებთაც ერთადაც 10 წლის წინ დავიწყე სანაკრებო კარიერა, ასევე არ წავლენ ევროპის ჩემპიონატზე. ნაკრებს თაობათა ცვლის პროცესი ელის და უმეჯობესია, თუ ახალგაზრდებს თავის გამოჩენის საშუალებას მივცემთ".

ბუკვა

ფელპსმა წიგნი დაწერა

14-ბზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** საბავშვო წიგნის ავტორი გახდა.

ეს არის ერთ-ერთი წიგნი სერიისა, სადაც ავტორებად ვინოს, ხელოვნებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეები გვევლინებიან. ფელპსის გარდა, თავიანთი ნანარმოებები წარმოადგინეს **ჯულიანა მურმა, ვუკი გოლდბერგმა** და **სარა ფერგიუსონმა**.

ფელპსის წიგნს ჰქვია - „როგორ ვივარჯიშოთ თი-რექსთან ერთად და მოვიგოთ ოქროს 8 მედალი". ამერიკელი მოკურავის თანაავტორი გახდა **ალან აბრაჰამსონი**. წიგნი ოთხიდან რვა წლამდე ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. მასში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ თუ როგორ ემზადება დინოზავრი ოლიმპიური თამაშებისთვის.

რექტი ექვსი წლის განმავლობაში ვარჯიშობს. ყოველ კვირას 60 კილომეტრს ცურავს და 183040-ჯერ შემოუვრცხვს ბეისბოლის მოედნის ბაზებს. მისი ფეხები ისეთი ძლიერია, რომ ერთი ვარჯიშის დროს ცხრა ტონა ტვირთს სწევს.

ფელპსის წიგნი 17.99 დოლარი ღირს.

გვერდი მოამზადა
გია თავსაბეიშვილმა